

ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე



შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი



ქართული გრაფიკის უნივერსალი

კრებულის – ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე – მიზანია, საშუალება მისცეს ქართული მწერლობითა და კულტურით დაინტერესებულ უცხოელ მკითხველებს გაეცნონ ქართული ლიტერატურის განვითარების ცალკეულ ეტაპებს არა როგორც იზოლირებულ ლიტერატურულ სივრცეს, არამედ როგორც მსოფლიო კულტურის ნაწილს.

ქართული ანბანი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს თოთხმეტ ალფაბეტს შორის, ხოლო ქართული მწერლობა მე-5 საუკუნიდან იღებს სათავეს და დასაბამიდან დღემდე აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესში. მაგრამ, ეს ჩართულობა არასოდეს ყოფილა პასიური ბმა, არამედ – ქართული რეალობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შემოქმედებითი თანამონაწილეობა. ქართული ლიტერატურა ყოველთვის ქმნიდა და ქმნის მსოფლიო მწერლობის ინდივიდუალურ „ვერსიას“ და საკუთარი ორიგინალურობით აფართოებს მის გეოგრაფიულ რუკასა და მასშტაბებს. კრებულის მიზნის შესაბამისად, მასში წარმოდგენილია ერთი მხრივ, ქართული ლიტერატურის (დამწერლობა, ფოლკლორი, მხატვრული შემოქმედება) სპეციფიკური ბუნება, მეორე მხრივ კი, მისი ადგილი მსოფლიო კულტურულ-ლიტერატურულ სივრცეში.

კრებული ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე მომზადდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

რედაქტორი — მარია ოძელი

რეცენზენტი — ივანე ამირხანაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი

დამკაბადონებელი — ტატიანა საბანაძე

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარია ოძელი

ISBN 978-9941-0-6802-7

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახი“, 2016

შინაარსი

შესავალი – ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე,
ირმა რატიანი

უცხოელ ავტორთა ცნობები საქართველოს, როგორც წიგნიერი ერის შესახებ მირანდა ტყეშელაშვილი	5
ქართული ზეპირსიტყვიერება მსოფლიო მითოლოგიის კონტექსტში მარინა ტურაშვილი.....	9
მე-17 საუკუნეში ჩანერილი ქართული ზღაპრები (ადაპტირებული ტექსტი) მიხეილ ჩიქოვანი.....	13
ქართული დამწერლობის სათავეებთან მაკა ელბაქიძე.....	14
ქრისტიანობა და ქართული კულტურა მაკა ელბაქიძე.....	16
განათლებისა და კულტურის ცენტრები ძველ საქართველოში მაკა ელბაქიძე.....	21
ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენება მაკა ელბაქიძე.....	26
შოთა რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი მაკა ელბაქიძე.....	30
მეფეთა პოეზია მაკა ელბაქიძე.....	35
ქართული მწერლობა და ევროპული კულტურული ტრადიცია /XVI-XVIII საუკუნეები/ ირმა რატიანი.....	39
ქართული ბეჭდური წიგნის სათავეებთან მაკა ელბაქიძე.....	42

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა – მსოფლიო ლიტერატურული რუკის ნაწილი ირმა რატიანი.....	44
ქართული მოდერნიზმი გაგა ლომიძე.....	49
საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურა ირმა რატიანი.....	54
პოსტსაბჭოთა ქართული მწერლობა კულტურული გლობალიზაციის პირისპირ გაგა ლომიძე.....	63
ციტირებული ლექსების სრული ვერსიები.....	67

უცხოელ ავტორთა ცნობები საქართველოს, როგორც ნიბნეირი ერის შესახებ



არგონავტები კოლხეთის
ნაპირებთან

ქართველი ერის წინაპრების ძიებას ბიბლიასთან მივყავართ. იქ დასახელებულია თუბალ-კაენი, რვალისა და რკინის იარაღების მჭედელი. თუბალთან ერთად იხსენიება მოსოხი. არაერთი მეცნიერი თუბალსა და მოსოხს ქართული ტომების სახელწოდებებთან (ტიბარენები და მესხები) აიგივებს. მე-20 საუკუნეში ლურსმნული წარწერების გაშიფვრის შედეგად დადასტურდა ბიბლიური თუბალებისა და მოსოხების (იბერიელებისა და მესხების წინაპრების) რეალურად არსებობა და გაჩნდა მოსაზრება, რომ რომ თუბალებისა და მოსოხების გაერთიანებები ქართველთა გაერთიანებებია, რომლებიც არსებობდა მცირე აზიაში ძველი წელთაღიწხვის II-I საუკუნეებში.


ქართველი ერის წარმოშობის შესახებ არაერთი, ხშირად ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი არსებობს. ანტიკური პერიოდის ავტორები გვათავაზობენ ნახევრად ლეგენდურ ცნობებს ქართველთა წარმოშობაზე.

ბერძენი ავტორების ყურადღების ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ საქართველო, კოლხეთის სამეფო მოექცა. ისტორიის მამად ნოდებული ჰეროდოტე (ძვ. წ. აღ-ის მე-5 ს.) კოლხებს ეგვიპტური წარმომავლობის ხალხად მიიჩნევს; აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა – იბერიელების – შესახებ ბერძენი ისტორიკოსი მეგასტენე (ახ. წ. აღ-ის მე-3 ს.) წერდა, რომ იბერიელთა თავდაპირველი სამშობლო ესპანეთია (იგივე ბასკეთი) და იბერიელები კავკასიაში დასავლეთიდან მოვიდნენ. არსებობს სხვა თვალსაზრისებიც. ანტიკური საისტორიო წყაროების ინტერესი ქართველი ხალხის მიმართ იმაზე მიაწინებს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღიწხვამდე ქართველები ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღებას იმსახურებდნენ.

ამ მხრივ გამორჩეულია თქმულება არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ მწერლობაში. არ დარჩენილა ელინური ეპოქის არათუ მწერლობის, არამედ ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელსაც ეს თქმულება მთლიანად, ან ეპიზოდების სახით არ დაემუშავებინოს.

რაც არ უნდა უხვად შეიცავდეს ფანტასტიკურ ელემენტებს ეს სახელგანთქმული თქმულება, ერთი რამ უდავოა: ძველი წელთაღიწხვის მეორე ათასწლეულის შუახანებისთვის ბერძნებს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძლიერი, აყვავებული და კულტურულად განვითარებული კოლხეთის სამეფო ეგულებოდათ, რომელსაც მეფე აიეტი, მზის ღმერთის, ჰელიოსის ვაჟი, განაგებდა.

პირველ ცნობებს არგონავტებისა და კოლხეთის შესახებ ელინური მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრინდელ ძეგლებში, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ვხვდებით. ფიქრობენ, რომ ჰომეროსმა გამოიყენა მანამდე არსებული ეპოსი, რომელშიც არგონავტთა თქმულების გარკვეული ნაწილი იყო გადმოცემული.



იაზონი მედეას დახმარებით
იტაცებს ოქროს სანძისს

რა იყო ოქროს საწმისი? მეცნიერთა ნაწილის აზრით, ოქროს საწმისის ანტიკურ პერიოდში იგივე სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც შუა საუკუნეებში გრაალსა და ფილოსოფიურ ქვას. ფილოსოფიური ქვის ძიება არის არა მარტო მატერიალური საგნის, ოქროს, არამედ ღმერთის ძიება, რაც ანტიკურ მისტიკებში ოქროს საწმისის ძიებით იყო გადმოცემული. არგონავტიების კოლხეთში ლაშქრობა სიმბოლურად არის მისწრაფება იმ სულიერი სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც მამინ მხოლოდ კოლხეთში იყო შემონახული. ამგვარ სიბრძნეს აღარ ფლობდნენ აღარც საბერძნეთის ტერიტორიაზე და აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში.

ზოგიერთი ძველი წერილობითი წყაროს თანახმად, ოქროს საწმისი ვერძის ტყავი იყო, რომელზეც ოქროს მიღების ალქიმიური ფორმულები ეწერა. ზოგი ცნობით, ეს იყო “ოქროდამწერლობით” (ბერძნულად ხრისოგრაფია) შესრულებული წიგნი (ხარაქს პერგამონელი), ზოგი კი ფიქრობდა, რომ კოლხეთში დაცული საწმისი ტყავებზე ნაწერი წიგნი იყო, რომელიც აღწერდა ოქროს მიღების ძველ კოლხურ მეთოდს (სვიდას ლექსიკონი). აპოლონიოს როდოსელის “არგონავტიკის” ტექსტში არის მინიშნება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა საწმისი სინამდვილეში. საქმე ეხება ცნობას კოლხეთში არსებულ უძველეს დამწერლობაზე. აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, კოლხებს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეში ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, კვირბები, ანუ ქვაზე დანერილი რუკები და ტექსტები.



ფესტოს (პესტოსის) დისკო – კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუში

ეს ცნობა პირველი წერილობითი დადასტურებაა ძველ სამყაროში რუკების არსებობის თაობაზე, თანაც ფასეულია იმით, რომ ავტორი დიდი ხნის მანძილზე ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და უძველეს იშვიათ არქივებზე მიუწვდებოდა ხელი. „არგონავტიკის“ მეოთხე წიგნში ფრიქსეს უფროსი ვაჟი, არგოსი, არგონავტებს ეუბნება, რომ კოლხებს შენახული აქვთ თავიანთი მამების მიერ ნაწერი კვირბები, რომლებზეც ზღვისა თუ ხმელეთის ყველა გზა და საზღვარია ნაჩვენები. წყაროთა უმეტესობა უთითებს, რომ ოქროს საწმისი იყო ტყავზე ნაწერი წიგნი, ამიტომ აპოლონიოს როდოსელის

ცნობა ორმაგად ფასეული ხდება. ეს არის ისტორიული მონიშნება იმის შესახებ, რომ ძველ კოლხეთში დამწერლობა არსებობდა.

ბერძნულ წყაროებში სხვა ცნობებიც გვხვდება ქართველების, როგორც ცივილიზებული ერის, შესახებ. ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, თემისტოსის თანახმად, ფაზისის (დღევანდელი ფოთი) მახლობლად, ჩ. წ. აღ. I-VI საუკუნეებში არსებულა კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა – ფაზისის აკადემია, სადაც რიტორიკული განათლება მიუღია მის მამას, ევგენიოსს და თვით თემისტოსსაც. არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ამ აკადემიაში, მაგრამ თემისტოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეზობელ ბარბაროსთა სასწავლებლებისგან განსხვავებით აქ ისართა ტყორცნა ან ჯირითი კი არ ისწავლებოდა, არამედ აღსაზრდელებს რიტორიკულ ხელოვნებაში წვრთნიდნენ. ეს ცნობა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მიუთითებს კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის აღზრდილების საფუძვლიან განსწავლულობაზე ბერძნულ ენასა და კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში.

კოლხეთისა და იბერიის შესახებ ცნობებს ვხვდებით რომაელ ისტორიკოსთა თხზულებებშიც. ცნობილი რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის „ანალებში“ დაწვრილებითაა აღწერილი ძველი რომისა და კავკასიის ქვეყნების სამხედრო ურთიერთობა, იბერიის საშინაო

პოლიტიკური ვითარება, ხოლო მისსავე „ისტორიაში“ საგანგებო ყურადღება ეთმობა კოლხეთის, პონტოსა და რომის იმპერიის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს.

ევროპელთა მიერ საქართველოს თავიდან „აღმოჩენა“ მე-16 – მე-17 საუკუნეებიდან დაიწყო. ინტერესი საქართველოსადმი, როგორც აღმოსავლეთის ეგზოტიკური ქვეყნისადმი, თავდაპირველად ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში გამოიკვეთა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები იტალიელმა მისიონერებმა გადადგეს. მნიშვნელოვანია ცნობილი იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დე ლა ვალეს ჩანაწერები საქართველოზე, ასევე ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის წიგნი „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, რომლის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი 1672-73 წლებში შარდენის საქართველოში მოგზაურობას მიეძღვნა. ავტორის უშუალო შთაბეჭდილებები შევსებულია ძველ ავტორთა ცნობებით საქართველოს შესახებ. წიგნში ვხვდებით ძველი თბილისის პირველ გრაფიკულ ჩანახატს, რომელიც შარდენის თანამგზავრის, მხატვარ გრელოს მიერ უნდა იყოს შესრულებული. ვატიკანის არქივებში დაცულია დონ პიეტრო ავიტაბილეს, არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდიჩის, ანტონიო ჯარდინას, დონ კრისტოფორო დე კასტელის, ანდრეა ბორომეოს და სხვათა საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატები და ჩანაწერები და არქანჯელო ლამბერტის მიერ მე-17 საუკუნის 50-იან წლებში იტალიაში გამოქვეყნებული წიგნები – „სამეგრელოს აღწერა“ და „წმინდა კოლხიდა“, რომლებშიც მოცემულია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ყოფისა და კულტურის, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ვრცელი მიმოხილვა.

ამავე პერიოდში საქართველოს თემა ევროპულ მხატვრულ ლიტერატურაშიც გაჩნდა. ანტიკური თქმულებები (არგონავტიების მითი) თუ საისტორიო წყაროები (ტაციტუსის „ანალები“), ჯვაროსნებისა და ევროპელი მოგზაურების მონათხრობი საქართველოს შესახებ ევროპულ მწერალთა შემოქმედებაში აისახა. ამას ზოგჯერ ემატებოდა აღმოსავლეთიდან მომდინარე ზღაპრული თემატიკის მისტიფიცირება და სიუჟეტის საქართველოში გადმოტანა.



თბილისი ჟან შარდენის მიხედვით

ანტიკური წყაროების თავისუფალი გადამუშავების საფუძველზე ჩანს შექმნილი ინგლისელი დრამატურგების – ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესა „მეფე და არა მეფე“, რომლის მთავარი გმირი, იბერიის მეფე არბასისი, სომხეთის მეფეს, ტიგრანს უპირისპირდება. მე-17 საუკუნის 30-იან წლებში ევროპაში გახმაურდა ქართველი დედოფლის, მეფე თეიმურაზ

პირველის დედის, ქეთევანის, წამების ამბავი სპარსეთის შაჰის, შაჰ-აბასის, მიერ. 1633 წელს ამ ფაქტის შესახებ ოქსფორდში დაიბეჭდა ბერი გრეგორიუსის საგანგებო წერილი, 1657 წელს კი გერმანელმა დრამატურგმა ანდრიას გრიფიუსმა დაწერა ხუთმოქმედებიანი ტრაგედია ლექსად „ქართველი ქალი ეკატერინე, ანუ ნაცადი სიმტკიცე“, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ევროპულ სცენებზე. 1761 წელს ვენეციის სცენაზე დაიდგა იტალიელი დრამატურგის კარლო გოლდონის პიესა „მშვენიერი ქართველი ქალი“, მოგვიანებით კი კარლო გოცის პიესები – „ქალი გველი“ და „ლურჯი ურჩხული“, რომელთა მოქმედება იბერიაში (საქართველოში) ხდება.

ევროპის ინტერესი ქართული სამყაროს მიმართ ქართულ ენასა და ლიტერატურასაც მოიცავს. ევროპელი მოგზაურების ჩანაწერებში გვხვდება ქართული ენის მოკლე აღწერაც. მაგალითად, სალომონ შვაიგერის მოგზაურობის ჩანაწერებში საუბარია საქართველოს, ქართული ენის შესახებ, იქვეა წარმოდგენილი ქართული ანბანი და პირველი ფსალმუნის ქართული თარგმანი ლათინური ტრანსკრიფციით. ესაა ქართული შრიფტის სტამბური გამოყენების პირველი ნიმუში. 1692 წელს ამსტერდამში ჰოლანდიურ ენაზე გამოცემულ ნიკოლას ვიტცენის წიგნში „ჩრდილო და აღმოსავლეთ თათრეთი“, შეტანილია ქართული ანბანი, დამწერლობის ნიმუშები და ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი. საინტერესო ცნობებს შეიცავს ბერნარდე მარია ნეაპოლელის არქივი, სადაც მიაგნეს ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის კატალოგს და ქართული ზღაპრების ჩანაწერებს. ბერნარდე მარია ნეაპოლელმა მე-17 ს-ის 70-იან წლებში ათიოდე წელი დაჰყო საქართველოში.

მომდევნო საუკუნეებში ქართული კულტურის მიმართ ინტერესი უფრო ინტენსიური გახდა.


ქართული ზეპირსიტყვიერება მსოფლიო მითოლოგიის კონტექსტში

„ხალხი კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ იმეორებს შექმნილს“ –
ედუარდ ჰოფმან-კრაირერი

ზღაპარი

ქართულ ზეპირსიტყვიერებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ფოლკლორში. ქართული ხალხური სიტყვიერების საერთაშორისო ფოლკლორის კონტექსტში განხილვისას, პირველ ყოვლისა, ყურადღებას ზღაპარი იქცევს. რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს წაგვიკითხავს ზღაპარი და მასში გადმოცემულ ამბებს ნამდვილად მომხდარად არ აღვიქვამთ. „იყო და არა იყო რა...“ – ასე იწყება ზღაპარი მსოფლიოს სხვადასხვა, მათ შორის ქართულ ენაზეც. სწორედ ამგვარი დასაწყისი მიგვანიშნებს, რომ მოთხრობილი ამბავი მიჩნეულია სინამდვილედ, თუმცა არასოდეს მომხდარა. ზღაპარში არაა მითითებული კონკრეტული ქვეყანა და დრო, მოქმედება ხდება განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში.

ქართული ხალხური ზღაპარი თითქმის ყველა საერთაშორისო ზღაპრის მოტივს იცნობს, თუმცა მას ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც მრავლად აქვს შექმნილი. მაგალითისთვის განვიხილოთ ზღაპარი „ნაცარქექია“, რომლის შინაარსი ასეთია: ერთი ზარმაცი კაცი, რომელიც ბუხართან ჯდომისა და ნაცრის ქექვის მეტს არაფერს აკეთებდა, რძალმა (ზოგიერთი ვერსიის მიხედვით უფროსმა ძმებმა) სახლიდან გააგდეს. მან თან წაიღო გუდით ნაცარი, სადგისი (ლითონის წაწვეტიული სამუშაო იარაღი) და ახალი ყველი. მდინარესთან ის დევს გადაეყარა. ნაცარქექიამ შიში არ შეიმჩნია, გუდას სადგისი შეურჭო და იქიდან გადმოყრილი ნაცრით საშინელი მტვერი დააყენა. შეშინებულმა დევმა ნაცარქექიას სთხოვა, ახლა ქვას წყალი გამოადინეო. მოხერხებულმა ნაცარქექიამ ქვის ნაცვლად ყველს მოუჭირა ხელი და წყალი გამოადინა. შემდეგ კი შეშინებულ დევს მისი მდინარეზე გადაყვანა მოსთხოვა. დევმა ის სახლში დაპატიჟა. სადილის მოსამზადებლად წასულმა მასპინძელმა სტუმარს კეცზე (თიხისგან დამზადებული ტაფა) პურის გადბრუნება სთხოვა. ნაცარქექიამ უზარმაზარი კეცი ადგილიდან ვერ დაძრა და მის ქვეშ მოყვა, სახლში დაბრუნებული დევი კი დაარწმუნა, რომ მუცელი სტკიოდა და თბილი კეცი ტკივილის გასაყურებლად მუცელზე დაიდო. ამან დევი ძალიან შეაშინა. იგი საკუთარი სახლიდან გაიქცა და ცხრა მთას იქით გადაიკარგა. ასე დარჩა ზარმაც და მოხერხებულ ნაცარქექიას დევის ქონება.



ცნობილი ქართველი
მეზღაპრე კ. მშველიძე

მსგავსი სიუჟეტის ზღაპარი გვხვდება თურქულ ფოლკლორშიც სათაურით „შვიდი დევი“, თუმცა განსხვავებებიც თვალსაჩინოა. ზღაპრის მოკლე შინაარსი ასეთია: ერთი ზარმაცი კაცი ცოლებმა სახლიდან საკვების საშოვნელად გააგდეს. კაცმა თან გუდით კვერცხი, საჭმელი და ნაცარი წაიღო. გზაჯვარედინზე ერთ დევს გადაეყარა. თავის არიდება უკვე გვიანი იყო, რადგან დევმა შეამჩნია. კაცმა მას თავი განთქმულ ფალავნად წარუდგინა და გაჯიბრება შესთავაზა. მათ გზაზე მტვერი უნდა დაეყენებინათ და თეთრი ქვისთვის წყალი გამოედინათ. რა თქმა უნდა, დევმა ვერცერთი პირობა ვერ შეასრულა, კაცმა კი გუდას დანა უჩხვლიტა და ნაცრით მტვერი დააყენა, ხოლო კვერცხზე ხელის მოჭერით კი ვითომ თეთრ



ქვას წყალი გაადენინა. დევმა ის სახლში წაიყვანა, მაგრამ მის ძმებს სტუმარი არ მოეწონათ. მათ კაცის თავიდან მოშორება გადაწყვიტეს და მთაში შეშის მოსატანად გაგზავნეს. კაცმა გამოსავალი აქაც იპოვა და დევებს თავი მოაჩვენა, თითქოს მათთვის მთელი მთის მიტანა უნდოდა. დევები შეშინდნენ და ღამით მისი მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ კაცი საწოლში არ ჩანვა და იქ კუნძი ჩადო, დილით კი დევებს ცოცხალი და უვნებელი დახვდა. შეშინებულმა დევებმა დიდძალი ოქროთი

დაასაჩუქრეს და სახლში გაუშვეს. ასე მოატყუა ღარიბმა და მოხერხებულმა კაცმა დევები.

ქართულ ზღაპარში საინტერესოა პერსონაჟის მეტსახელი – „ნაცარქექია“ („ნაცარი“ და „ქექვა“). როგორც ჩანს, ეს სახელი ქართველებმა ზღაპრის პერსონაჟს იმიტომ შეარქვეს, რომ ის ბუხართან ჯდომისა და ნაცრის ქექვის მეტს არაფერს აკეთებდა. სხვა ქვეყნის ზღაპრებში იგი ზოგადი სახელითაა მოხსენიებული, მაგალითად: კაცი, სულელი კაცი, ღარიბი კაცი, ზარმაცი კაცი, თაღლითი კაცი, გამოჩენილი მოჭიდავე (ფალავანი) და ა.შ. გარდა ამისა, ქართულ ზღაპარში დასახელებულია ისეთი საგნები (სადგისი, კეცი, ხმიადი, ხელადა, ქვევრი), რომლებიც ქართულ ყოფით სინამდვილეს ასახავს.

მითი

ზღაპრისგან განსხვავებით, მითი განსაზღვრულ ქვეყანაში (საბერძნეთში, საქართველოში, ეგვიპტეში, ირანში, ინდოეთში და ა.შ.) და განსაზღვრულ (კაცობრიობის ისტორიამდელ) დროში ხდება, თუმცა მისი კვალი ყოველდღიურობაშია შემორჩენილი (მაგ., ცეცხლის აღმოჩენის მითოსი). მითოსი სარწმუნოა, რადგან ჩვენს ყოფასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

რა არის მითი? „მითოს“ ბერძნული სიტყვაა და მას ბევრი მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს სიტყვას, ნათქვამს, გამონათქვამს, ასევე ამბავს. მითი კაცობრიობის წინაისტორიულ ხანაში ღმერთების საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს. მაგ., როგორ შექმნეს ღმერთებმა სამყარო, როგორ შეიქმნა ან გაჩნდა ესა თუ ის საგანი, როგორ და რატომ შექმნეს ადამიანი და ა.შ.

როდესაც მითოსზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ბერძნული მითოლოგია გვახსენდება. ელინურ მითოსში ძალზე პოპულარული სიუჟეტია ოქროს საწმისისთვის არგონავტების კოლხეთში ლაშქრობა. არ დარჩენილა ანტიკური ეპოქის ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელსაც ეს მითოსი მთლიანად ან ეპიზოდების სახით არ გადაემუშავებინა. იგი განსაკუთრებით საინტერესოა ქართველებისთვის, რადგან მასში არეკლილია ბრინჯაოს ეპოქის კოლხური კულტურის სიდიადე. კოლხეთი (კოლხიდა) მთელ შავიზღვისპირეთში ქართველი ტომებით დასახლებული ერთ-ერთი ძლიერი და სუვერენული სამეფო იყო. მისი დედაქალაქი და სამეფო სასახლე სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით გამოირჩეოდა. მისი აღმავლობის ხანად ძვ. წ. აღ. XIV-XII საუკუნეები ითვლება. არგონავტების მითი მოგვითხრობს, რომ თესალიის ქალაქ ილკოსის მეფე ესონს საკუთარმა ძმამ, პელიასმა, ძალაუფლება და მემკვიდრეობა წაართვა. ესონს შეეძინა ვაჟი, იასონი, რომელიც მამამ გადარჩენის მიზნით მკვდრად გამოაცხადა, გახიზნა და აღსაზრდელად კენტავრ ქირონს მიაბარა. გაზრდილი იასონი გამოეთხოვა აღმზრდელს და თავგადასავლების საძებნელად გაემართა. სწორედ ამ დროს შეხვდა იგი მოხუცი ქალის სახით მოვლენილ ქალღმერთ ჰერასს, რომელიც მდინარეზე გადაიყვანა და ამით მისი გული მოინადირა. ამიერიდან ქალღმერთი მისი მფარველი გახდა.

იასონი ქალაქ იოლკოსში დაბრუნდა და პელიასს უთხრა, რომ ძალაუფლების დაბრუნება სურდა. ბიძამაც უპასუხა, რომ ტახტს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუთმობდა, თუ იგი კოლხეთიდან ოქროს საწმისს ჩამოუტანდა. ახალგაზრდა იასონი თავგადასავლებზე ოცნებობდა. მან შეკრიბა კოლხეთში ლაშქრობის მსურველები. მათ შორის იყვნენ ჰერაკლე და თესევსი. ათენას შემწეობით ააგო ორმოცდაათნიჩბიანი ნაგი „არგო“, რაც „სწრაფადმავალს“ ნიშნავს, და გაემართა კოლხეთისაკენ. მრავალი განსაცდელისა და თავგადასავლის შემდეგ არგონავტებმა მოაღწიეს კოლხეთის მდინარე ფასისს (დღევანდელი რიონი) და ფეხით გაუდგნენ გზას ქალაქ კვიტიასკენ (დღევანდელი ქუთაისი), სადაც იდგა მზის ძის, აიეტის დიდებული სასახლე.

მეფე აიეტმა თავაზიანად მიიღო სტუმრები და ოქროს საწმისის სანაცვლოდ ძნელად შესასრულებელი დავალება მისცა იასონს: მას უღელში უნდა შეეხებოდა სპილენძის ფეხებიანი და ცეცხლის მფრქვეველი ხარები, მოეხნა არესის ველი, დაეთესა გველეშაპის კბილები და გაენადგურებინა მინიდან ამოსული შეიარაღებული მეომრები. ბოლოს კი ოქროს საწმისის მცველი დრაკონი უნდა მოეკლა. მართალია, იასონს საბერძნეთის დიდი ღმერთები მფარველობდნენ, მაგრამ მან ეს დავალება მასზე შეყვარებული მედეას დახმარებით შეასრულა. გრძელმა ქალმა იასონს არა მარტო ოქროს საწმისი მოაპოვებინა, არამედ გაქცევაშიც დაეხმარა და თვითონაც თან გაჰყვა საბერძნეთში.

მედეა ჯადოსნურ ძალას ფლობდა (მისი სახელიდან წარმოდგება სიტყვა „მედიცინა“). „მედეა“ ბერძნულად „ბრძენ ქალს“ ნიშნავს. ის ბერძნული მითოლოგიის გრძელული ქალღმერთის, კირკეს ძმისშვილია. სწორედ მამიდისგან შეისწავლა მედეამ გრძელულების ხელოვნება. მას ემორჩილებოდნენ ჰაერის, მიწის, ზეცის, ქარების, მთების, მდინარეების, ტბების სულები, ტყისა და ღამის ღვთაებები. საბერძნეთში ამ კოლხი ქალის კულტი იყო. მისი სილამაზე, სისასტიკე და ჯადოქრობის ნიჭი ქართულ-ბერძნული მითოლოგიის საზღვრებს გასცდა.

იასონმა დაარღვია მედეასათვის მიცემული სამუდამო ერთგულების პირობა და კორინთოს მეფის ასულზე, კრეუსაზე დაქორწინება გადაწყვიტა. მეფე კრეონმა მედეას ქალაქის დატოვება მოსთხოვა. გამმაგებულმა კოლხმა ქალმა შვილების ხელით საშინელი შხამით გაჟღენთილი მოსასხამი და გვირგვინი გაუგზავნა კრეუსას, რასაც იასონის საცოლისა და მამამისის სიცოცხლე შეენირა.

არგონავტების მითი ლიტერატურულად გადაამუშავეს ისეთმა ცნობილმა ავტორებმა, როგორებიც არიან აპოლონიოს როდოსელი და ევრიპიდე. მათ ნაწარმოებებში მედეა საკუთარი ხელით კლავს თავის ორ ვაჟს და ამით შურს იძიებს მოლაღატე ქმარზე. თუმცა ანტიკური ხანიდან მოყოლებული მითის ადრეულ ვერსიებში ეს ასე არ ხდება. აპოლონიოს როდოსელსაც და ევრიპიდესაც უნდოდათ მძაფრად გადმოეცათ დედობრივი და ქალური გრძნობების ჭიდილი. თავისი საქციელით მედეამ შვილები საყოველთაო შეურაცხყოფასა და



ჟაკ-ფრანსუა დე ტრუა.
იასონი ფიცს აძლევს მედეას.



ეჟენ დელაკრუა. მედეა

დაცინვას გადაარჩინა. ხოლო იასონზე შური იმით იძია, რომ ნება არ დართო, უკასკნელად შეხებოდა დაღუპული ვაჟების ცხედრებს. კოლხი ასული ბოლოს ცოლად გაჰყვა მეფე ეგეესს და მასთან შეეძინა ვაჟი მედოსი. სწორედ ის დაეხმარა საკუთარ პაპას, აიეტს, დაკარგული ძალაუფლების დაბრუნებაში. ასეთი ტრაგიკული იყო გრძნეული კოლხი ასულის – მედეას ცხოვრება, რომელიც ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაჟია.

ამირანი

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში საკმაოდ პოპულარულია ტრაგიკული ეპოსის გმირი – ამირანი. მისი ამბავი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული. სასწაულებრივად დაბადებული და გადაგდებული ბავშვი შემთხვევით გადარჩა და ობლობაში გაიზარდა. მისი ნათლია ქრისტე ღმერთია. მან ამირანს ზებუნებრივი ძალა მიანიჭა, რათა



გუსტავ მორო. მიჯაჭვული პრომეთე

ქვეყანაზე სიკეთე დაემკვიდრებინა. იგი თავის ძმებთან – ბადრისა და უსუბთან ერთად ებრძვის ბოროტ ძალებს, დევებს, რათა ადამიანებს დაუბრუნოს მათ მიერ მიტაცებული ტერიტორიები. ამირანი ამთავრებს ცამცუმის (გმირი, რომელიც დევებთან ბრძოლას შეენირა) დაწყებულ საქმეს და უკანასკნელი ბაყბაყდების დამარცხებით სპობს ბოროტებას. გარდა დევებისა, ამირანი ასევე ამარცხებს გველეშაპს, მაგრამ ამჯერად ბრძოლის მეთოდები განსხვავებულია. გველეშაპმა გმირი აუცილებლად უნდა ჩაყლაპოს, რათა ბოროტების დამარცხება შიგნიდან, მისი მუცლიდან, მოხდეს. სხვაგვარად შეუძლებელია. ასე ამარცხებს ბერძნული მითოლოგიის გმირი ჰერაკლე ურჩხულს, იასონი კი – ოქროს საწმისის მცველ გველეშაპს. ამგვარად, გმირი ხელახლა იბადება, რათა გააგრძელოს საგმირო საქმეები. გველეშაპის მუცლიდან შობის შემდეგ ამირანმა განახლებული ძალით დაამარცხა ამბრი არაბი და მზეთუნახავი ყამარი გამოიხსნა. ამ გამარჯვებებმა ამპარტავან ადამიანად აქცია ამირანი. დაარწმუნა, რომ მისი მომრევი დედამიწაზე აღარავინ იყო. იგი იმდენად გაკადნიერდა, რომ საკუთარ ნათლიას, ღმერთს

გაუტოლდა, რის გამოც დაისაჯა და დღემდე კავკასიონის ქედზეა მიჯაჭვული. ამით ამირანი ძალიან ჰგავს ბერძნული მითოსის ერთ-ერთ გამორჩეულ პერსონაჟს – პრომეთეს. გადმოცემის თანხმად, ისიც კავკასიონის მთაზეა მიჯაჭვული, თუმცა სხვადასხვაგვარია ამ ორი გმირის მიჯაჭვის მოტივი. პრომეთეს შემთხვევაში ყველაზე გავრცელებული ვერსიაა ადამიანებისთვის ცელცხლის მოტანა, ანუ ცეცხლის საიდუმლოს გამჟღავნება.

ამირანისა და პრომეთეს მსგავსი გმირები სხვადასხვა ქვეყნის ზეპირსიტყვიერებაში შეიძლება შეგვხვდეს (მაგალითად, ოსი ბათრადი, სომეხი მჰერი, სამხრეთელი სლავი მარკო კრალევიჩი, აფხაზი აბრსკილი და სხვა). თითოეული მათგანი ადამიანური შესაძლებლობის ზღვარს სცდება და ღმერთთან გატოლებისთვის ისჯება.

მე-17 საუკუნეში ჩანარილი ქართული ზღაპრები

(ადაპტირებული ტექსტი)

პირველი ცნობები მე-17 საუკუნეში შეკრებილი „ქართული ზღაპრების“ შესახებ ეკუთვნის გერმანელ ენათმეცნიერს ჰუგო შუხარდტს (1896 წ.). 1902 წელს ქართველმა მეცნიერმა, მიხეილ თამარაშვილმა, რომელიც რომის კათოლიკური ეკლესიის აბატი იყო (იტალიაში მას იცნობდნენ, როგორც მიქელ თამარათის), გამოცა მონოგრაფია „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. წიგნში შეტანილია პატრი ბერნარდე ნეაპოლელის არქივის მოკლე მიმოხილვა. იმ ხელნაწერთა შორის, რომლებიც მკვლევარს კაპუცინების ძველი მონასტრის არქივში უპოვია, მითითებული არის „ქართული ზღაპრები“. მიხეილ თამარაშვილი წერს, რომ ეს არის პატარა წიგნი და შეიცავს 10 ზღაპარს. ამასთანავე, მას გაუკეთებია ამ წიგნის ასლი, რომელსაც საინტერესო ცნობა ახლავს მასალის იტალიურ ხალხურ შემოქმედებასთან მიმართების თაობაზე – ქართული ზღაპრები დიდად არ განსხვავდებიან ნეაპოლიტანურ მოთხრობებისგან. ეს შეფასება იტალიელ მოღვაწეს უნდა ეკუთვნოდეს და გარკვეული მნიშვნელობის მქონეა, როგორც ევროპაში გამოთქმული აზრი ქართული ეროვნული სიტყვიერების, კერძოდ, ზღაპრული ეპოსის შესახებ. ამაზე უფრო ადრინდელი მოსაზრება ქართული ზღაპრული სიუჟეტების შესახებ ახალ ევროპულ ენებზე არ გვეგულება. აქედან გამომდინარე, მე-17 საუკუნის 70-იანი წლები ქართული ზღაპრული ეპოსის შესწავლის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული სიტყვები თუ ბერნარდე ნეაპოლელს ეკუთვნის, მაშინ იგი არა მხოლოდ შემკრების, არამედ დამკვირვებლის, შემსწავლელის როლშიც გვევლინება.

ბერნარდეს არქივი ნეაპოლის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში განთავსდა და ჩვენთვის საინტერესო ქართულ ზღაპართა კრებულიც სწორედ იქ ინახებოდა. ნეაპოლის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ქართული ხელნაწერების, კერძოდ, ქართული ხალხური ზღაპრების კრებულის აღმოჩენამ ყურადღება გაამახვილა იმ პიროვნების მიმართ, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ჩვენი კულტურის ამ ძეგლების მოხვედრა იტალიის ერთ-ერთ უმშვენიერეს ქალაქში. ეს პირი გახლავთ კაპუცინთა ორდენის კათოლიკე ბერი ბერნარდე ნეაპოლელი. იგი ერთ-ერთი იყო იმ რვა კაპუცინს შორის, რომლებიც 1661 წელს საქართველოში კათოლიკობის გასავრცელებლად გამოიგზავნა.

ბერნარდე ნეაპოლელი ორჯერ ეწვია საქართველოს. მეორედ იგი 1670 წელს ჩამოვიდა და ცხრა წელი დარჩა. ბერნარდე დაუკავშირდა კაპუცინ მისიონერებს და ფართო მოღვაწეობა გააჩაღა. საეკლესიო მსახურების გარდა, სხვა მისიონერების მსგავსად, იგი საქართველოში ექიმად მუშაობდა, სწავლობდა ქართულ ენას, ეცნობოდა სასულიერო და საერო კულტურას, დაიწყო მთარგმნელობითი საქმიანობა – ქართული ენიდან იტალიურზე და იტალიურიდან ქართულზე, შეადგინა სარწმუნოებრივი შინაარსის თხზულებები. ასე რომ, ბერნარდე ნეაპოლელმა კარგად იცოდა ქართული ენა და თავისუფლად იყენებდა მას როგორც სამისიონერო, ისე ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

ქართული დამწერლობის სათავეებთან

ქართული დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მისი წარმოშობის ამბავი ლამაზ ლეგენდას მოგვაცხადებს: ქრისტეს დაბადებამდე სამი საუკუნით ადრე მცხეთაში ცხოვრობდა ერთი მამაცი ჭაბუკი, სახელად ფარნავაზი. მამით ქართველი იყო, დედით – სპარსელი. მამამისი ალექსანდრე მაკედონელთან ბრძოლაში მოკლეს. მამის ფარნავაზი სამი წლის იყო. როცა გაიზარდა, გონიერი და მამაცი ჭაბუკი გახდა. იგი შესანიშნავი მხედარი და მონადირე იყო. მისმა ქებამ ქართლის მთავრის, აზონის ყურამდეც მიაღწია. ფარნავაზის დედას ეშინოდა, რომ აზონს მისი შვილისთვის რაიმე არ დაეშავებინა. ბიჭი დიდგვაროვანი წარმოშობისა იყო, თანაც მცხეთის ყოფილი მამასახლისის ძმისშვილი. დედა ევედრებოდა შვილს, სპარსეთში წასულიყვნენ. იქ მათ სიცოცხლეს არაფერი დაემუქრებოდა. ფარნავაზს ენანებოდა სამშობლოს დატოვება, მაგრამ დედას მაინც დათანხმდა. გამგზავრების წინ უცნაური სიზმარი ნახა:



ფარნავაზ მეფე


ვითომ ერთ ცარიელ სახლში იყო, გარეთ გასვლა უნდოდა და კარს ვერ პოულობდა. უცებ შემოვიდა სარკმლიდან მზის სხივი, წელზე შემოერთყა და ლამაზ მინდორში გაიყვანა. ფარნავაზმა დაინახა, რომ დედამინაზე მზე ჩამოსულიყო, მოჰხვია ხელები და მისი ნათელი სახეზე იცხო. გაღვიძებულმა გადაიფიქრა სპარსეთში გამგზავრება. მიხვდა, რომ ეს უცნაური სიზმარი დიდებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ასეც მოხდა. ერთ დღეს ფარნავაზი სანადიროდ წავიდა. დიღმის ველთან ირემი შენიშნა და დაედევნა. სტყორცნა ისარი. დაჭრილმა ნადირმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ერთ კლდესთან დაეცა. კლდეში გამოქვაბული იყო გამოკვეთილი. შევიდა ფარნავაზი და იქ უამრავი ოქრო-ვერცხლი ნახა. მაშინვე გაახსენდა თავისი სიზმარი და მიხვდა, რომ კეთილად აუხდებოდა. ამ საგანძურით მან დაიქირავა ოსი, ლეკი და რომაელი მეზობლები. კოლხეთის მეფის, ქუჯის დახმარებით დაამარცხა აზონი და რამდენიმე წელიწადში გააერთიანა საქართველო. მანვე დაუდო სათავე ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიას. ფარნავაზი ოცდაშვიდი წლის ავიდა სამეფო ტახტზე და სამოცდახუთი წელი იმეფა. მან მაკედონელის მიერ დანგრეული ციხეები აღადგინა, მცხეთას მტკიცე გალავანი შემოარტყა და არმაზის კერპი აღმართა. მთელ თავის სამფლობელოში გაავრცელა ქართული ენა და მანვე შექმნა ქართული ანბანი.



პალესტინის, იგივე ბირ ელ ყუტის ქართული მონასტრის წარწერა. ახ. წ. აღ–ის 430 წ.

ფარნავაზის ამბავი XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაშია გადმოცემული, რომელსაც მეფეთა ცხოვრება ჰქვია. ზოგიერთმა ეს ამბავი შეიძლება ლეგენდად მიიღოს და ეჭვი შეიტანოს მის რეალურობაში. მაგრამ განა არსებობს ისტორია ლეგენდის გარეშე? თუნდაც ბრიტანეთის მეფეთა ისტორია (*Historia Regum Britanniae*) არ მეთყველებს მისი ავტორის მდიდარ ფანტაზიასა და ბელეტრისტულ ნიჭზე? ეს არის პირველი ლიტერატურული წყარო, რომელშიც ლეგენდარული არტური მეფედ და რეალურ პიროვნებად იხსენიება. დღესაც არსებობს არაერთი ისტორიკოსი, რომლებიც ეჭვის თვალთ უყურებენ ამ ნაწარმოებში აღწერილ ფაქტებს. ის მითოლოგიურ ეპოსად უფრო მიაჩნიათ, ვიდრე მათიანედ. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ თხზულების გამოჩენის შემდეგ დაუკავშირდა არტური ბრიტანეთის ისტორიას და იქცა შუასაუკუნეების რაინდული რომანების მთავარ პერსონაჟად. უფრო მეტიც. მისი სახელი შორს გასცდა ბრიტანეთის

საზღვრებს და უდიდესი პოპულარობა კონტინენტურ ევროპაში მოიპოვა. იგივე შეიძლება ითქვას მეფეთა ამბავში დაცული ცნობების შესახებ. ძველ საქართველოში მათ სისწორეში ეჭვი არავის შეუტანია. ფარნავაზს ქართული ანბანის შემქმნელად მიიჩნევდა ყველა დროის ქართველი მწერალი. XIX საუკუნის პოეტი გრიგოლ ორბელიანი თავის ისტორიულ პოემაში ფარნავაზ მეფის ორ დამსახურებას უსვამდა ხაზს: ქვეყნის გაერთიანებას (“ჰქმენ ერთ-მთავრობა”) და დამწერლობის შექმნას (“მოეც ქართველს წიგნი პირველი”). ამ ცნობის სისწორე ეჭვქვეშ დადგა მხოლოდ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნდა, რომ ქართული დამწერლობა მხოლოდ ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ უნდა შექმნილიყო. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები. არცერთი მათგანი მე-5 საუკუნეზე ადრინდელი არ არის. ამ ფაქტზე დაყრდნობით ფარნავაზის ვერსიის მონინალმდევნი ასკვნიდნენ: ქრისტიანობა წიგნიერი რელიგიაა. ბევრ ქრისტიან ქვეყანაში, მაგალითად სომხეთში, დამწერლობა სწორედ ქრისტიანობის შემოსვლის შედეგად გაჩნდა. წარმართულ საქართველოში ახალი რელიგია კაპადოკიელმა ქალმა, ნინომ, იქადაგა. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ქართული დამწერლობაც ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ბერძნული ანბანის საფუძველზე შექმნილიყო. ამ მოსაზრებას განამტკიცებდა ის ფაქტიც, რომ ქართულში წერა-კითხვასთან დაკავშირებული ყველა ტერმინი ბერძნულიდან არის ნასესხები. კალამი – კალამოს, მელანი – მელანოს, წიგნი – სიგნუმ. ქართველები ბერძნების მსგავსად წერენ და კითხულობენ მარცხნიდან მარჯვნივ. ქართულ ანბანს, ისევე როგორც ბერძნულს, აქვს ხმოვანი ასოები; ასოების რიგი და თანამიმდევრობა ქართულში ისეთივეა, როგორიც ბერძნულში; მსგავსია ასოების რიცხვითი მნიშვნელობებიც. თითქმის ერთგვარია ასოთა გრაფიკული სისტემაც – ხაზი და წრე.



ბოლნისის სიონის ეკლესიის
ქართული
წარწერა. მე-5 ს.

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ რა ვუყოთ მეფეთა ამბავში დაცულ ცნობას? ნუთუ ლეონტი მროველი მკითხველს ყალბ ცნობას მიაწოდებდა?

მეფეთა ამბავი საქართველოს ისტორიის ამსახველი ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. ეს არის პირველი ნაწარმოები, რომლითაც იხსნება ისტორიულ თხზულებათა ვებებრთელა კრებული – ქართლის ცხოვრება. ლეონტი მროველი აღწერს ქართველ მეფეთა მოღვაწეობას უძველესი დროიდან XI საუკუნემდე. ამ თხზულებაში განცალკევებით დგას ფარნავაზის ამბავი. ეს ეპიზოდი განსხვავებული მანერითა და სტილით არის დანერილი. განსხვავებულია მისი მხატვრული სამყაროც. ეს ფაქტი საფუძველს აძლევს ისტორიკოსებს იფიქრონ, რომ ფარნავაზის ცხოვრება დანერილია XI საუკუნეზე ადრე, პრექრისტიანულ ეპოქაში და ის მზა სახით არის ჩასმული მეფეთა ამბავში. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ცნობას ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შექმნის თაობაზე ჰქონია კონკრეტული ისტორიული წყარო.

ლეონტი მროველის ისტორიაში არაფერია ნათქვამი, თუ რომელი ანბანის საფუძველზე შექმნა ფარნავაზმა ქართული დამწერლობა. თუმცა იმისი თქმა დანამდვილებით შეიძლება, თუ როგორი იყო ეს ანბანი. უძველეს წარწერებსა და ხელნაწერებში დაცული ქართული ასოები მრგვალი მოხაზულობისაა, ამიტომ მას მრგლოვანი ჰქვია. IX საუკუნიდან ის შეცვალა კუთხოვანმა შრიფტმა, რომელიც უფრო ტევადი და ადვილად სანერი იყო. ქართული დამწერლობის მესამე სახეობა გვხვდება X საუკუნიდან. ძველად მას იყენებდნენ უმთავრესად საერო პირები – ვაჭრები, მხედრები. სწორედ ამიტომ ეწოდა მას მხედრული; კუთხოვანს კი, რომელიც იხმარებოდა რელიგიური ხასიათის ტექსტებში – ხუცური (სიტყვა ხუცვის სასულიერო პირს, მღვდელს ნიშნავს). თანამედროვე ქართული დამწერლობა მხედრულია.

ქრისტიანობა და ქართული კულტურა

წმინდა ნინო

საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქრისტიანობის მიღება და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. პირველად ახალი რელიგია საქართველოში ქრისტეს მოციქულმა, ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა. თუმცა კიდევ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართველები წარმართებად რჩებოდნენ. ქართლი მოაქცია (გააქრისტიანა) კაპადოკიელმა ქალმა ნინომ, რომელიც უცხო ქვეყანაში ღვთისმშობლის მოწოდებით ჩამოვიდა.

ნინო იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის დისწული იყო. ბიძამ ის აღსაზრდელად სარა ბეთლემელს მიაბარა. მისგან შეიტყო ნინომ, რომ მაცხოვრის კვართი (სამოსელი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმისას ეცვა) წარმართთა ქალაქ მცხეთაში იყო დაფლული. თურმე იერუსალიმში მაცხოვრის ჯვარცმას მცხეთელი ებრაელები – ელიოზი და ლონგინოზი – დაესწრნენ. მოხუცებული დედა ნასვლის წინ შეევედრა ელიოზს, არ მიეღო მონაწილეობა უდანაშაულო კაცის მკვლელობაში; დამ კი სთხოვა მისთვის იესოს ხელშენახები რაიმე ნივთი ჩამოეტანა.



წმინდა ნინო

ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ უფლის კვართი მცხეთელებს ხვდათ წილად. მცხეთაში ის ელიოზმა ჩამოიტანა. მისი და სიხარულით მიეგება, გამოართვა კვართი, გულში ჩაიკრა და გარდაიცვალა. ელიოზმა კვართიანად დამარხა იგი, რადგან ხელიდან ვერაფრით გააშვებინა. ამ ამბის მოსმენის შემდეგ ნინო ოცნებობდა იმ ადგილის ნახვას, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული.

ერთხელ ნინოს ლოცვისას ღვთისმშობელი გამოეცხადა. მან მოუწოდა ქალწულს, გამგზავრებულიყო შორეულ ქვეყანაში, საქართველოში, და ქრისტეს რჯული ექადაგებინა. ნინომ უპასუხა: „დედოფალო, როგორ შეეძლებ ასეთი ახალგაზრდა და სუსტი ქალი ამდენი ხალხის წინამძღვრობას?“. მაშინ ღვთისმშობელმა იქვე ამოსული ვაზის ტოტებისგან ჯვარი გააკეთა, ნინოს მისცა და უთხრა: „ამით დასძლევ ეშმაკს და ყველა დაბრკოლებას, მე კი განსაცდელში არ მიგატოვებო“.

უფლის წინამძღვრობით ნინომ ჩააღწია მცხეთაში. არმაზის კერპის თაყვანისცემისთვის უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ნინო მათ შეუერთდა და მალე დაინახა შემალღებულ ადგილას აღმართული არმაზის კერპი. მას ტანზე ოქროს ჯაჭვი ემოსა, თავზე ოქროს ჩაფხუტი ეხურა. თვალების ნაცვლად ძვირფასი თვლები ჰქონდა ჩასმული. მარჯვნივ ოქროს კერპი ედგა – გაცი, მარცხნივ კი ვერცხლისა – გაიმი. ისინი ქართველებს ღმერთებად მიაჩნდათ. ნინო უფალს შეევედრა, რომ გამოეჩინა თავისი ძალა, რათა გონებადაბნელებულ ქართველებს ჭეშმარიტი ღმერთი ელიარებინათ.

დაასრულა თუ არა ლოცვა, ატყდა ჭექა-ქუხილი და საშინელი ქარი ამოვარდა. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. საშინელმა სეტყვამ დალენა კერპები. ვერავინ მიმხვდარიყო ამ სტიქიური უბედურების მიზეზს. ნინო მცხეთაში დარჩა და სამეფო ბაღში ერთ მაყვლის ბუჩქთან დასახლდა. მალე მთელ მცხეთაში გაითქვა სახელი, როგორც სასწაულმოქმედმა. მისი



სამთავროს მონასტერი. წმინდა ნინოს სენაკი და მაყვლის ბუჩქი

ლოცვით დიდი ხნის უშვილო ოჯახს შვილი შეეძინა, მრავალი ავადმყოფი განიკურნა, მათ შორის ქართლის დედოფალი ნანა. ბევრმა ირწმუნა ნინოს ღმერთის ძალა, გარდა მირიან მეფისა.

ერთხელ მეფე მხლებლებთან ერთად სანადიროდ გაეშურა. თხოთის მთაზე ასულს უცებ თვალთ დაუბნელდა. მეფემ საშველად არმავს და ზადენს უხმო, მაგრამ ამოდ. მირიანი იძულებული გახდა დახმარება ნინოს ღმერთისთვის ეთხოვა. წარმოთქვა თუ არა ლოცვა, მაშინვე აეხილა თვალი.



სვეტიცხოვლის ტაძარი

სასახლეში დაბრუნებულმა მირიანმა ირწმუნა ქრისტეს ძალა და ბრძანა მის სადიდებლად ტაძარი აეგოთ. ტაძრის სვეტებისთვის ის კვიპაროსი შეარჩიეს, რომლის ქვეშაც ქრისტეს კვართი იყო დაფლული. მოჭრილმა ხემ საოცარი სურნელი გამოსცა. როცა მისგან დამზადებული სვეტის აღმართვა დააპირეს,

ის ვერაფრით დაძრეს ადგილიდან. იმ ღამით ნინოს ნათლით მოსილი ქაბუკი გამოეცხადა. მან ხელი მოჰკიდა სვეტს და მალლა წაიღო. სვეტი ჰაერში გაჩერდა. ის საოცარ ნათელს და სურნელებს გამოსცემდა. შემდეგ ნელ-ნელა ძირს დაეშვა და მიწას შეეზარდა. სწორედ ამ სვეტით აიგო ეკლესია, რომელსაც სვეტიცხოველი უწოდეს. სიტყვა ცხოველი ძველ ქართულში ცოცხალს ნიშნავს. ეს სვეტი და მისგან აგებული ეკლესია იყვნენ სიმბოლო ქრისტიანული რელიგიისა, რომელიც ადამიანებს მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებდა.

მეფე მირიანმა ქრისტიანობა ქართლში ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. ნინომ საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა ქრისტეს რჯულზე მოაქცია, თვითონ კი უფლის მოწოდებით სოფელ ბოდბეში დასახლდა. საქართველოს განმანათლებელი წმინდა ნინო ბოდბეში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული.

ეს ამბები მოთხრობილია ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელსაც ნინოს ცხოვრება ჰქვია. ნინო იმდენად პოპულარული წმინდანი იყო საქართველოში, რომ მისი ცხოვრება ოთხმა სხვადასხვა ავტორმა აღწერა. ოთხივე მათგანი მოგვითხრობს, რომ წმიდა ნინოს მოთხოვნით მეფე მირიანმა საბერძნეთში მოციქულთა მეშვეობით შეუთვალა იმპერატორ კონსტანტინეს, რომ ქართლში სასულიერო პირები გამოეგზავნა. ჩანს, რომ ქრისტიანობის მიღებისთანავე ქართველები ეძებდნენ მჭიდრო კონტაქტებს ბიზანტიასთან. ახალი რელიგია ქართლში საბერძნეთიდან იყო შემოსული. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ღვთისმსახურება ქართველებს სწორედ ბერძნებისგან უნდა ესწავლათ. ნინოს ცხოვრებაში ისიცაა ნათქვამი, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ დიდი პატივით მიიღო ქართლიდან წარგზავნილი მოციქულები და ქართლში ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი მიავლინა. იმპერატორის დედამ, ელენე დედოფალმა, კი გამოუგზავნა ნინოს და მირიანს იმ წმიდა ჯვრის ნაწილი, რომელზეც ქრისტე იყო გაკრული, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები.

ქართული აგიოგრაფიული მწერლობა

ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველოში ახალი ერა დადგა. ქართველებმა თანდათან მიივიწყეს ძველი კერპები. ნინოს ცხოვრებაში აღწერილი არმავის, გაცისა და გაიმის დამსხვრევა სიმბოლურად ახალი იდეოლოგიის ძველზე გამარჯვებას აღნიშნავს. ახალი რელიგიის შემოსვლასთან ერთად შეიცვალა ქართველების მსოფლმხედველობა და ესთეტიკური გემოვნება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ანტიკური ეპოქის ქართული ხელოვნების ნიმუშები გამოირჩევა დინამიკურობით, დეტალების



ოქროს ლომი. ძვ.წ. აღ-ის მე-3 ათასწლეული. წნორი

მაქსიმალური დამუშავებით. ძველი ქართველები, ძველი ბერძენებისა და რომაელების მსგავსად, ხელოვნებაში აღიარებდნენ პრინციპს: „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“. სრულიად განსხვავებული პრინციპებით იქმნებოდა ქრისტიანული ხელოვნება და ლიტერატურა. სხეულის სილამაზის ნაცვლად აქცენტი აქ სულის მშვენიერებაზე იყო გადატანილი. ყველა ქრისტიანისთვის უმთავრესი იდეალი იყო ქრისტე. თუმცა ქრისტიანებს შორის იყვნენ გამორჩეულებიც. ისინი ცდილობდნენ ქრისტეს გზის განმეორებით ზეციური სასუფეველი მოეპოვებინათ.

ეს რჩეულები წმინდანები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი ქრისტიანობას სიცოცხლეს სწირავდა, ზოგიერთი – მთელი ცხოვრება დაულალავად მოღვაწეობდა რწმენის განმტკიცებისთვის. წმინდანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას აღწერდა ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრი, აგიოგრაფია.

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად განვითარდა სასულიერო მწერლობის ყველა დარგი. თავდაპირველად ეს ლიტერატურა ნათარგმნი იყო. თუმცა უკვე მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლი შუშანიკის წამება.

აგიოგრაფიული თხზულებები ორი სახისაა – წამებანი და ცხოვრებანი. ქართული ორიგინალური აგიოგრაფია განვითარების პირველ ეტაპზე წამებათა ჟანრის თხზულებებით იყო წარმოდგენილი. ამის მიზეზი საქართველოს მძიმე პოლიტიკური სიტუაცია იყო. მე-5 საუკუნეში ქართლი სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა. მოგვიანებით სპარსელები არაბებმა შეცვალეს, არაბები – მონღოლებმა, თურქ-სელჩუკებმა, ირანელებმა... ყველა მორიგი დამპყრობელი ხედავდა, რომ ქართველებისთვის სარწმუნოების დაცვა ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების უმთავრესი პირობა იყო. ამიტომ ისინი ქრისტიანული სარწმუნოების საკუთარი რელიგიით შეცვლას ცდილობდნენ. შუშანიკის წამებაშიც პერსონაჟთა დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე ხდება. აქაც, ისევე როგორც ამ ჟანრის ყველა სხვა ნაწარმოებში, დაცულია ტრადიციული სქემა: ქრისტიანობის დამცველი წმინდანი – შუშანიკი, ცოდვილი და მწამებელი – მისი ქმარი, ქვემო ქართლის პიტიახში (პროვინციის გამგებელი) ვარსქენი და ამბის მთხრობელი, იგივე ავტორი, იაკობ ცურტაველი. პიტიახში ოჯახში ტრაგედია ხდება მას შემდეგ, რაც ვარსქენი პოლიტიკური მიზნებისთვის სარწმუნოებას შეიცვლის. სპარსეთის მეფის გულის მოსაგებად იგი ცეცხლთაყვანისმცემელი გახდება. პროტესტის ნიშნად შუშანიკი დატოვებს ქმრის სახლს და შვილებთან ერთად ეკლესიას შეაფარებს თავს. ვარსქენი შეეცდება ცოლის შინ დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. იგი სასტიკად აწამებს შუშანიკს, საპყრობილეში ჩააგდებს, სადაც ექვსი წლის ტანჯვის შემდეგ წმინდანი გარდაიცვლება. ერთი შეხედვით, ეს ნაწარმოები ჩვეულებრივი აგიოგრაფიული თხზულებაა – მსგავსი სიუჟეტი ამ ჟანრის არაერთ ბიზანტიურ ძეგლში გვხვდება. თუმცა მასში მაინც არის რაღაც, რაც ჟანრული ჩარჩოების გარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ. აგიოგრაფიული თხზულება არ უნდა ხატავდეს ხასიათს, ინდივიდს. აქ არც პერსონაჟების განცდები უნდა ჩანდეს. მთელი აქცენტი წმინდანის ღვაწლის რელიგიურ მხარეზე უნდა იყოს გადატანილი. არადა იაკობ ცურტაველის თხზულებაში



წმინდა შუშანიკი

ტრადიციული სქემიდან „გასვლის“ არაერთ შემთხვევას ვხვდებით. თანამედროვე პოზიციიდან თუ შევხედავთ, ეს არის ოჯახური დრამა, რომელსაც ჰყავს მთავარი დამნაშავე (ვარსკენი), მსხვერპლი (შუშანიკი) და ტრაგედიის თვითმხილველი (იაკობ ცურტაველი). ნაწარმოები იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ვერ ვნახავთ ვერც ერთ შემთხვევას, ვარსკენი სარწმუნოების შეცვლას რომ აიძულებდეს ცოლს. კონფლიქტის მთავარი მიზეზი შუშანიკის სახლიდან წასვლაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამბავი მე-5 საუკუნეში ხდება. ამ დროს ცოლის მიერ ქმრის სახლის თვითნებური დატოვება ყველა ქვეყანაში სკანდალის ტოლფასი იყო. ვარსკენიც ხვდება, რომ თუ ცოლს სახლში არ დააბრუნებს, მის ავტორიტეტს საფრთხე დაემუქრება. ამიტომ იგი ჯერ მოციქულებს უგზავნის მას, შემდეგ კი ძალით წამოათრევს სახლში და სასტიკად აწამებს. ამ ამბების თვითმხილველია ნაწარმოების ავტორი, იაკობ ცურტაველი. ის პიტიახშის კარის მღვდელი და შუშანიკის მოძღვარია. მისი ფუნქცია ამ ნაწარმოებში არის წმინდანის თანაგრძნობა, მისი გამხსნევება და მისი ღვანლის აღწერა. იაკობი ცდილობს, აგიოგრაფი მწერლისთვის დამახასიათებელი დინჯი ტონით გადმოსცეს ფაქტები, მაგრამ ზოგჯერ ემოციებს ვერ იკავებს; იგი აღელვებული მიმართავს მკითხველს: „როგორ არ უნდა ვიტყვი ამ უბადრუკის გამო, რომელსაც არც ჭირი უნახავს, არც შიში, არც საპყრობილე, მაგრამ მაინც უარყო ჭეშმარიტი სარწმუნოებაო“. იაკობი ხმამაღლა ტირის ნაწამები შუშანიკის ჭრილობების დანახვისას; ცდილობს ქალს ფიზიკური და სულიერი ტანჯვა შეუმსუბუქოს. ვარსკენს კი „მგელს“, „უბადრუკს“, „საწყალობელს“ უწოდებს. ავტორის ამგვარ ემოციას არ ითვალისწინებს აგიოგრაფიული ჟანრის კანონი.



ხანძთის მონასტერი

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მე-10 საუკუნის აგიოგრაფიული თხზულება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ნაწარმოებში აღწერილია ქართველი წმინდანის, გრიგოლ ხანძთელის მიერ დაწყებული სამონასტრო მშენებლობა საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში ტაო-კლარჯეთში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაა). თხზულება ცხოვრებათა ჟანრისაა და აღწერს გრიგოლ ხანძთელის ხანგრძლივ (მან 102 წელი იცოცხლა) და ნაყოფიერ მოღვაწეობას. მის მიერ აშენებული მონასტრები არა მარტო რელიგიური, არამედ კულტურის ცენტრებიც იყო. იქ დაწყებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა შემდგომში ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში გაგრძელდა. ამ უდიდესი მისიის შესრულებას გრიგოლ ხანძთელი მარტოვერ შეძლებდა. მას გვერდითედგნენ დიდი ფეოდალები, მათ შორის მეფე აშოტ დიდი კურაპალატი – ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელი. სწორედ მის სახელს უკავშირდება საქართველოს ამ კუთხიდან არაბების განდევნა და სამონასტრო მშენებლობისთვის ხელის შეწყობა. ამიტომ ყველა ბარელიეფსა თუ ფრესკაზე აშოტს ხელში ეკლესია უჭირავს.



აშოტ დიდის ამ ღვანლის გარდა, თხზულება მის სასიყვარულო თავგადასავალსაც აღწერს. ეს ეპიზოდი ქართულ მწერლობაში ბელეტრისტიკის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. თხზულება მოგვითხრობს, რომ აშოტ დიდი კურაპალატი ერთხელ ეშმაკმა შეაცდინა – მას ვიღაც ქალი შეუყვარდა. მეფე არ მოერიდა კანონიერ მეუღლეს და თავისი საყვარელი არტანუჯის ციხეში

მიიყვანა. ეს რომ გრიგოლ ხანძთელმა შეიტყო, საშინლად აღშფოთდა. მეფეს ზნეობრივი მაგალითი უნდა მიეცა თავისი ხალხისთვის, ის კი ამორალურად იქცეოდა. მან დაიბარა აშოტ დიდი და პირისპირ ამხილა. შერცხვენილი მეფე დაჰპირდა, რომ ქალს სასახლიდან გაუშვებდა, მაგრამ ვნებას აჰყვა და პირობა არ შეასრულა. მაშინ გრიგოლმა ნახა ხელსაყრელი დრო, როცა აშოტი არტანუჯში არ იმყოფებოდა და თვითონ მივიდა ციხესიმაგრეში. მან მკაცრად მიმართა მეფის საყვარელს: „ცოლ-ქმარს შორის ჩამდგარხარ და თავს ილუპავო“. ქალი ატირდა: „არაფრის გაკეთება არ შემძლია, რადგან მეფეს თავდავინყებით ვუყვარვარო“. გრიგოლი დაჰპირდა, რომ მისი სულისთვის იზრუნებდა და ქალი დედათა მონასტერში წაიყვანა. შინ დაბრუნებულმა მეფემ ეს ამბავი რომ შეიტყო, ძალიან შეწუხდა. მან დაივიწყა თავმოყვარეობა და დედათა მონასტერში გაეშურა. მეფე ტყუილის თქმასაც არ მოერიდა, რომ ქალი როგორმე უკან დაებრუნებინა, მაგრამ მონასტრის წინამძღვარი ყველაფერს მიუხვდა და მეფე შეარცხვინა. დამნუხრებული აშოტ დიდი შინ ხელცარიელი დაბრუნდა და წამოსვლისას ეს სიტყვები წარმოთქვა: „ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ცოცხალი აღარ არისო“.

ეს ეპიზოდი აგიოგრაფიულ თხზულებაში რომ არ იყოს ჩართული, პატარა სასიყვარულო მოთხრობად მიიღებდა მკითხველი. არადა სასულიერო მწერლობაში ამ ეპიზოდს სულ სხვა ფუნქცია აქვს: ის მოუწოდებს მკითხველს ქრისტიანული ზნეობის დაცვისკენ და უჩვენებს სასულიერო ფენის უპირატესობას საეროსთან შედარებით. ეპიზოდი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ხორციელად ძლიერ ხელმწიფეს სულიერად ძლიერმა ადამიანებმა სძლიეს“. ამ სიტყვებში ჩანს ავტორის, გიორგი მერჩულის, სიამაყე სასულიერო ფენის უდიდესი ავტორიტეტის გამო. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ამ ტიპის კიდევ ორი ეპიზოდი გვხვდება. ორივე მათგანი ქრისტიანული რწმენისა და მორალის სიმტკიცეზე მიუთითებს.



აშოტ დიდი კურაპალატი

იგივე ფუნქცია აქვს აგიოგრაფიულ ძეგლებში აღწერილ სასწაულებსაც. ისინი ხაზს უსვამენ წმინდანის ზებუნებრივ ძალას, რომელიც მას უფლის მიერ აქვს მინიჭებული და ყოველგვარ ბოროტებაზე ამარჯვებინებს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გველემშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგი გავისხენოთ.

მოგვიანებით სწორედ აგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებში დაცული ბელეტრისტიკის ნიმუშები სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებენ საერო მწერლობის წარმოშობას. უწმინდურების წინააღმდეგ მებრძოლი წმინდა მხედრები კი გადაიქცევიან სიკეთის და სამართლიანობის დამცველ რაინდებად – საერო მხატვრული ლიტერატურის მთავარ პერსონაჟებად.

ბანათლევისა და კულტურის ცენტრები ძველ საქართველოში

ძველ საქართველოში სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრები, ძირითადად, ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. რელიგიურ კერებთან ერთად სწორედ მონასტრები იყო უმთავრესი ადგილი კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობისა.

საქართველოში პირველი მონასტრები მე-6 საუკუნეში დააარსეს ასურეთიდან მოსულმა ბერებმა. თუმცა ქართველი სასულიერო პირები მანამდეც ეწეოდნენ სამონასტრო ცხოვრებას ქრისტიანული აღმოსავლეთის სავანეებში.

ამ თვალსაზრისით უახლოესი პუნქტი იყო შავი, ანუ საკვირველმოქმედი მთა ანტიოქიის მახლობლად, სირიაში. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ბევრ საბუთს

მე-6 – მე-10 საუკუნეებში შავ მთაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ ცნობილია, რომ უკვე მე-11 საუკუნის 60-იანი წლებისთვის შავი მთის რვა მონასტერში 60-მდე ქართველი ბერი მოღვაწეობდა, მათ შორის გიორგი მცირე, გიორგი შეყენებული, ეფრემ მცირე, ანტონ ტბელი და სხვები.

ქრისტიანული აღმოსავლეთის მეორე პუნქტი, სადაც ამ დროს ქართველები მოღვაწეობდნენ, არის პალესტინა, კერძოდ, საბანმინდის მონასტერი. მე-8 – მე-10 საუკუნეებში აქ მიმდინარეობდა ქართველი ბერების ინტენსიური ლიტერატურული საქმიანობა, რაზეც მოწმობს საბანმინდაში გადაწერილი არაერთი უთარილო თუ თარიღიანი ხელნაწერი.

მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში პალესტინის ცენტრებს შეემატა ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში. ის ექვთიმე ათონელის ბრძანებით აუშენებია ვინმე პროხორეს. ამ საქმეში მას დახმარებია მეფე ბაგრატ მეოთხე. ქართველთა მოღვაწეობა ჯვრის მონასტერში გაგრძელება უმთავრესად საბანმინდის ლავრის ლიტერატურული პრინციპებისა. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ მონასტერში დაიდო ბინა საქართველოდან გახიზნულმა შოთა რუსთაველმა. მონასტრის ერთ-ერთ კედელს დღემდე შემოუნახავს მისი პორტრეტი.

მე-10 საუკუნის შუა წლებში ქართული სამონასტრო კოლონია გაჩნდა სინის მთაზე. იქ გაგრძელდა პალესტინის, უფრო კი საბანმინდის მონასტრის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები. აქ შემუშავებულა საგანგებო ხელწერა, რომელსაც სინის მთის ხელი ეწოდება. აქაური ბერები ხელნაწერთა გადაწერას უფრო მისდევდნენ, ვიდრე ორიგინალური ნაშრომების შექმნას. ინერდენ არა მარტო ქართულ, არამედ ბერძნულ და არაბულ ხელნაწერებსაც. სინის მთაზე მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ჰიმნოგრაფები იოანე მინჩხი და იოანე ზოსიმე.

ქართველები არა მარტო ქრისტიანული აღმოსავლეთის მონასტრებში მოღვაწეობდნენ, არამედ დასავლეთისაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ილარიონ ქართველის ღვანლი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ბიზანტიაში ორი ქართული მონასტრის შექმნა. ამ მონასტრებში გაჩაღებული იყო ინტენსიური მნიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობა.



იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი



სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერი



პეტრინონის მონასტერი

საზღვარგარეთულ ცენტრთა შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრინონის მონასტერს. ის აშენებული იყო ბულგარეთში, სოფელ პეტრინონში (ბაჩკოვოში). მონასტერი აუშენებია ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს გრიგოლ ბაკურიანისძეს. იმ დიდი ღვაწლისთვის, რომელიც გრიგოლსა და მის თანამემამულეებს მიუძღოდათ ბიზანტიის იმპერიის საზღვრების დაცვაში, იმპერატორებმა მას დაუმტკიცეს


სოფელი პეტრინონი, სადაც მან მოხუცებულობაში 1083 წელს ააშენა მონასტერი თავისი და თავისი საყვარელი ძმის, ასპაზის ძვლების განსასვენებლად და უზრუნველყო იგი უძრავ-მოძრავი ქონებით.

მე-11 – 12 სს-ში პეტრინონის მონასტერში ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლა, რომელიც ქართული კულტურის ისტორიაში პეტრინონული სკოლის სახელით შევიდა. აქ ამუშავებდნენ დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებს, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას. აქ მოღვაწეობდა დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრინი, არაერთი ისტორიული, გრამატიკული, ასკეტური, აგიოგრაფიული, ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური, ასტრონომიულ-ასტროლოგიური და, რა თქმა უნდა, ფილოსოფიური ნაშრომის ავტორი. იოანე პეტრინი იყო ის ფილოსოფოსი, რომელიც ცდილობდა ქართველებისთვის გაეცნო ბიზანტიური ფილოსოფიის მოღწევანი და ხელი შეეწყო ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და მწერლობის განვითარებისათვის. მან შექმნა შესაფერისი ფილოსოფიური ტერმინოლოგია, ენა და სტილი.

მე-12 საუკუნის დასაწყისში იოანე საქართველოში დაბრუნდა. დავით აღმაშენებლის დახმარებითა და ნაქეზებით მან გელათის აკადემიაში განაგრძო მოღვაწეობა. შესაბამისად, პეტრინონის ლიტერატურული სკოლის ტრადიციები გელათის მონასტერში იქნა გადმოტანილი. მონასტერთან არსებულ აკადემიაში ითარგმნებოდა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაწარმოებები.

ქართული სულიერი ცხოვრებისა და კულტურის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრებს. ტაო-კლარჯეთი იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კუთხე (დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა), რომელიც ძალიან იყო აოხრებული არაბების შემოსევის შედეგად. მაგრამ უკვე მე-8 საუკუნის შუახანებისთვის აქ დაიწყო აღორძინება „ახალმა“ ქართულმა სახელმწიფომ ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებლის, აშოტ დიდი კურაპალატის მიერ. ამ პერიოდში ქართლი არაბების ხელში გახლდათ. ამიტომ სამეფო რეზიდენციის სამხრეთ-დასავლეთით გადმოტანამ ხელი შეუწყო როგორც ამ კუთხის აყვავებას, ასევე ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. ამ საქმეში აშოტ დიდს ზურგს უმაგრებდა ბიზანტიის იმპერია, რომელსაც თავისი ინტერესები ჰქონდა ამ მხარეში. მაგრამ ამ კუთხის აღორძინებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სასულიერო ფენამ გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით, რომელმაც უდიდესი სამონასტრო მშენებლობა გააჩაღა.

გრიგოლი წარმოშობით ქართლის დიდგვაროვანთა ოჯახიდან იყო. იგი აღიზარდა ქართლის ერისთავის, ნერსეს კარზე, სადაც საფუძვლიანი განათლება მიიღო. თავისი



ხანძთის მონასტერი ტაო-კლარჯეთში

ღრმა ერუდიციითა და სულიერი სინმინდით მან ისე გაითქვა სახელი მთელ ქართლში, რომ ძალზე ახალგაზრდა აკურთხეს მღვდლად. ქართლის წარჩინებულნი მის ეპისკოპოსად კურთხევასაც აპირებდნენ, მაგრამ გრიგოლმა მოულოდნელად დატოვა ქართლი და სამ თანამოაზრესთან ერთად ტაო-კლარჯეთს მიაშურა, სადაც ეკლესია-მონასტრების მშენებლობას შეუდგა. გრიგოლმა ააშენა 5 მონასტერი: სამი მამათა (ხანძთა, შატბერდი, უბისა) და ორი დედათა (მერე და გუნათლეს ვანი). არაერთი ეკლესია-მონასტერი ააგეს ამ მხარეში გრიგოლ ხანძთელის მონაფეებმაც, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა.

ეს ცენტრები რელიგიური კერების პარალელურად იქცნენ ქრისტიანული კულტურისა და ლიტერატურის ცენტრებად. აქ ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლა, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი ენა, ხელი და მიმართულება. ამ სკოლის წარმომადგენელთა შორის არის ოთხი დიდი საეკლესიო მამა და მწერალი: გიორგი მანყვერელი, სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი და სტეფანე მტბევარი, ცნობილი ჰიმნოგრაფები იოანე მტბევარი და მიქელ მოდრეკილი. აქ გადათარგმნილა და გადანერილა ბევრი მნიშვნელოვანი ძველი ძველი ქართული მწერლობისა. მაგალითად, 973 წლის ახლო ხანებში გადანერილი შატბერდის კრებული, იშხნის მრავალთავი, 978–988 წლებში მიქელ მოდრეკილის მიერ შედგენილი იადგარი – სადღესასწაულო და წმინდანთა მოსახსენიებელ საგალობელთა კრებული.

ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ის ტაო-კლარჯეთში ველარ დაეცა. ამ სკოლის შემოქმედებითი ტრადიციები იმემკვიდრა ათონის საღვთისმეტყველო-სალიტერატურო სკოლამ, რომელიც ჩამოყალიბდა ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში.

ათონის ივერთა მონასტერი

ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერი მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე. მთაზე, რომელსაც წმინდა მთას (ქართულად მთაწმინდას) უწოდებენ. მონასტრის დაარსება უკავშირდება ორი დიდი ქართველის, ორი წმინდანის – იოანესა და მისი ვაჟის, ექვთიმეს სახელებს. იოანე საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, სამცხის დიდებული იყო. იგი ბერად აღიკვეცა, თავისი ერთადერთი შვილი, ექვთიმე, კი გარდაცვლილი

მეუღლის ოჯახში დატოვა აღსაზრდელად. იმ დროს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებს ბიზანტია აკონტროლებდა. ბიზანტიის იმპერატორმა ქართლის მეფე დავით კურაპალატს ამ ტერიტორიების ერთი ნაწილი დაუთმო და ამის სამაგიეროდ მძევლად დიდებული შვილები მოსთხოვა. პაპამ და ბიძამ კონსტანტინეპოლში ექვთიმე გაგზავნეს. ეს რომ იოანემ გაიგო, თავად ეახლა იმპერატორს. მისი ავტორიტეტი უკვე იმდენად დიდი იყო, რომ მას შვილი დაუბრუნეს. იოანემ იგი ულუმბოს მთაზე მიიყვანა, ცოტა ხანში კი ათონზე გადავიდა და ათანასე დიდის ლავრაში დამკვიდრდა. აქ მათ შეუერთდა დავით კურაპალატის სახელოვანი სარდალი, თორნიკე, რომელსაც ბერად აღკვეცის შემდეგ იოანე ეწოდა. ქართველმა ბერებმა შორს გაითქვეს სახელი, ამიტომ ათანასეს ლავრას უამრავი მორწმუნე სტუმრობდა. ქართველებმა იქვე, ათონის მთაზე, ააშენეს იოანე მახარებლის ეკლესია და იქ დამკვიდრდნენ.



ამ დროს ბიზანტიის იმპერატორი უკვე გარდაცვლილი იყო. მისი შვილების, ბასილისა და კონსტანტინეს სრულწლოვანებამდე ქვეყანას იმპერატორის ქვრივი მართავდა. ამით ისარგებლა სპარსელმა დიდებულმა ბარდა სკლიაროსმა და ბიზანტიის დაპყრობა განიზრახა. სამეფო კარმა დასახმარებლად დავით კურაპალატს მიმართა. წერილი ქართველთა მეფესთან ათონელ ბერს, თორნიკეს გაატანეს. დავით კურაპალატმა ბიზანტიელთა დასახმარებლად 12-ათასიანი ჯარი გაგზავნა, რომელსაც სათავეში თორნიკე ჩაუყენა. ბერად აღკვეცილი თორნიკე თავიდან სასტიკ უარს აცხადებდა ჯარის სარდლობაზე, მაგრამ იოანემ და ათანასემ დაარწმუნეს, რომ მათ მონასტერს სამეფო კარის კეთილგანწყობა სჭირდებოდა.



ათონის ივერთა მონასტერი

ქართველთა ჯარმა თორნიკეს სარდლობით დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა. თორნიკემ დავით კურაპალატს მიართვა საიმპერატორო კარის სიგელი, რომლის თანახმადაც საქართველოს უბრუნდებოდა ბიზანტიის მიერ მიტაცებული ტერიტორიები („ზემო ქვეყნები“). მანვე წამოიღო ალაფის სახით დიდი რაოდენობის ოქრო-ვერცხლი. ამ განძით 980-983 წლებში აშენდა ათონის ივერთა მონასტერი, რომელიც პორტაიტის (კარის) ღვთისმშობლის სახელობისაა.

ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ისტორია

ხატმებრძოლების ხანაში მცირე აზიის ქალაქ ნიკეაში ცხოვრობდა ერთი მორწმუნე და ქველმოქმედი ქვრივი. მას ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ჰქონდა. როდესაც მის სახლში შეცვივდნენ ხატის გასანადგურებლად, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ღვთისმშობლის გამოსახულებას სახეში შუბი ჩასცა. მოხდა სასწაული. ღვთისმშობლის სახიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული ჯარისკაცები მაშინვე გაიქცნენ. ქვრივმა მადლობა შესწირა ღმერთს და ხატი ზღვაში ჩაუშვა. ის ტალღების ზემოთ აღიმართა და გასცურა. ქვრივს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. დედის თხოვნით ის ათონის მთაზე დამკვიდრდა და ბერად აღიკვეცა. ათონელმა მამებმა სწორედ მისგან შეიტყვეს სასწაულმოქმედი ხატის ამბავი.



გავიდა 200 წელი. ერთხელაც, ივერიის მონასტრის ბერებმა ზღვაში აღმართული ნათლის სვეტი დაინახეს. ისინი შეეცადნენ, ნავით მიახლოებოდნენ მას, მაგრამ ხატმა შორს ზღვაში შესცურა. ბერებმა იფიქრეს, რომ ღვთისმშობელი უწყრებოდა მათ, ამიტომ გააძლიერეს მარხვა და ლოცვა. ერთ ღამეს ქართველთა მონასტრის ერთ-ერთ ბერს, გაბრიელს, გამოეცხადა ღვთისმშობელი და აუწყა: „მსურს, თქვენს მონასტერს ვუბოძო ეს წმინდა ხატი და თქვენი მფარველი გავხდე.“

შემოდი ზღვაში, გაიარე მის ტალღებზე და ხატის შეხების ღირსი გახდებიო.“ განთიადისას მონასტრის ბერები გალობით მივიდნენ ზღვის ნაპირთან. მამა გაბრიელმა ილოცა, ზღვა ხმელეთივით გაიარა და ხატი ნაპირზე გამოაბრძანა. ბერებმა ის მონასტრის მთავარ ტაძარში დაასვენეს. მეორე დღეს ეკლესიაში სალოცავად შესულებს ხატი ადგილზე აღარ დახვდათ. ბერებმა ის კარიბჭის კედელთან აღმოაჩინეს და ისევ უკან დააბრუნეს. ეს სასწაული რამდენჯერმე განმეორდა. ბოლოს ღვთისმშობელი კვლავ გამოეცხადა გაბრიელს და აუწყა, რომ ხატი ეკლესიის კარიბჭესთან დაესვენებინათ. ასე დაერქვა ხატს „პორტაიტის“, ანუ „კარის“ ღვთისმშობლის სახელი, მეორენაირად კი – ივერიის ღვთისმშობელი. მას დღემდე მრავალი სასწაული მიენერება.

იოანეს და ექვთიმეს მოღვაწეობა

ათონის ქართველთა მონასტრის პირველი წინამძღოლი იოანე გახდა. ის ენერგიულად შეუდგა სავანის გაძლიერება-განმტკიცებას. შეიძინა მამულები, მონასტერი შემოსავლით უზრუნველყო. იოანემ კარგად იცოდა, რომ საქართველოში არ იყო საკმარისი რაოდენობის სასულიერო ლიტერატურა. ამიტომ მან მოუწოდა თავის ვაჟს, ექვთიმეს, მთარგმნელობითი საქმიანობა დაეწყო. ექვთიმე, რომელსაც საამისოდ საკმარისი ნიჭი და განათლება ჰქონდა, შეუდგა ამ რთული მისიის შესრულებას. მან ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოიტანა ბიზანტიური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. იოანეს გარდაცვალების შემდეგ მონასტრის წინამძღვარი ექვთიმე გახდა. ის ერთმანეთს უთავსებდა წინამძღვრისა და მთარგმნელის საქმიანობას. მის თარგმნილ წიგნებს მონასტრის ბერები ინერდნენ, ამრავლებდნენ და საქართველოში გზავნიდნენ. თოთხმეტი წლის შემდეგ ექვთიმემ დატოვა წინამძღვრის თანამდებობა, რათა მის ლიტერატურულ საქმიანობას ხელი არ შეშლოდა.

ათონის ივერთა მონასტრის დაარსების ისტორია, იოანესა და ექვთიმეს მოღვაწეობა, ისევე როგორც ღვთისმშობლის ხატის ამბავი, აღწერილია ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება. მისი ავტორია გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი ათონელი. სწორედ მან გააგრძელა და განავითარა ათონის მონასტერში ექვთიმეს დაწყებული საქმე. გიორგიმ ბერძნულ ორიგინალს შეუდარა ექვთიმეს მიერ თარგმნილი ტექსტები და მათი სრულიად ახლებური ვერსია შექმნა. დღემდე ქართულ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს იყენებენ სახარებისა და ფსალმუნების გიორგი ათონელისეულ ვერსიას.

გიორგი ათონელი 12 წლის განმავლობაში იყო მონასტრის წინამძღვარი. მთარგმნელობითი მოღვაწეობის გარდა, ის მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა. მან გაამდიდრა, განამტკიცა და გააძლიერა მონასტერი, ბევრი რამ ააშენა და ბევრი მამულიც შემოიმატა.

ათონის ქართველთა მონასტერში სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა მე-13 საუკუნიდან, როცა ათონის მთის მონასტრები ჯვაროსნებმა დაარბიეს. საზღვარგარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებს მატერიალურად ქართველი მეფეები და დიდებულები ეხმარებოდნენ. მე-13 საუკუნეში კი საქართველოს მონღოლები შემოესივნენ. მათი ხანგრძლივი ბატონობის შედეგად აყვავებული ქვეყანა განადგურდა. მონღოლებმა მძიმე ხარკი დააკისრეს მოსახლეობას, რამაც ქვეყნის ეკონომიკა გაანადგურა. ბუნებრივია, ქვეყნის გარეთ არსებულ სამონასტრო ცენტრებს საქართველოდან დახმარება შეუწყდათ.

მე-16 – 18 საუკუნეებში მონასტრისთვის შემოწირულობების გაგზავნა განახლდა. ქართველ ბერებს განსაკუთრებით ეხმარებოდნენ მეფეები: თეიმურაზ I, სოლომონ I, ერეკლე II.

მე-19 საუკუნეში საქართველომ დაკარგა როგორც ეროვნული, ისე რელიგიური დამოუკიდებლობა, ივერთა მონასტერმა კი – მფარველები და დამხმარენი. ამით ისარგებლეს ბერძნებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ გიორგი ათონელის დროს უნდოდათ მონასტრის ხელში ჩაგდება, და ქართველები ძალიან შეავიწროვეს. საბოლოოდ ისინი მტკიცედ დამკვიდრდნენ ქართველების აშენებულ სავანეში.



წმინდა ექვთიმე ათონელი

ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენება

ისტორიულ-ლიტერატურული წინამძღვრები

XI-XII საუკუნეები მნიშვნელოვანი ეპოქაა საქართველოს ისტორიაში. 1073 წელს სამეფო ტახტზე ავიდა დავით IV, რომელსაც ქართველებმა დიდი ღვანლისთვის აღმაშენებელი უწოდეს. მისი მეფობისას (1073–1125) საქართველომ შეძლო არა მარტო მუსულმანური თავდასხმების თავიდან აცილება, არამედ ქვეყნის შიდა პოლიტიკის მოწესრიგებაც. დავითის რეფორმებმა პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა, რელიგიისა თუ კულტურის სფეროში დასაბამი მისცა ქართული სახელმწიფოს შემდგომ განვითარებასა და წინსვლას.



დავით IV აღმაშენებელი

ქვეყნის პოლიტიკურმა სიძლიერემ და ეკონომიკურმა აღმავლობამ განაპირობა წარმატებები განათლებისა და კულტურის სფეროშიც. ძველ საქართველოში სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრები ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. იქ მოღვაწე ბერები

ინერდენ და ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ორნამენტებითა და მინიატურებით ამკობდნენ, ყდებში სვამდნენ. XII ს-ის II ნახევრისთვის სამონასტრო ცხოვრება ვითარდებოდა არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ათონის ქართველთა მონასტერში, შავ მთაზე (სირია), პეტრინონის მონასტერში (ბულგარეთი) მიმდინარეობდა ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა. ათონის მთის მოღვაწეებმა, ექვთიმე და გიორგი ათონელებმა, ქართულ ენაზე გადმოიტანეს ბიზანტიური სასულიერო მწერლობის ძირითადი ნაწილი. შემდგომი ეპოქის მნიშვნელოვანმა კი მიზნად დაისახეს ბერძნულთან მაქსიმალურად დაახლოებული ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა, თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნა. დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ გელათის აკადემიას “მეორე იერუსალიმს” უწოდებდნენ. იქ მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ფილოსოფოსები არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. ისინი ცდილობდნენ ქართული ფილოსოფია პროგრესული ქრისტიანული აზროვნების საფუძველზე განეხილათ.

ამ ეპოქაში განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია ლიტერატურამ. მდიდარი ქართული ფოლკლორისა და სასულიერო მწერლობის ტრადიციებზე საქართველოში აღმოცენდა და განვითარდა საერო მწერლობა. ეს იყო ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა ქართული კულტურის ისტორიაში. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში არსებობდა არაერთი ქვეყანა, რომლებსაც ძალიან მდიდარი ზეპირსიტყვიერება და სასულიერო მწერლობა ჰქონდათ, მაგრამ საერო ლიტერატურა იქ ვერ განვითარდა. რა შეიძლება ყოფილიყო საქართველოში ამ ტიპის ლიტერატურის წარმოშობის მიზეზი? –



გელათის მონასტერი

პირველ ყოვლისა, უდავოდ, საქართველოს კულტურული კონტაქტები არა მხოლოდ ქრისტიანულ ბიზანტიასთან, არამედ აღმოსავლეთის მუსულმანურ ქვეყნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები პოლიტიკურად, რელიგიურად და იდეოლოგიურად შეურიგებელ წინააღმდეგობაში იყვნენ ამ სახელმწიფოებთან, ეს წინააღმდეგობა კულტურულ დაპირისპირებაში არასოდეს გადაზრდილა. არსად ფირდოუსის ისეთ დიდ თაყვანს არ სცემდნენ, როგორც საქართველოში; გვიანდელ შუასაუკუნეებში და მის შემდგომაც ქართველები სპარსელებს მხატვრული სიტყვის ოსტატებად მიიჩნევდნენ.

მას, ვინც სარგებლობდა სპარსული ტერმინებით ან სპარსული პოეზიიდან ნასესხები მხატვრული სახეებით, წარმატება გარანტირებული ჰქონდა. თუმცა სპარსული მწერლობით აღტაცება მონურ მიმბაძველობამდე არასოდეს მისულა. პირიქით, საქართველო იქცა ერთგვარ შუამავლად მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ დასავლეთს შორის. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ტრადიციული ლიტერატურული ჟანრების – აგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის, ისტორიოგრაფიის – გვერდით ახალი ჟანრების – სახოტბო პოეზიის, ეპოსის, შუასაუკუნეების რომანის – აღმოცენება და განვითარება.

სასულიერო და საერო იდეალი

ქართული საერო ლიტერატურა ევროპულის ანალოგიურად ვითარდებოდა. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ამ ლიტერატურის საკარო ხასიათი. მეფის კარზე დაწინაურებული ფენა იყო სამხედრო არისტოკრატია. ლიტერატურაც სწორედ მისი გემოვნების მიხედვით იქმნებოდა. XII საუკუნისათვის საქართველოში უკვე დასრულდა ფეოდალური ერთეულების ერთიან მონარქიად გაერთიანების პროცესი. სახელმწიფო ხელისუფლება ამ პერიოდში ეკლესიაზე გაცილებით ძლიერი იყო. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლა დიდ გავლენას ახდენდა ადამიანების აზროვნებაზე. ხალხმა, რომელმაც თავი დააღწია მუსულმანურ აგრესიას, სულ სხვა თვალთ შეხედა ცხოვრებას, ახლებურად აღიქვა მისი მშვენიერება.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს არაერთი დამპყრობელი ჰყავდა. მათი უმრავლესობა ცდილობდა ქრისტიანი ქართველების საკუთარ რელიგიაზე მოქცევას. მორწმუნე ქრისტიანები სიცოცხლის ფასად ცდილობდნენ რელიგიის დაცვას, რაც ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების მთავარი პირობა იყო. ბუნებრივია, იმ პერიოდის ლიტერატურა აღწერდა ქრისტიანობისთვის შეწირული ადამიანების ცხოვრებასა და წამებას. მათი ღვაწლი ზნეობრივი მაგალითს აძლევდა ხალხს. მათ უნდა ერწმუნათ, რომ სწორედ ქრისტიანობისთვის თავდადებით მოიპოვებდნენ ზეციურ სასუფეველს. სასულიერო იდეალისგან სრულიად განსხვავდებოდა საერო იდეალი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში ადამიანებმა რწმენა დაივიწყეს. პირიქით, სწორედ რწმენა ეხმარებოდა მათ თავიანთი იდეალის ამ ქვეყნადვე მიღწევაში. ადამიანმა თანდათან დააღწია თავი ბრმა მორჩილებას. მან ირწმუნა საკუთარი გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობები. ლიტერატურის მიზანიც გახდა ამ “ახალი ადამიანის” წინ წამოწევა, მისი საგმირო თუ სასიყვარულო თავგადასავლების აღწერა. სწორედ ეს იყო იმ პერიოდის მკითხველი საზოგადოების დაკვეთა.

საერო მწერლობამ ისარგებლა სასულიერო ლიტერატურის კომპოზიციური ხერხებითა და ელემენტებით, ოღონდ თავისი პრინციპების შესაბამისად შეცვალა ისინი. ბოროტი ძალების წინააღმდეგ ამხედრებული წმინდანი სამართლიანობისათვის მებრძოლ რაინდად იქცა, უფლის სიყვარული და მისთვის თავდადება – ქალის თავყვანისცემად. მიზანი როგორც სასულიერო, ისე საერო ლიტერატურის გმირს ერთი და იგივე ჰქონდა – სიკეთით ბოროტების დამარცხება. ოღონდ თუ წმინდანები ამ მიზნის მისაღწევად სიცოცხლეს სწირავდნენ ან ყოველგვარ მიწიერ სიამოვნებაზე ამბობდნენ უარს, საერო გმირები იმარჯვებდნენ მამაცობის, გამირობის, სიბრძნისა და გამჭრიახობის წყალობით.

ქართული რაინდული რომანი „ამირანდარეჯანიანი“

ადამიანის ახალი მოდელი გვხვდება პირველივე ქართულ რაინდულ რომანში, მოსე ხონელის ამირანდარეჯანიანში, რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს დაწერილი. რომანის ცენტრალური ფიგურაა ფიზიკურად და მორალურად სრულყოფილი



პიროვნება – რაინდი. იგი ერთგულად ემსახურება თავის მეფე-პატრონს, იცავს ქვეყნის ინტერესებს, იბრძვის სამართლიანობისა და სიკეთისათვის. ევროპული რაინდული რომანების მსგავსად, ამირანდარეჯანიანშიც გვხვდება მხატვრული სინამდვილის ორი სახე – მითიური და რეალური. რომანში მოქმედება ვითარდება დევებით, გველეშაპებით, ჯადოქრებით დასახლებულ სამყაროში. მაგრამ გმირები, რომლებიც ამ ჯადოსნურ ძალებს ებრძვიან, იცავენ ფეოდალური სახელმწიფოების კანონს და წესრიგს.

ამირანი ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟია. ქართველების წარმოდგენაში ის არის სიკეთისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი გმირი. ლიტერატურული ამირანი მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდითა და პერსონაჟით ჰგავს ფოლკლორულ გმირს. საერთო მათ შორის ისაა, რომ ორივე მათგანი ბოროტების წინააღმდეგ იბრძვის. ეს კი იმ რწმენის დადასტურებაა, რომ სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში საბოლოოდ კეთილი იმარჯვებს.

ამირანდარეჯანიანი პირველი სათავგადასავლო რომანია ქართულ მწერლობაში, რომელიც ნათლად აღწერს რაინდულ იდეალებსა და ყოფას და რაინდული მორალის ხოტბას წარმოადგენს.

სამიჯნურო რომანი „ვისრამიანი“



საერო ლიტერატურა საკაროა. ამ სამყაროში რაინდულ ორთაბრძოლებს ერწყმის სასიყვარულო ურთიერთობები. უფრო მეტიც. ჰეროიკა აქ ადგილს უთმობს რომანტიკას. იგივე შეიძლება ითქვას იმ პერიოდის აღმოსავლურ ეპიკაზეც. მისი წყაროებია, ერთი მხრივ, ისტორიული გადმოცემები, მეორე მხრივ კი, არაბული რომანტიკული თქმულებები. სპარსი პოეტის გურგანის რომანში ვეის ო რამინ რომანტიკა უკვე მძლავრობს ჰეროიკაზე. რომანში აღწერილია ვნება, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე ტრადიცია (ქორწინება, ქმრის მორჩილება და ა.შ).

რომანტიკისაკენ მისწრაფება არ იყო უცხო არც ქართული ლიტერატურისთვის, რომელსაც სპარსულ მწერლობასთან უშუალოდ ჰქონდა შეხება. გორგანის ვეის ო რამინს, ისევე როგორც ნიზამის ლეილსა და მაჯნუნს, ასახელებდა კლასიკური პერიოდის ყველა ცნობილი ქართული ლიტერატურული

ძეგლი – ვეფხისტყაოსანი, აბდულმესიანი, თამარიანი. თამარის მეფობაში ვეის ო რამინი ქართულადაც კი უთარგმნიათ. ნაწარმოების ორიგინალური სიუჟეტი, გმირთა ცოცხალი ხასიათები, დახვეწილი ლექსიკა ისე მოიწონა ქართველმა მკითხველმა, რომ ქართული კლასიკური ორიგინალური ნაწარმოებების გვერდით მიუჩინა ადგილი.

ვეის ო რამინის, ქართულად ვისრამიანის, მთავარი მოტივი სიყვარულია. ის გაგებულია, როგორც საბედისწერო ავადმყოფობა, რომელსაც წამალი არა აქვს. ეს სიყვარული არ ემორჩილება ადამიანური ლოგიკის კანონებს. ის განგებით არის მოვლენილი, ამიტომ მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია. ვისრამიანის სიუჟეტი საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს შუასაუკუნეების ევროპაში მეტად პოპულარულ ტრისტანისა და იზოლდას რომანთან. აქაც მოცემულია იგივე სასიყვარულო სამკუთხედი: მოხუცი ქმარი – ახალგაზრდა საყვარელი – ლამაზი ცოლი და იგივე მორალური პრობლემა – მეუღლის ღალატი. ვისისა და რამინის,

ისევე როგორც ტრისტანისა და იზოლდას სიყვარული ბრმა ბედისწერის შედეგია, ამიტომ გმირები იძულებულნი არიან, დაემორჩილონ მას. ავტორების მორალური პოზიციაც ერთგვარია – ისინი სიბრალულსა და თანაგრძნობას გამოხატავენ თავიანთი გმირების მიმართ და ცდილობენ მკითხველსაც შეაყვარონ ისინი. ვისრამიანში ასახული ადამიანური ყოფა, პერსონაჟთა განცდები ისე ცოცხლად, ისეთი მაღალი მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული ქართველი მთარგმნელის მიერ, რომ ორიგინალურ თხზულებად აღიქმება.

ქართული სახოტბო პოეზია



ჩახრუხაძე

გვიანდელი შუასაუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ეპოსისა და რომანის გვერდით განვითარდა პოეზიის თავისებური სახეობა, რომელსაც სახოტბო პოეზიის სახელით ვიცნობთ. ისევე როგორც შუასაუკუნეების რომანი, პოეზიის ეს სახეობაც საკაროა და მის ჟანრულ თავისებურებას მეფის ან პატრონის ქება, ხოტბა წარმოადგენს. ქართულმა სახოტბო პოეზიამ ბევრი რამ შეითვისა მდიდარი ტრადიციების მქონე სპარსულ-ტაჯიკური ლირიკისგან, ამავე დროს მასზე დიდი გავლენა მოახდინა ქართულმა სასულიერო პოეზიამ, ჰიმნოგრაფიამ. ბუნებრივია, რომ ძირითადი განსხვავება საერო და სასულიერო ხოტბას შორის ქების ობიექტს უკავშირდება. ჰიმნოგრაფი ხატავს წმინდანის სახეს, აღწერს მის სინმინდეს, გამძლეობას, რწმენის სიმტკიცეს. მეხოტბე პოეტის ქების ობიექტი კი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც სხვა დადებით თვისებებთან ერთად ფლობს სამხედრო სტრატეგიისა და პოლიტიკოსის ნიჭს.

გვიანდელი შუასაუკუნეების ქართულ ლიტერატურაში სახოტბო პოეზიის ორი ნიმუშია შემორჩენილი: იოანე შავთელის აბდულმესიანი და ჩახრუხაძის თამარიანი. ისევე როგორც მეხოტბეთა უმრავლესობა, ქართველი შავთელიცა და ჩახრუხაძეც კარის პოეტები იყვნენ. ორივე მათგანი მომსწრე და თვითმხილველი იყო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისა, ეკონომიკური და კულტურული აყვავებისა. თუმცა მათ განსაკუთრებულ სიამაყეს იწვევდა საქართველოს პრესტიჟი და ავტორიტეტი საზღვარგარეთ. ამ ფაქტს მეხოტბე პოეტები გარკვეული ისტორიული კანონზომიერებით ხსნიდნენ: საქართველოს ისინი მიიჩნევდნენ რჩეულ ქვეყნად, რომელსაც მესიად მოევლინა თამარ მეფე. მისი დიდებული სახის გამოსაკვეთად ავტორები მიმართავენ რთულ, ხელოვნურ მხატვრულ სახეებს, რომელთა შორის სჭარბობს ჰიპერბოლა და მხატვრული შედარება. მეხოტბეთა ფართო ერუდიციაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეს მხატვრული სახეები მათ აღებული აქვთ ანტიკური მწერლობიდან, ბიბლიიდან, სპარსული პოეზიიდან და ა.შ.

თამარიანისა და აბდულმესიანის ნაკითხვისას ცხადიხდება, რომ ისინი არ დაწერილამხოლოდ საკარო წრეების მხატვრული გემოვნების დასაკმაყოფილებლად. მათი ავტორები იცავენ იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული ტარდებოდა საქართველოში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ქების ობიექტის ღვაწლის გაზვიადება, რადგან ის განპირობებულია კონკრეტული ისტორიული სინამდვილით, ეროვნული და პოლიტიკური იდეოლოგიით, სახელმწიფოებრივი იდეალებით.

ქართულმა საერო ლიტერატურამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, როცა შეიქმნა ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი – რუსთაველის ვეფხისტყაოსანი.



შავთელი

შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი

რუსთაველის ეპოქა



თამარ მეფე

თანამედროვე მკითხველს რვა საუკუნეზე მეტი ამორებს რუსთაველის მოღვაწეობის ხანას. ამ პერიოდს (XII-XIII სს) საქართველოს ისტორიაში “ოქროს ხანას” ან “თამარის ეპოქას” უწოდებენ, რადგან ის უდიდესი წარმატებები, რომლებსაც საქართველომ მიაღწია პოლიტიკის, ეკონომიკისა თუ კულტურის სფეროში, მეფე თამარის სახელს უკავშირდება. ქართველები აღმერთებდნენ თავიანთ მეფე-ქალს; უფლისგან ბოძებულად მიიჩნევდნენ მის სიბრძნეს, სიკეთეს, მშვენიერებას, პოლიტიკურ აზროვნებას. ქალის კულტი საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა. წარმართულ ეპოქაში ქართველები არაერთ ქალმერთს სცემდნენ თავყვანს. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ის შეიცვალა ღვთისმშობლისა და ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს კულტით. სწორედ ქალის თავყვანის ცემის ძველი ქართული ტრადიცია აღორძინდა თამარის ეპოქაში. ქართულმა ისტორიულმა მწერლობამ და სახოტბო პოეზიამ თამარს მიანიჭა ისეთი ღირსებები, რომ ისტორიული პიროვნებიდან იგი ყველა ქართველისთვის იდეალად იქცა.

თამარის მეფობის ხანაში (1189-1210) საქართველომ შეძლო არა მარტო მაჰმადიანური სახელმწიფოების თავდასხმების მოგერიება, არამედ შესამჩნევად გააფართოვა თავისი საზღვრები და იმდროინდელი მცირე აზიის ცხოვრებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. იმ პერიოდში სწორედ საქართველო მიიჩნეოდა დასუსტებული ბიზანტიის იმპერიის ნაცვლად ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის საიმედო დამცველად.

წარმატებებმა პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში შედეგად მოიტანა ქვეყნის კულტურული აღმავლობა. XII საუკუნეში საქართველომ კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა მეზობელ ქვეყნებთან – როგორც ქრისტიანულ, ისე მუსულმანურ სახელმწიფოებთან. ქართულ კულტურაში ერთმანეთს შეერწყა ორი ტრადიცია – დასავლური და აღმოსავლური, რაც აისახა კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგზე, მათ შორის ლიტერატურაზე.



ტიმოთესუბნის ეკლესია



ვარძია – კლდეში გამოკვეთილი ქალაქი

თამარის დროს აშენდა ვარძია – კლდეში გამოკვეთილი ქალაქი; ბერთუბნის, ბეთანიის, ქვათახევის, ერთანმინდის, ტიმოთესუბნის მონასტრები. ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ სახელოვანი ქართველი ოქრომჭედლები, ტიხრული მინანქრის ოსტატები. მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და სასულიერო მწერლობის ტრადიციებზე აღმოცენდა და განვითარდა საერო მწერლობა, რომლის საუკეთესო ნიმუშადაც რუსთაველის ვეფხისტყაოსანი უნდა მივიჩნიოთ.

ვეფხისტყაოსნის ავტორი

საქართველოს ისტორიულ მატრიანეში არაფერია ნათქვამი ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის შესახებ... მხოლოდ პოემის პროლოგმა შემოინახა პოეტის სახელი – რუსთველი. ეს ტერმინი უნდა აღნიშნავდეს რუსთავის მკვიდრს ან მის მფლობელს. საქართველოში იმ დროს ორი რუსთავი იყო – მესხეთის და ჰერეთის, ამიტომ დღემდე დაუდგენელია, კონკრეტულად რომელ რუსთავს უკავშირდება ჩვენი პოეტის სახელი. შუასაუკუნეების ლიტერატურული ტრადიციის თანახმად, რუსთაველი თავისი პოემის პროლოგში გამოხატავს უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას თამარისადმი. ის აცხადებს, რომ სწორედ დიდებული მეფე-ქალის საქებრად შექმნა თავისი პოემა. პოეტის ეს სიტყვები ხალხმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და შეთხზა არაერთი ლეგენდა შოთა რუსთაველის თამარისადმი უიმედო სიყვარულის შესახებ. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, პოეტმა სიყვარულის ნიშნად თავად მართვა მეფე-ქალს თავისი ვეფხისტყაოსანი. თამარმა არ გაიზიარა მისი გრძნობები და რუსთაველი იძულებული გახდა, სამშობლოდან შორს გადახვენილიყო. ბევრი ხეტიალის შემდეგ მან იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის კედლებში დაიდო ბინა და იქვე გარდაიცვალა. ამ ლეგენდის ფინალი არ უნდა იყოს მთლად უსაფუძვლო. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში (XI ს.) დღემდე შემორჩენილია დიდებულის სამოსში გამოწყობილი თეთრწვერა მოხუცის ფრესკა წარწერით რუსთველი. როგორც ამ წარწერიდან ირკვევა, შოთა რუსთაველს თავისი ხარჯით განუახლებია ეკლესიის დაზიანებული სვეტები. შოთას ღვანლი მოხსენიებულია ამავე მონასტრის სვინაქსარში. იქვე მითითებულია მისი თანამდებობაც – მეჭურჭლეთუხუცესი – თანამედროვე გაგებით ფინანსთა მინისტრი. ასე რომ, ვეფხისტყაოსნის ავტორი არა მარტო პოეტი ყოფილა, არამედ თამარის კარზე დიდი თანამდებობაც სჭერია.



მიხაი ზიჩი. რუსთაველი მართმევს თამარს ვეფხისტყაოსანს



რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში

ვეფხისტყაოსნის თარგმანები

ევროპა რუსთაველის პოემით XIX საუკუნის ბოლოს დაინტერესდა. 80-იან წლებში ვეფხისტყაოსნის თარგმნას ხელს ჰკიდებენ ავსტრიელი ბერტა და არტურ ზუტნერები, თუმცა მათ თარგმანი არ დაუსრულებიათ და ის დღეს დაკარგულად ითვლება. უფრო წარმატებული აღმოჩნდა გერმანელი სწავლულის არტურ ლაისტის მოღვაწეობა. მისი თარგმანი, რომელიც ვეფხისტყაოსნის პირველი პოეტური თარგმანია ევროპულ ენაზე, არაერთხელ გაიმეორეს გერმანიაში.



მარჯორი უორდროპი

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ინგლისელი მწერლისა და მთარგმნელის მარჯორი უორდროპის ღვანლი. საქართველოში მოგზაურობის დროს იგი გაეცნო ამ ქვეყნის კულტურას, ლიტერატურას და მიზნად დაისახა ინგლისურ ენაზე გადაეტანა ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები, მათ შორის ვეფხისტყაოსანი. მართალია, იგი თავად

ვერ მოესწრო საკუთარი ნაშრომის წიგნად გამოცემას, მაგრამ თარგმანის საბოლოო ვერსია 1912 წელს ლონდონში გამოაქვეყნა მისმა ძმამ, ოლივერ უორდროპმა.

ვეროპელი მკითხველი საზოგადოების ინტერესი ვეფხისტყაოსნის მიმართ განახლდა XX საუკუნეში, როდესაც დაიბეჭდა პოემის ახალი თარგმანები ფრანგულ (სერგი წულაძე, გასტონ ბუაჩიძე), ინგლისურ (ვენერა ურუშაძე, რობერტ სტივენსონი, ქეთრინ ვივიანი, ლინ კოფინი), გერმანულ (ჰუგო ჰუპერტი, ჰერმან ბუდეზინგი, მარი პრიტვიცი), რუსულ (კონსტანტინე ბალმონტი, შალვა ნუცუბიძე, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პანტელეიმონ პეტრენკო) და მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. ეს რუსთაველის პოემის მიმართ მსოფლიო კულტურული საზოგადოების დიდ დაინტერესებაზე მეტყველებს.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები

ვეფხისტყაოსანი თამარის მეფობის ხანაშია დაწერილი, დაახლოებით, 1189-1207 წლებში. თუმცა პოემის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები XVI-XVII საუკუნეზე ადრინდელი არ არის.



ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი
1680 წ.

სად გაქრა ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერები ან რატომ არ იხსენიება ქართულ ისტორიულ წყაროებში რუსთაველის სახელი? ამის მიზეზად საქართველოს ისტორიული სიტუაცია უნდა დავასახელოთ. XIII-XVI საუკუნეებში აყვავებული ქვეყანა დაასუსტა ჯერ ხვარაზმელების, შემდეგ კი მონღოლების შემოსევებმა. განადგურდა და დაიკარგა კლასიკური ხანის ბევრი ლიტერატურული ძეგლი, მათ შორის ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერებიც. მათ კვალდაკვალ ალბათ განადგურდა ის ისტორიული დოკუმენტებიც, რომლებშიც შოთა რუსთაველის სახელი იყო

მოხსენიებული. ისიც შესაძლებელია, რომ რუსთაველს, რომელიც გამორჩეული პიროვნება იყო, ბევრი მტერი ჰყავდა და მათ იზრუნეს, რომ პოეტის სახელი ხალხის ხსოვნიდან გამქრალიყო...

მიუხედავად ამისა, ვეფხისტყაოსანი საქართველოში არნახული პოპულარობით სარგებლობდა. საუკუნეთა განმავლობაში სწორედ ამ წიგნით სწავლობდნენ ქართველები გმირობას, უანგარო მეგობრობასა და ამაღლებულ სიყვარულს. ვეფხისტყაოსანს დაუსრულებლად კითხულობდნენ, სამშობლოდან იძულებით გადახვეწილებს თუ გადასახლებულებს თან მიჰქონდათ და უფრთხილდებოდნენ, როგორც ძვირფას განძს. ხალხში ფართოდ გავრცელებული რუსთაველის აფორიზმები მოარულ ანდაზებად იქცა. მათ შორის განსაკუთრებით პოპულარულია: “ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია”, ან “სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი”. ამგვარი საყოველთაო სიყვარული ალბათ ძალზე ცოტა ნაწარმოებს თუ რგებია თავის სამშობლოში.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი

მაინც რა არის რუსთაველის პოემის ასეთი დიდი პოპულარობის მიზეზი? პირველ ყოვლისა, მისი ჩახლართული სიუჟეტი, რომელიც დეტექტიურ რომანს მოგვაგონებს:

ერთხელ, ნადირობისას, არაბეთის მეფე როსტეფანმა და მისმა ამაღამ წყლის პირას ვეფხის ტყავის ტანისამოსში გამოწყობილი უჩვეულო სილამაზის რაინდი დაინახეს. მეფემ



ვეფხისტყაოსნის 1646
წლის ხელნაწერი.
მამუკა თავაქალაშვილის
ილუსტრაცია

მონა გაგზავნა უცნობის ვინაობის შესატყობად, მაგრამ ცხარე ცრემლით მტირალმა ჭაბუკმა მონას არაფერი უთხრა. მან ერთიანად ამოხოცა მის შესაპყრობად მოსული როსტევეანის ლაშქარი და ისე გაუჩინარდა, რომ მის კვალს ვერავინ მიაგნო. ვეფხისტყაოსანი რაინდის საძებრად მეფის ასულის, თინათინის, დავალებით არაბეთის ჯარების მხედართმთავარი, ავთანდილი გაეშურა. სამი წლის შემდეგ მან მიაკვლია უცნობის ადგილსამყოფელს და მისი ტრაგიკული თავგადასავალიც მოისმინა.

ვეფხისტყაოსანი რაინდი, ტარიელი, ინდოეთის მეფის, ფარსადანის, სარდალი და მეფის ასულის, ნესტან-დარეჯანის, სატრფო აღმოჩნდა. ამ უძლეველი რაინდის ტრაგედია მას შემდეგ დაიწყო, რაც ფარსადანმა თავისი ერთადერთი ასულის ხვარაზმელ უფლისწულზე გათხოვება და ინდოეთის სამეფო ტახტის სიძისთვის გადაცემა გადაწყვიტა. მეფის განზრახვას წინ აღუდგნენ ნესტან-დარეჯანი და ტარიელი. ტარიელმა სატრფოს რჩევით მოკლა საქორწინოდ ჩამოსული ხვარაზმელი

უფლისწული. იგი იმედოვნებდა, რომ მეფე წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა და ქალიშვილის ხელს თვითონვე შესთავაზებდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ნესტანის საქციელით განრისხებულმა ფარსადანის დამ კიდობანში ჩაამწყვდევინა ძმისწული და მისი სამუდამოდ გადაკარგვა ბრძანა. ბევრი ეძება ტარიელმა თავისი შეყვარებული ზღვასა თუ ხმელეთზე, მაგრამ ვერსად მიაგნო. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც კიდობანში გამომწყვდეული ნესტანი ცოცხალი ნახა, მულღაზანზარის მეფე, ფრიდონი იყო. თუმცა ტარიელს ვერც მან გაუწია დახმარება – ნესტანის საძებრად გაგზავნილი მისი მენავეები ხელცარიელი დაბრუნდნენ. იმედგადაწურულმა ტარიელმა დევების გამოქვაბულში დაიდო ბინა და სიკვდილს ნატრობდა, რათა საიქიოში მაინც შეხვედროდა თავის მიჯნურს.

ტარიელის დაკარგული სატრფოს საძებრად ავთანდილი გაეშურა. ზღვათასამეფოშიმანშეიტყო, ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხესიმაგრეში იყო გამომწყვდეული. იგი მაშინვე ტარიელისკენ გაეშურა და სასიხარულო ამბავი აცნობა. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთის ციხისკენ გაეშურნენ ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად...



ვეფხისტყაოსნის
წერეთლისეული
ხელნაწერი
მე-17-მე-18 სს.



სერგო ქობულაძე.
ტარიელისა და ნესტან-
დარეჯანის შეხვედრა.

* * *

პოემის შინაარსის გაცნობისას ცხადი ხდება, რომ ჩვენ წინაშეა ამბავი გამორჩეულ ადამიანებზე და მათ შესაძლებლობებზე; სიყვარულზე, მეგობრობაზე, სიმამაცეზე, ერთმანეთის გატანაზე, სიკეთის მიერ ბოროტების დამარცხებაზე. ეს ამბავი აღმოსავლეთის ქვეყნებში ვითარდება. მათგან ზოგი – არაბეთი, ინდოეთი, ხვარაზმი – რეალურად არსებულისა, ზოგიც – მულღაზანზარი, ზღვათა სამეფო, ქაჯეთი – გამოგონილი. თუმცა რუსთაველის მიერ აღწერილ არაბეთსა და ინდოეთს მხოლოდ სახელწოდება თუ აქვთ ცნობილი აღმოსავლური

ქვეყნებისა. მათში “შეფარვით” საქართველოს ისტორიული ამბებია აღწერილი. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები “მიჯნურად” იხსენებიან, რაც არაბული სიტყვაა და სიყვარულისგან გაგიჟებულს ნიშნავს. ამავე დროს, ისინი რაინდები არიან; სამეფო კარი კი, რომლის ფონზეც სიუჟეტის დიდი ნაწილი იშლება, ძალიან ჰგავს ევროპელი სენიორის ციხესიმაგრეს, ისეთს, როგორც კრეტიენ დე ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის რაინდულ რომანებშია აღწერილი. სწორედ ესაა ვეფხისტყაოსნის პოპულარობის კიდევ ერთი მიზეზი. პოემაში ერთმანეთს ხვდება აღმოსავლეთი და დასავლეთი, ფირდოუსი და პლატონი, ნიჰამი განჯელი და დიონისე არეოპაგელი. რუსთაველის ფილოსოფია, ეთიკა და ესთეტიკა, ასტროლოგიური შეხედულებები დიდ მსგავსებას ამჟღავნებს, ზოგჯერ კი წინ უსწრებს მისი ეპოქის მსოფლიოს მოწინავე აზროვნებას. მთავარი გმირები – მიჯნურები – სიყვარულის გამო სისხლის ცრემლებს ღვრიან, სიკვდილს ნატრობენ, ადამიანებისგან შორს, ბუნებაში გარბიან, რასაც აღმოსავლურ პოეზიაში “ველად გაჭრა” ჰქვია. მეორე მხრივ, ევროპელი რაინდების მსგავსად, ისინი ერთგულები არიან თავიანთი მეფე-პატრონებისა. ურთიერთობა, რომელიც ვეფხისტყაოსნის ყმასა და პატრონს შორის არსებობს, თითქმის იმგვარივეა, როგორც ევროპული ვასალიტეტის ინსტიტუტით გათვალისწინებული მოვალეობები. ოღონდ ეტიკეტი აქ სიყვარულითაა ჩანაცვლებული, რაც, ერთი შეხედვით, მოულოდნელი უნდა იყოს შუა საუკუნეების სინამდვილისთვის. პოემის გმირი მამაკაცები ისევე ეთაყვანებიან თავიანთ ქალბატონებს, როგორც ევროპელი რაინდები; მზად არიან მათთვის სიცოცხლეც კი გაწირონ. ამავე დროს, ვეფხისტყაოსანში ასახული სიყვარული ბუნებრივი, ადამიანური გრძნობაა. ის ღმერთის მიერ ბოძებული ნიჭია, რომელსაც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნის გადალახვაც კი შეუძლია. ამით რუსთაველური მიჯნურობა ძალიან ჰგავს დანტე ალიგიერის ღვთაებრივ კომედიაში ასახულ სიყვარულს. სასიყვარულო ტანჯვა და მიჯნურობით მოგვრილი სიხარული აქ მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან. მაგრამ თუ ლეილისა და მაჯნუნის, ტრისტანისა იზოლდას რომანის მთავარი მოტივია სასიყვარულო ტანჯვის სიძლიერე და სიკვდილი, ვეფხისტყაოსანში აქცენტი გადატანილია ამ ტანჯვის დაძლევაზე, ჭირის ღმერთს შეცვლაზე, სიცოცხლის გამარჯვებაზე. ვეფხისტყაოსნის გმირებს უყვართ სიცოცხლე და ცდილობენ, რომ ბედნიერებას არა სიკვდილის შემდეგ, არამედ სიცოცხლეშივე ეზიარონ. მათ იციან, რომ ადამიანი ვერსად დაემალება სიკვდილს. ის ათანაბრებს ახალგაზრდასა და მოხუცს, სუსტსა და ძლიერს. ამიტომ ადამიანმა უნდა დაძლიოს შიში და თამამად შეხვდეს განსაცდელს, რადგან შერცხვენილ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობია.

ევროპული რაინდული რომანების პერსონაჟებისაგან განსხვავებით, რუსთაველის გმირებს საბოლოო გამარჯვების მიღწევაში ჯადოსნური ძალები არ ეხმარებიან, ადამიანი დასახულ მიზანს აღწევს თავისი სიბრძნისა და ვაჟკაცობის წყალობით, გამარჯვების რწმენით. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა კი სიყვარულია. ადამიანური შესაძლებლობების ამგვარი კუთხით წარმოჩენა დამახასიათებელია უფრო რენესანსული, ვიდრე შუა საუკუნეების აზროვნებისთვის. მართალია, ევროპაში რენესანსის ეპოქა ვეფხისტყაოსნის დაწერიდან საუკუნე-ნახევრის შემდეგ დადგა, მაგრამ რუსთაველმა, როგორც გამორჩეული ნიჭისა და ერუდიციის ადამიანმა, გაუსწრო თავის ეპოქას. მან ის პრობლემები წამოსწია წინ, რომლებიც ევროპაში მხოლოდ XIV საუკუნეში გახდა აქტუალური.

მეფთა პოეზია

ახლა ორ მეფეზე უნდა გიამბოთ – ორივე მათგანს საქართველოსთვის ურთულეს ეპოქაში მოუხდა ტახტზე ასვლა. ორივე მათგანი ბაგრატიონთა დინასტიას ეკუთვნოდა, ორივე ქვეყნის ხსნას ქრისტიანულ დასავლეთთან ან ჩრდილოელ მეზობელთან, რუსეთთან კავშირში ხედავდა; არადა მათი მეფობისას საქართველო ორ მრისხანე მტერს – ირანსა და ოსმალეთს შორის იჭყლიტებოდა. რაც მთავარია, ორივე მეფე პოეტი იყო – თანაც ძალზე დაფასებული თანამედროვეთა მიერ. და ბოლოს, ორივეს ერთნაირი ბედი ხვდა წილად – ტახტის დაკარგვა, სამშობლოდან განდევნა და უცხო მიწაზე სიკვდილი.

თეიმურაზ I

პირველმა მათგანმა, თეიმურაზ I-მა, სიჭაბუკე ირანში, შაჰ აბასის კარზე გაატარა (ირანის შაჰები ხშირად ითხოვდნენ მძევლად უფლისწულებსა და დიდებულთა შვილებს). სწორედ თეირანში გაეცნო იგი სპარსული ლიტერატურის შედეგებს, რამაც იმთავითვე განსაზღვრა მისი პოეზიის ხასიათი – თეიმურაზ I-ის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები აღმოსავლური პოეზიის სერიოზულ გავლენას განიცდის. „სპარსთა ენისა სიტკბობამან მასურვა მუსიკობანი, მძიმე არს ენა ქართველთა არ ძალმძის მისებრ თხრობანი“ – ეს ფრაზა თანამედროვე ქართულ ენაზე ასე უღერს: სპარსული ენის სიტკბობამ ლექსების წერა მომანდომა, ქართული ენა კი მძიმეა და ამ ენაზე ჩემს ლექსებს ისე ვერ გავაჟღერებ, როგორც სპარსულზეო. ბუნებრივია, ამ სიტყვების გამო თეიმურაზს სპარსოფილობა დასწამეს თანამედროვეებმაც და მისი შემდგომი თაობის პოეტებმაც. ამ „ბრალდებისთვის“ საკმარისი საბუთიც ჰქონდათ – თეიმურაზმა ქართულ ენაზე თარგმნა აღმოსავლური მწერლობის ყველაზე ცნობილი ძეგლები – „იოსებზილიხანიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“, „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“ („სანთელი და პეპელა“). მანვე დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში აღმოსავლური პოეზიის ჟანრები: გაბაასება (დიאלოგური ფორმის ლექსი), ანბანთქება (პირველი სტროფის ტაეპები იწყება ასო „ა“-თი, მეორისა „ბ“-თი და ა.შ), მაჯამა (მოკლე ლექსებისა და ომონიმური სტროფების კრებული). ამ ჟანრთა ფარგლებში მოაქცია მან თავისი პოეზიის ორიგინალური ნიმუშებიც („გაზაფხულშემოდგომიანი“, „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“).



სიუჟეტი ვარდისა და ბულბულის სიყვარულის შესახებ თეიმურაზამდეც არაერთხელ ყოფილა გამოყენებული ქართულ მწერლობაში. ამის მაგალითად, თუნდაც, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ შეიძლება დავასახელოთ, რომელშიც სასიყვარულო გრძნობა მეტაფორულად ვარდისა და ბულბულის მიჯურობით არის გამოხატული („აქვს მიჯნურობა ამისი ვითა ბულბულსა ვარდისა“). თუმცა თეიმურაზ პირველმა ეს მოტივი მომხიბლავ ლირიკულ ფორმაში მოაქცია და საოცარი რომანტიკული ელფერი შესძინა: გაზაფხულზე ბაღში გაიფურჩქნა ათასფერი ყვავილი, მათ შორის ყვავილთა მეფე – ვარდი. მის მახლობლად ტოტზე ჩამოჯდა ბულბული, რომელიც ლამაზი გალობით ატკობდა თავისი სატროფოს, ვარდის, სმენას. ნაწარმოების დიდი ნაწილი ეძღვნება გაბაასება-კამათს ვარდსა და ბულბულს შორის. თავისი სილამაზით გათამამებული ვარდი საყვედურობს ბულბულს, შენი გალობით ძილს მიფრთხობო, ბულბული კი ევედრება, ნუ გამაგდებ, თორემ უშენოდ მოვკვდებიო. ცხარე კამათის დროს ბულბულს გული წაუვა და მიწაზე დაეცემა. ვარდს შეებრალება „მიჯნური“, გულზე წყალს დაასხამს და მის გვერდით ყოფის ნებას დართავს.

ამავე მოტივზეა დანერული თეიმურაზის გაბაასების ჟანრის სხვა ნაწარმოებებიც,



ქეთევან დედოფალი

რომლებშიც ერთმანეთს „ებასებიან“ ხან სანთელი და მასზე შეყვარებული პეპელა, ხან – გაზაფხული და შემოდგომა.

რამდენადაც სპარსული კულტურა და პოეზია განსაზღვრავდა თეიმურაზ პირველის მხატვრულ შემოქმედებას, იმდენად სპარსული პოლიტიკა უხეშად იჭრებოდა მის პირად თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. თეიმურაზმა თავისი მეფობის უმეტესი დრო დევნილობაში გაატარა – ხან ოსმალეთში, ხან სპარსეთში, ხან რუსეთში, ხან – იმერეთსა და რაჭაში. იგი იყო ვაჟიშვილი ქეთევან დედოფლისა, რომელსაც საქართველოში მოიხსენიებენ ორი ისეთი დიდი წმინდანის გვერდით, როგორებიცაა წმინდა ნინო და თამარ მეფე. დედოფალი ქეთევანი თეიმურაზის ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად შაჰ აბასმა მძევლად წაიყვანა სპარსეთში. როდესაც შაჰისთვის ცნობილი გახდა, რომ თეიმურაზი ეძებდა დიპლომატიურ გზებს რუსეთთან პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად,

მან საშინელი წამებით მოკლა თეიმურაზის დედა და შვილები. შირაზში ქეთევანის წამებას ესწრებოდნენ კათოლიკე მისიონერები, რომელთა მეშვეობითაც ქართველი დედოფლის ამბავი გასცდა საქართველოს ფარგლებს და ევროპამდე მიაღწია. მისი წამება ჯერ კიდევ 1626 წელს აღწერა იტალიელმა მოგზაურმა და პოეტმა პიეტრო დელა ვალემ თხზულებაში „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“ (*“Informazione adella Georgia”*). ამ თხზულების საფუძველზე 1646-1648 წლებში გერმანელმა დრამატურგმა ანდრეას გრიფიუსმა დაწერა პიესა „საქართველოს დედოფალი კატარინა“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იდგმებოდა გერმანულ სცენაზე.

თავისი დედის მონამეობრივი აღსასრული თეიმურაზ პირველმაც აღწერა პოემაში „ქეთევანიანი“, რომელშიც ქეთევანის ღვაწლი წარმოჩენილია, როგორც საქართველოსთვის გაღებული მსხვერპლი. ამ ნაწარმოებით, თეიმურაზმა, რომელსაც გამუდმებით სპარსოფილობას საყვედურობდნენ, სათავე დაუდო ქართულ ნაციონალურ ეპოსს. ქართული ისტორიული სინამდვილე პირველად სწორედ თეიმურაზის ამ თხზულებაში აისახა.

თეიმურაზ პირველს ყველა დარტყმა არგუნა ბედმა – იგი მოესწრო საყვარელი ცოლის, დედისა და შვილების ტრაგიკულ სიკვდილს, მისმა პოლიტიკურმა მიზნებმა კრახი განიცადა. სიცოცხლის ბოლოს შაჰის მიერ ასტრბადში გადასახლებული მეფე ბერად აღიკვეცა და იქვე გარდაიცვალა.

მეფე-პოეტის ტრაგიკული ცხოვრება აისახა მის ლირიკულ შემოქმედებაზე. თეიმურაზის პოეზიაში წუთისოფლისადმი სამღურავის მოტივს ენაცვლება რელიგიურ თემაზე შექმნილი ლექსები. სხვა ცოდვებთან ერთად მეფე-პოეტი საკუთარ თავს იმაშიც ადანაშაულებს, რომ ცხოვრების უდიდესი ნაწილი „ფუჭ ლაყბობას“ შეაღია, ანუ ისეთი ლექსების წერას მოანდომა, რომლებიც არა იმდენად სულს, რამდენადაც ხორცს მოუტანს სიამოვნებასა და შვებას.

თეიმურაზი, როგორც მეფე, სამოცი წლის განმავლობაში ებრძოდა სპარსეთის აგრესიულ ზრახვებს, რადგან ის სპარსეთის შეურიგებელი მტერი იყო პოლიტიკაში. მეორე მხრივ, ის, როგორც პოეტი, ზედმეტად ლოიალურად იყო განწყობილი სპარსული მწერლობისადმი. მისი პიროვნული „გაორება“ შესანიშნავად გამოხატა აკაკი წერეთელმა თავის ისტორიულ მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“: „თეიმურაზი პოეზიაში პოლიტიკოსობდა, პოლიტიკაში პოეტობდა და ამით საზარელ ხვედრს უმზადებდა თავის ქვეყანას“.

არჩილი

მეორე მეფე-პოეტი, არჩილი, თეიმურაზ პირველს იმით ჰგავდა, რომ მისი მოწოდებაც იყო არა იმდენად მეფობა, რამდენადაც პოეტობა და მნიგნობრობა. თუმცა თეიმურაზივით ისიც იძულებული იყო მთელი ცხოვრება ეზიდა მეფობის ძიძიმე ტვირთი. ის ჯერ იმერეთში გაამეფეს, შემდეგ კახეთში, თუმცა სამეფო ტახტი რამდენჯერმე დაკარგა და დაიბრუნა ხან სპარსეთის შაჰის, ხან ოსმალთა ფაშას დახმარებით. ბოლოს იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო და რუსეთში გახიზნულიყო. იმედგაცრუებული მეფე თავის მრავალრიცხოვან ამაღლასთან ერთად დასახლდა მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატსკოეში და ხელი მოჰკიდა კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას. მან დაიწყო მზადება ბიბლიის ქართული თარგმანის გამოსაცემად. არჩილმა ხელნაწერებში დაცული ტექსტი სლავურს შეუდარა, ძველი აღთქმის რამდენიმე წიგნი თარგმნა კიდევც. სამწუხაროდ, იგი ისე გარდაიცვალა, რომ ბიბლიის გამოცემას ვერ მოესწრო, მაგრამ მოსკოვის სტამბაში დაამზადებინა ქართული შრიფტები და დაბეჭდა ფსალმუნების ქართული თარგმანი.



არჩილმა საფუძველი ჩაუყარა ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელსაც ქართულ მწერლობაში “მართლის თქმის პრინციპი” ჰქვია. მისი არსი ერთი მოკლე ფრაზით შეიძლება გამოიხატოს: „სპარსთა ნაჭორ ზღაპრებზე“ უარის თქმა. სიტყვა „სპარსული“ ძველ ქართულში კონკრეტულ ქვეყანასაც აღნიშნავდა და „უცხო“, „უცხოურის“ მნიშვნელობითაც იხმარებოდა. „ნაჭორ ზღაპრებში“ კი არარეალური, გამოგონილი სიუჟეტები იგულისხმებოდა. „მართლის თქმის პრინციპის“ მიმდევრები მწერლობას მკაფიო ამოცანას უსახავდნენ: მას უარი უნდა ეთქვა უცხოურ, გამოგონილ სიუჟეტებზე და მკითხველისთვის ეროვნული ისტორიული თემატიკა შეეთავაზებინა. ამ პრინციპის შემოღებით არჩილი მკვეთრად დაუპირისპირდა თეიმურაზ პირველსა და მის სკოლას. თუმცა ამ ლიტერატურულ პაექრობას ხელი არ შეუშლია მისთვის, გაელექსა სპარსული

„ვისრამიანი“, ხოლო თავისი ისტორიული პოემა „თეიმურაზიანი“ გაბაასების ჟანრის პრინციპებზე აეგო (პოემას მეორენაირად „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ ჰქვია). ეს ჟანრი სწორედ თეიმურაზ პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში. პოემა 19 კითხვა-პასუხისაგან შედგება. ერთმანეთს ეკამათება ორი პოეტი, რომელთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას სამ საუკუნეზე მეტი ამორებს ერთმანეთთან. თეიმურაზი ყველანაირად ცდილობს, დაუმტკიცოს მოწინააღმდეგეს თავისი უპირატესობა. თუმცა ბოლოს არჩილი მაინც ათქმევინებს რუსთაველს: „მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მოლექსენი ჩემზედ შენობსო“, რაც თანამედროვე ქართულ ენაზე ასე შეიძლება გადმოვცეთ: მე ვარ ქართული პოეზიის საფუძველი, რომელსაც ემყარება ყველა ქართველი პოეტიო. შეიძლება თუ არა ისტორიულად მივიჩნიოთ პოემა, რომელშიც ერთმანეთს მე-12 – მე-13 საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები რუსთველი და მე-16 – მე-17 საუკუნეების მოღვაწე, თეიმურაზი ებაასებიან? – შეიძლება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პოემის ბოლო თავებში (მე-16 – 19 პასუხები) გადმოცემულია, ერთი მხრივ, თამარის ეპოქის, მეორე მხრივ კი, თეიმურაზ პირველის მეფობის ისტორიული სურათი. არჩილი თხრობისას იყენებს როგორც თამარის ეპოქის ისტორიულ მატრიანეს, ასევე თეიმურაზის თანამედროვეების მონათხრობს. ამით ის მაქსიმალურად იცავს „რეალისტური“ თხრობის პრინციპს, რომელსაც სხვა ქართველი მწერლებისგანაც მოითხოვს. ამავე პრინციპითაა განპირობებული არჩილის შემოქმედებაში დიდაქტიკურ-მორალური ელემენტების სიჭარბეც („გაბაასება კაცისა და

სოფლისა“, „საქართველოს ზნეობანი“), რომლებიც მოგვიანებით სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედების მთავარი მოტივი გახდება.

თეიმურაზ პირველის ძლიერ გავლენას არჩილი განიცდის ლიტერატურული ფორმის თვალსაზრისითაც. თეიმურაზის მსგავსად, ის წერს როგორც საერო, ისე რელიგიური ხასიათის თხზულებებს. მასაც საერო მწერლობა სასულიეროსთან შედარებით დაბალი დონისად მიაჩნია. მისი ლირიკული ლექსები გაყენებულია პესიმიზმით, სოფლის სამდურავის მოტივით, რაც ავტორის პირადი თუ პოლიტიკური ცხოვრებით არის განპირობებული. განსხვავება ამ ორ მწერალს შორის ისაა, რომ არჩილის შემოქმედებაში უფრო ძლიერია ეროვნული მოტივი. სალექსო ფორმად თეიმურაზის მიბაძვით ისიც მაჯამას და ანბანთქებას ირჩევს, თუმცა მისი პოეტური ლექსიკა მაქსიმალურად „განმენდილია“ სპარსიზმებისგან. ეს გარემოება „მართლის თქმის პრინციპის“ მიმდევარ მწერალს თავისი შემოქმედების უდიდეს ღირსებად მიაჩნია: „მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“.

თეიმურაზის მსგავსად, არჩილს მეფობაში არ გაუმართლა. იგი მთელი ცხოვრება დასავლური კულტურისკენ ისწრაფვოდა, მაგრამ მაჰმადიანობა მიაღებინეს და სახელად შაჰნაზარხანი დაარქვეს. რუსეთს საქართველოსთვის მფარველობას სთხოვდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჩრდილოელმა მეზობელმა დახმარების ხელი მხოლოდ პირადად მას გაუწოდა. რუსეთში დასახლებულმა მეფემ იმ საქმეს მოჰკიდა ხელი, რომელიც ყველაზე მეტად ეხერხებოდა. შეეცადა, მნიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობით მაინც დახმარებოდა თავის ქვეყანას. ისიც, ისევე როგორც თეიმურაზი, უცხო ქვეყანაში გარდაიცვალა. რუსეთში გადასახლებულმა ქართველებმა იგი მოსკოვში, დონის მონასტერში დაკრძალეს.

ქართული მწერლობა და ევროპული კულტურული ტრადიცია

(XVI-XVIII საუკუნეები)

XIII–XVI საუკუნეები საქართველომ მონგოლებისა და ირანელების უღელქვეშ გაატარა. ეს მდგომარეობა თითქმის სამ საუკუნეს გაგრძელდა. XVI საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურმა და კულტურულმა ცხოვრებამ თანდათანობით დაიწყო შემობრუნება ევროპისაკენ. თუმცა პროცესი სწრაფი არ ყოფილა. ქართული კულტურა და მწერლობა დიდი ხნით მოექცა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ-ლიტერატურულ დინებებს შორის. ამან კი გამოიწვია მხატვრული ფორმების, გემოვნებისა და გავლენების სიუხვე ქართულ მწერლობაში.



სულხან-საბა
ორბელიანი

ერთი მხრივ, განსაკუთრებული პოპოულარობით სარგებლობდა სპარსული ლიტერატურული სტილი. ეს გამოწვეული იყო სპარსეთის ჯერ კიდევ მძლავრი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენით საქართველოში. სპარსული ეპოსის ნიმუშები დიდი რაოდენობით ითარგმნებოდა ქართულად. მათი გავლენითა და მიბაძვით იწერებოდა ქართული ორიგინალური ტექსტებიც. აღსანიშნავია, რომ სპარსული ტექსტების ქართული თარგმანი აუცილებლად ითვალისწინებდა ამ ტექსტების გადამუშავებასა და ქართულ გემოვნებასთან შეგუებას. სპარსულის გავლენით შექმნილ ქართულ ორიგინალურ ტექსტებში კი შეიმჩნეოდა სპარსული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: მიმზიდველი სიუჟეტები, უხვი მეტაფორები, ხატოვანი ეპითეტები და შედარებები.

მეორე მხრივ, ქართულ მწერლობაში თანდათან მკვიდრდებოდა ევროპული ლიტერატურული გემოვნება. ეს ქართველ მეფეთა მიერ ევროპულ სახელმწიფოებთან კონტაქტის განახლების შედეგი იყო. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, იოანე ბაგრატიონის და სხვათა მოღვაწეობა.

სულხან-საბა ორბელიანი XVII საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალია. მან ვახტანგ მეფის დავალებით იმოგზაურა ევროპაში და დიდი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული შემოქმედება შეესაბამება იმ ეპოქის ევროპული ლიტერატურისთვის დამახასიათებელ პრინციპებს.

ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა სულხან-საბა ორბელიანმა დაწერა იგავ-არაკების კრებული – „სიბრძნე-სიცრუისა“. ნაწარმოების სახელწოდება გვიჩვენებს, რომ „სიცრუეა“ იქ მოთხრობილი ამბები, ხოლო „სიბრძნე“ კი მორალი, რომელიც ამ ამბებიდან გამომდინარეობს. წიგნს თავიდან ბოლომდე გასდევს ერთი სიუჟეტი – უფლისწული ჯუმბერის აღზრდის ამბავი. მოქმედება მეფე ფინეზის კარზე იშლება. ფინეზს ორი ვეზირი ჰყავს – ბრძენი, კეთილშობილი სედრაქი და ვერაგი, ავსიტყვა რუქა. მათი სახით ერთმანეთს უპირისპირდება სიკეთე და ბოროტება. ნაწარმოების კიდევ ერთი პერსონაჟია უფლისწულის აღმზრდელი ლეონი. ყველა ესენი ერთმანეთს იგავ-არაკებით ესაუბრებიან და ეკამათებიან. აი, მაგალითად, რას მოგვითხრობს არაკი „უტკბესი და უმწარესი“:

ერთმა მეფემ უბრძნა თავის ვეზირს, წადი და ისეთი საჭმელი მომიტანე, რომ დედამინაზეც და ზღვაშიც მასზე ტკბილი არაფერი იყოსო. წავიდა ვეზირი და მოუტანა ენა. მეფემ მიირთვა და მოიწონა. ისევ დაიბარა მეფემ ვეზირი და ამჯერად სთხოვა, ისეთი საჭმელი მომიტანე, რომ მთელ ქვეყანაზე მასზე მწარე არაფერი იყოსო. წავიდა ვეზირი და ისევ ენა მოუტანა. გაოცდა მეფე: ტკბილი გთხოვე – ენა მომიტანე, მწარე გთხოვე – ისევ ენა მომიტანე, ეგ როგორ იქნებაო? მაშინ ვეზირმა მიუგო: ენაზე უტკბესი და უმწარესი არაფერია ქვეყნად –

მას უდიდესი სიკეთის გაკეთებაც ყველაზე მარჯვედ ეხერხება და უდიდესი ბოროტებისაცო. „სიბრძნე-სიცრუისა“ ევროპული განმანათლებლობის ფილოსოფიით შექმნილი ნიგნია. მასში ჩამოყალიბებულია პიროვნების აღზრდის განმანათლებლური პრინციპები. მასში გრძელდება გენიალური ევროპელი მეიგავეების ეზოპეს, ლაფონტენის, ფონვიზინის სტილი.

სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის კიდევ ერთი საყურადღებო თხზულება – „მოგზაურობა ევროპაში“. „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული დოკუმენტური პროზის პირველი ნიმუშია. ტექსტი ასახავს ევროპაში მწერლის მოგზაურობის საინტერესო დეტალებს. ამ ნაწარმოებმა უმნიშვნელოვანესი კულტურული, სამეცნიერო, გეოგრაფიული და ისტორიოგრაფიული მისია შეასრულა მაშინდელ საქართველოში.

სულხან-საბა ორბელიანმა დასავლური კულტურის სულისკვეთების მატარებელი სხვა საყურადღებო ტექსტებიც დაგვიტოვა. მის თხზულებებში „სამოთხის კარი“ და „სწავლანი“ ქრისტიანული სწავლების ძირითადი დოგმებია გადმოცემული.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებისთვის არც აღმოსავლური ლიტერატურული სტილია უცხო. ამას ადასტურებს მის მიერ რედაქტირებული „ქილილა და დამანა“. „ქილილა და დამანა“ უძველესი არაბულ-სპარსული იგავ-არაკების კრებულია, რომლის დედანიც სანსკრიტზეა შექმნილი. ამავე კრებულში სულხან-საბა ორბელიანმა არაერთი სპარსული ლექსი გალექსა ქართულად.

ამავე ეპოქაში მოღვაწეობდა ნიჭიერი პოეტი ბესიკ გაბაშვილი. მისი პოეზია კარგად ასახავს ქართული ლიტერატურის გატაცებას როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ლიტერატურული ფორმებით. ბესიკის პოეზიაში ქართველი მეცნიერები ბაროკოს კვალს ხედავენ. აი, ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი ყველაზე მეტად ცნობილი ლექსიდან:

ტანო ტატანო (ფრაგმენტი)

ტანო ტატანო, გულნამტანო,
უცხოდ მარებო!
ზილფო, კავებო, მომკლავებო,
ვერსაკარებო,
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო,
შემაზარებო,
ძონ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო,
სულთნამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე
მზისა დარებო!



ბესიკ გაბაშვილი

ევროპული აზროვნების სიღრმეებს ავლენს დავით გურამიშვილის შემოქმედება. მისი მთავარი თხზულება „დავითიანი“ გაჟღერებულია განმანათლებლური მსოფლმხედველობით, თემებითა და ჟანრული ფორმებით. „დავითიანი“ დატვირთულია ისტორიული, დიდაქტიკური და პასტორალური მოტივებით. სწორედ ეს თემები და მოტივები დიდი პოპულარობით სარგებლობს გურამიშვილის თანამედროვე ევროპულ მწერლობაში. დავით გურამიშვილის შემოქმედება გამოირჩევა რელიგიური ხედვებითა და სულიერებით. მან დააბრუნა ქართულ ლიტერატურაში ქრისტიანული სიმბოლიკა, გააცოცხლა ქრისტიანული თემები და მოტივები.

თხზულებაში „დავითიანი“ მოთხრობილია დავით გურამიშვილის ცხოვრების ავტობიოგრაფიული დეტალები: გორისუბანში გატარებული ბავშვობა, ლამისყანაში გადასახლება, ლეკების მიერ გატაცება, ტყვეობა, გაქცევა, სამშობლოსაგან მოწყვეტა... მოთხრობილია, თუ როგორ მოხვდა პოეტი ტყვეობის შემდეგ რუსეთში, როგორ იბრძოდა



დავით გურამიშვილი

ოსმალეთის, შვეციისა და პრუსიის წინააღმდეგ, როგორ მოხვდა მაგდერბურგის ციხეში. და ბოლოს, აღწერილია პოეტის ცხოვრება უკრაინაში... ტექსტი გაჯერებულია პოეტის თანამედროვე ისტორიული და პოლიტიკური ამბებით, ფილოსოფიური ძიებებით, მისტიკური ხილვებით... 1787 წელს დავით გურამიშვილმა თავისი „დავითიანის“ ხელნაწერი მირიან ბატონიშვილს გადასცა და საქართველოში გამოატანა. ეს გენიალური პოეტის დაბრუნება იყო!

დავით გურამიშვილმა შეცვალა ქართული ლექსის არა მარტო თემები და კონცეფციები, არამედ – ფორმა და სტილი.

სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის მწერლობა ევროპული განამათლებლობის უდიდესი წარმომადგენლების – ვოლტერის, დიდროს, სიდნეის, დრაიდენის, ჯონსონის, ბურკეს, ვინკელმანის, ლესინგის შეხედულებებს ენათესავება. ქართველი ავტორები წარმატებით ერთვებიან ევროპულ ლიტერატურულ პროცესში.


ქართული ლიტერატურის დასავლეთისკენ შემობრუნების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს აგრეთვე ანტონ I კათალიკოსმა, მამუკა ბარათაშვილმა, იოანე ბაგრატიონმა. იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ ამკარად მოასწავებდა ქართული ლიტერატურის გადანაცვლებას რომანტიზმის ხანაში. ინყებოდა ახალი ეპოქა.

ქართული ბეჭდური წიგნის სათავეებთან

პირველი ქართული ბეჭდური წიგნი 1629 წელს გამოიცა, მაგრამ არა საქართველოში, არამედ იტალიაში, კერძოდ რომში. ეს ფაქტი გარკვეული ისტორიული ვითარებით იყო გამოწვეული. XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს შაჰ-აბას I შემოესია. ქართლის მეფე თეიმურაზ I-მა დასახმარებლად მეზობელ ქრისტიანულ ქვეყანას, რუსეთს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. თეიმურაზს ერთადერთი გზა რჩებოდა – ევროპასთან პოლიტიკური კავშირის დამყარება. ამ მიზნით მეფემ ესპანეთსა და იტალიაში ელჩად გაგზავნა თავისი კარის მოძღვარი ნიკიფორე ირბახი, იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი.



ნიკიფორე ირბახი



ქართულ-იტალიური
ლექსიკონი

ამავე პერიოდში რომის კათოლიკური ეკლესია დაინტერესდა საქართველოთი, ქვეყნით, რომელიც მე-4 საუკუნიდან აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. ვატიკანის ინტერესებში შედიოდა ამ ქვეყანაში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, კათოლიკური სარწმუნოების ქადაგება და გავრცელება. ამიტომ ბუნებრივია, რომ რომის პაპი, ურბან VIII, ყურადღებით მოეკიდა ქართლის მეფის ელჩს, რომელმაც თეიმურაზ I-ს წერილი მიართვა. პაპიც და ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებელი ორგანიზაციის მესვეურნიც ხვდებოდნენ, რომ ვერც ერთი მისიონერი ვერ შეძლებდა დასახული ამოცანის შესრულებას, თუ არ ეცოდინებოდა ის ენა, რომელზეც კათოლიკური სარწმუნოება უნდა ექადაგებინა. ნიკიფორე ირბახს კი შეეძლო მნიშვნელოვანი დახმარება გაენია მომავალი მისიონერებისთვის ქართული ენის შესწავლის საქმეში, თუმცა ამისათვის მას ესაჭიროებოდა სათანადო

ლიტერატურა – გრამატიკის სახელმძღვანელო და ლექსიკონი. გადაწყდა, რომ კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში ნიკიფორე ირბახის დახმარებით დაემზადებინათ ქართული შრიფტი და ქართული წიგნები დაებეჭდათ.

1629 წელს დაიბეჭდა “ქართული ანბანი”, რომელმაც ერთგვარი სავარჯიშო ტექსტის როლი შეასრულა. მას მალევე მოჰყვა კიდევ ორი წიგნი: ქართულ-იტალიურ ლექსიკონი და ლათინური ენიდან ქართულად თარგმნილი პოპულარული ლოცვა ლორეტოს ღვთისმშობლისადმი – “ლიტანია ლაურეტანა”.

მთავარი როლი ამ საქმეში, მართალია, ნიკიფორე ირბახს განეკუთვნებოდა, თუმცა მას დიდი დახმარება გაუწიეს იტალიელმა მესტამბემ, სტეფანო პაოლინიმ და სტამბის მმართველმა აქილე ვენერომ.

ნიკიფორე რომში ერთ წელიწადზე მეტხანს დარჩა და საქართველოში 1628 წლის ბოლოს გამოემგზავრა. მართალია, მის ევროპაში მოგზაურობას არავითარი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ასრულდა ქართველთა დიდი ხნის ოცნება – ჩამოისხა ქართული შრიფტი და დაიბეჭდა ქართული წიგნები. კათოლიკური ეკლესიის მესვეურებიც თანდათან დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ძირითადი ენა ქართული იყო და მასთან შედარებით ბერძნულს არავითარი ძალა და გავლენა არ ჰქონდა, ამიტომ ანბანისა და ლექსიკონის შემდეგ გადაწყდა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენა და გამოცემა.

რომის პაპმა, ურბან VIII-მ, საგანგებოდ დაავალა იმხანად სრულიად ახალგაზრდა პალერმოელ მღვდელს ფრანჩესკო მარია მაჯოს ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლა.

ამ მიზნით მაჯო ერთ იტალიელ მისიონერთან ერთად საქართველოსკენ გამოემგზავრა. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, სამეგრელოში, დამკვიდრებულმა მისიონერმა იქაური მთავრის, ლევან დადიანის ხელშეწყობით არა მარტო შეისწავლა ქართული ენა, არამედ შექმნა იმ დროისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული ენის გრამატიკული წყობის შესახებ. მაჯოს “ქართული გრამატიკა”, რომელიც 1643 წელს დაიბეჭდა რომში, იყო ენის პირველი სახელმძღვანელო იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში.

ამ ნაშრომმა, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ მომავალი მისიონერების მომზადების საქმეში, არამედ ევროპელ მკითხველს მიანოდა ცნობები ქართული ენის აგებულებისა და თავისებურებების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მაჯო თავის სამეცნიერო ნაშრომს დაუმთავრებლად თვლიდა, საქართველოდან იტალიაში დაბრუნებისას ის თავს ადარებდა “ახალ არგონავტს, რომელსაც თან მიჰქონდა ოქროს საწმისი”.

რომში გამოცემულ პირველ ქართულ წიგნებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში. XIX საუკუნემდე ეს წიგნები იყო ერთადერთი წყარო, რომლის საშუალებითაც დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეები ეცნობოდნენ ქართულ ენას. გარდა ამისა, მათი გამოქვეყნებით ქართველებმა სცადეს გაერღვიათ მტრული მუსულმანური გარემოცვა და აღედგინათ კავშირი დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის რომში გამოსვლიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი ქართველ მეფეებს არ შეუწყვეტიათ ფიქრი ქართული სტამბის საქართველოს ტერიტორიაზე დაარსების შესახებ. ეს იყო ქართლის მეფის, არჩილის დიდი ხნის ოცნება. იგი თავად იყო პოეტი, მნიგნობარი და კარგად ესმოდა ქართული სტამბის არსებობის საჭიროება.

იმ დროს შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო არჩილმა თავისი განზრახვა საქართველოში ვერ განახორციელა. იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო, სამეფო ტახტი და მოსკოვში დასახლებულიყო. სწორედ აქ შეუდგა იგი ქართული შრიფტის ჩამოსხმისთვის ზრუნვას. შვედი დიპლომატის დახმარებით მან ქართული სასტამბო შრიფტი ამსტერდამში შეუკვთა. როგორც ჩანს, მეფის შეკვეთა შეასრულეს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ამ შრიფტებმა არჩილამდე ვერ მოაღწია. მეფის ოცნება მხოლოდ მე-18 საუკუნის 10-იან წლებში ასრულდა, როდესაც მისმა ძმისწულმა, ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ, თბილისში გამართა სტამბა და დაბეჭდა ჯერ სახარება და ფსალმუნები, 1712 წელს კი ქართველებისთვის სახარების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი – შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი”. მთლიანობაში თბილისის სტამბიდან სულ ოცამდე სახელწოდების წიგნი გამოვიდა. მხატვრული გაფორმებით ისინი არ ჩამორჩებოდნენ ევროპაში იმ დროს დაბეჭდილ წიგნებს.

1724 წელს ოსმალების შემოსევას თბილისის აოხრება და სტამბის გაუქმება მოჰყვა, მაგრამ ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში გადასახლებულმა მესტამბეებმა, რედაქტორებმა, მხატვრებმა საგამომცემლო საქმიანობა მოსკოვში გააგრძელეს. ვახტანგ VI ოცნებობდა ბიბლიის მთლიანი ტექსტის გამოცემაზე, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ ეს ოცნება აუხდენელი დარჩა. ბიბლიის სრული ტექსტი 1743 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, ვახტანგ VI-ის ვაჟის, ბაქარის, თაოსნობით, ამიტომ მას დღემდე ბაქარის ბიბლიას უწოდებენ.



მეფე ვახტანგ VI

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა – მსოფლიო ლიტერატურული რუკის ნაწილი

XIX საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ერა იწყება: საქართველო რუსეთის იმპერიის უღელქვემ აღმოჩნდება. ეს ფაქტი ლიტერატურულ პროცესზეც აისახება: ქართული მწერლობა, ერთი მხრივ, კარს გაუღებს დასავლურ (ევროპულ) ლიტერატურულ სკოლებსა და მიმდინარეობებს (რომანტიზმი, რეალიზმი), მეორე მხრივ კი, ჩაერთვება ხანგრძლივ ბრძოლაში რუსეთის იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

საქართველოსათვის უცხო არ იყო „დაპყრობილის“ სტატუსი. სხვადასხვა დროს საქართველოს ტერიტორია ოკუპირებული ჰქონდათ ირანს, არაბებს, თურქებს, მონღოლებს... ქართველების, როგორც უძველესი მართლმადიდებელი ერის, ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ ყოველთვის სარწმუნოების შენარჩუნებას უკავშირდებოდა. მთავარ მიზანს



გრიგოლ
ორბელიანი

სარწმუნოების დაცვა წარმოადგენდა. მაგრამ რუსეთის შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარად იყო: რუსეთიც, ისევე როგორც საქართველო, მართლმადიდებელი ქვეყანა გახლდათ! ამ გარემოებამ გარკვეული დაბნეულობა შეიტანა ქართულ საზოგადოებაში: კარგად ვერ გაეგოთ, რუსეთი მტერი იყო თუ მოყვარე? რუსეთმა კი შესანიშნავად ისარგებლა შექმნილი ვითარებით. მის პოლიტიკურ მიზანს იმთავითვე საქართველოსა და მთლიანად კავკასიის გათიშვა-დაშლა წარმოადგენდა. რუსეთის იმპერია მარჯვედ აპირისპირებდა მასავით მართლმადიდებლურ საქართველოს



ალექსანდრე
ჭავჭავაძე

კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან ხალხებთან. საქართველოს პოლიტიკური კურსი ბურჟუაზიის იყო მოცული.

ამ რთულმა პროცესებმა თავისი დალი დაასვა რომანტიზმს საქართველოში. ქართული რომანტიზმი ჩასახვისთანავე გამოეხმაინა ევროპული რომანტიზმის თემებსა და მოტივებს, თუმცა ძირითად თემას მაინც საქართველოს ბუნდოვანი პოლიტიკური ანმყო წარმოადგენდა. ცხადი იყო, რომ რუსეთს სრული გავლენის მოპოვება სურდა კავკასიაში. კავკასიის ერთიანობის იდეა ისტორიულ წარსულს ჩაბარდა, საქართველო კი აღარაფრით ჰგავდა ერთ დროს ძლიერ და აყვავებულ სახელმწიფოს. რა როლს ჰპირდებოდა მას ისტორია? რა სიკეთეს მოუტანდა საქართველოს ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი? ან მოუტანდა კი სიკეთეს?.. შექმნილი ვითარების ბუნდოვანება ნათლად გამოიხატა ადრეული ქართული რომანტიზმის წარმომადგენელი პოეტების – ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში. ალექსანდრე ჭავჭავაძეცა და გრიგოლ ორბელიანიც რუსეთის არმიის გენერლები იყვნენ. ერთი მხრივ, ისინი ვალს იხდიდნენ რუსეთის იმპერიის კარზე და თავდადებით ებრძოდნენ კავკასიაში ანტირუსული მოძრაობის ლიდერებს (მაგალითად, შამილს), მაგრამ, მეორე მხრივ, სევდიანად დასტიროდნენ საქართველოს წარსულ ისტორიულ ძლიერებას. შედეგად, იქმნებოდა ისეთი შედეგები, როგორიცაა – „გოგჩა“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ...

გრიგოლ ორბელიანი

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

(ფრაგმენტი)

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,

ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის — გიმზერ,
ვჰსწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..



ნიკოლოზ ბარათაშვილი

ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიაში რეალობა ტრაგიკულად არ თავსდება სურვილებთან. ეს შინაგანი გაორება ვლინდებოდა არა მარტო პოეტურ თემებსა და ემოციებში, არამედ პოეტურ ფორმებშიც. როგორც ალ. ჭავჭავაძე, ისე გრ. ორბელიანი ხშირად იყენებდნენ აღმოსავლურ სალექსო ფორმებს. ასე მაგალითად, ორივე პოეტს, განსაკუთრებით კი



გრ. ორბელიანს, ქართულ რომანტიკულ პოეზიაში შემოაქვს მუხამბაზის აღმოსავლური პოეტური ფორმა. მეტიც, „მუხამბაზი“ გრიგოლ ორბელიანის პოეზიის სავიზიტო ბარათად იქცევა. აღმოსავლური სალექსო ფორმები თითქოს თავშესაფარს წარმოადგენს რთული პოლიტიკური და ადამიანური არჩევანის წინაშე მდგომი ქართველი რომანტიკოსი პოეტებისთვის.

ამასობაში კი, კავკასიური დაპირისპირება რუსეთის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს გეგმად ყალიბდება. საერთო ქაოსსა და უთანხმოებაში კი საგანგებო მისია დაეკისრება სრულიად ახალგაზრდა პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს. მისი ფრაზა – სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს – ნათლად გამოხატავს პოეტის მოქალაქეობრივ პოზიციას: რელიგიური რწმენის თანხედრობა არ არის საკმარისი; დადგა დრო, როცა რწმენისათვის ბრძოლას ეროვნული ღირსებისათვის ბრძოლაც უნდა დაემატოს!

მიხეილ ლერმონტოვი

ეს სულისკვეთება თან სდევდა ბარათაშვილის პოეზიას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ქართული რომანტიზმის მსოფლიო რომანტიზმთან ერთიანობის სიმბოლოა. მისი შემოქმედება რომანტიზმის მართლაც საუკეთესო ტრადიციებზეა ამოზრდილი. ქართველი რომანტიკოსი პოეტი გამოეხმაურა მსოფლიოს უდიდეს რომანტიკოსებს: კიტსს, შელის, ბაირონს, მიცკევიჩს, ლერმონტოვს და სხვ. ბარათაშვილმა შეისისხლორცა ის ძირითადი თემები, რომლებიც ახასიათებდა ევროპულ და მსოფლიო რომანტიზმს: პიროვნული „მე“-ს წარმოჩენა, წარსულის გაიდილება, მითოლოგიური და რელიგიური ნაკადის მოზღვავება, ბუნებასთან თანაზიარობა, ამ სამყაროდან „გაჭრის“ ძიება, სიყვარულის, მარტოობისა და სევდის თემების გაშლა... ამ თემებს პოეტის არაერთი შედეგრი მიეძღვნა: „შემოღამება მთანმინდაზე“, „სულო ბოროტო“, „ვჰპოვე ტაძარი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერანი“...



ჯორჯ გორდონ ბაირონი



ჯონ კიტსი

სულო ბოროტო (ფრაგმენტი)

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმამფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?..



ნიკოლოზ
ბარათაშვილი

მერანი (ფრაგმენტი)

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალებდითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!
რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა;
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მინა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!..



ილია ჭავჭავაძე

თანამედროვეთა მოგონებით, ნიკოლოზ ბარათაშვილი საზოგადოების „სული და გული“ ყოფილა, მხიარული, ცელქი, მომცინარი, გართობათამაშობების მოყვარული ახალგაზრდა კაცი... მით უფრო გასაკვირია მისი პოეზიის სიღრმე! ბარათაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რომანტიზმის ერთ-ერთ საკვანძო იდეას – ეროვნული თვითმემეცნების აღორძინებას. საქართველოს ბედ-იღბალი და მის წარსულსა თუ მომავალზე ფიქრი პოეტმა ოსტატურად განაზავა მსოფლიო რომანტიზმის საერთო მახასიათებლებთან. შედეგად, შეიქმნა ისეთი შედეგრი, როგორცაა პოემა „ბედი ქართლისა“.

ბარათაშვილის პოეზია ადასტურებს, რომ რომანტიზმი ერთდროულად მსოფლიო მოვლენაცაა და ნაციონალურიც. მის ნაციონალურ ხასიათს განსაზღვრავს კონკრეტული გარემო, ისტორია, კულტურა, ენა, საზოგადოება, საზოგადოებრივი მიზნები, პიროვნების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში... ეროვნულობა, რომანტიზმისათვის ზოგადად ნიშანდობლივი ეს განცდა განსაკუთრებული სიმკვეთრით არის წარმოჩენილი ბარათაშვილის პოეზიაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ღირსეულად მონიშნა საქართველო მსოფლიო რომანტიზმის რუკაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილისეული ეროვნული სულისკვეთება უფრო მეტად გააქტიურდება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ დროისათვის უკვე აშკარაა რუსეთის იმპერიალისტური მიზნები კავკასიაში. საქართველოში შეინიშნება ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან ქართული კრიტიკული რეალიზმის ლიდერი, ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები.

როგორც ცნობილია, კრიტიკული რეალიზმის ევროპული სკოლა რეალობის ფხიზელი ანალიზი იყო; ის რეალობის ნამდვილ სახეს აჩვენებდა და ცდილობდა მკითხველისათვის

დაენახვებინა რეალურ ცხოვრებაში არსებული პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოციალურ პრობლემებს. ყურადღების ცენტრში მოექცა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება. რეალიზმის ეპოქის ნამყვანი ლიტერატურული ჟანრები იყო: რომანი, მოთხრობა, პოემა, ელეგია, დრამატული ჟანრები. რეალისტი მწერლები წარმატებით იყენებდნენ სატირასა და იუმორს, გროტესკსა და ირონიას, რათა უკეთ გამოეხატათ თავიანთი საზოგადოებრივი პოზიცია.

ქართველი რეალისტებს ხშირად თერგდალეულებს უწოდებენ. საქმე ისაა, რომ მწერალთა ამ ჯგუფის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელს განათლება მიღებული ჰქონდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, რაც, გეოგრაფიული თვალსაზრისით, გულისხმობდა მდინარე თერგის გადაკვეთას საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ (რუსეთისაკენ) მიმავალ სამხედრო გზაზე. თერგდალეულების შემოქმედება ცხადყოფს, რომ ისინი კარგად იცნობენ მსოფლიო რეალიზმის ლიტერატურულ სკოლას და მისი ძირითადი წარმომადგენლების – გოგოლის, ზოლას, ბალზაკის, სტენდალის, დიკენსის, ნეკრასოვის, ტოლსტოის, ტურგენევის, დოსტოევსკისა და სხვათა ტექსტებს. ქართველი მწერლები აშუქებენ მსოფლიო რეალიზმის ძირითად თემებს, როგორცაა – პიროვნებისა და საზოგადოების გართულებული ურთიერთობები, სოციალური ყოფის დეტალები, ახლადფუხადგმული კაპიტალიზმის გავლენები, ფსიქოლოგიური პრობლემები და სხვა.



ვაჟა-ფშაველა

თავიანთი დასავლელი კოლეგების მსგავსად, ქართველი რეალისტების მთავარ შემოქმედებით წყაროსაც რეალური ცხოვრება და ყოფა წარმოადგენს. სწორედ ეს განსაზღვრავს ქართული რეალიზმის ნაციონალურ თავისებურებებს.

ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარი პრობლემა ქართველი საზოგადოების გააქტიურება, მოქალაქეობრივი შეგნების გამომუშავება და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა! შედეგად, იქმნება ისეთი მნიშვნელოვანი ტექსტები, როგორცაა: ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?“ და „სარჩობელაზედ“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ და „გამზრდელი“, ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“ და „ხევისბერი გოჩა“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და სხვ. მაგალითად, თხზულებაში „კაცია-ადამიანი“ ილია ჭავჭავაძემ შექმნა ლუარსაბ თათქარიძის დაუვინყარი პერსონაჟი! თათქარიძე თუმცაღა უბოროტო, მაგრამ სოციალურად დრომოჭმული, მუქთახორა, ზარმაცი და ინერტულია. ის საშიშია, რადგანაც მისი და მისთანების გაძლიერების შემთხვევაში საქართველოს სულ უფრო მეტად გაუჭირდება დამოუკიდებლობის მიღწევა: დამოუკიდებლობის გზა გადის ბძოლაზე, რომლის უნარიც თათქარიძეს და მისნაირებს არ გააჩნიათ! ასე აქცევს ილია ჭავჭავაძე სოციალურ პრობლემას ეროვნულ პრობლემად.

საგულისხმოა, რომ ქართული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა ქართული ენის რეფორმა წამოიწყეს. ამის ნიადაგზე დიდი დაპირისპირება დაიწყო ქართველი მწერლების ძველ და ახალ თაობებს შორის. დღეს ეს დაპირისპირება „მამათა და შვილთა ბრძოლის“ სახელითაა ცნობილი. „შვილთა ბანაკი“ (ილია ჭავჭავაძის მეთაურობით) გაემიჯნა „მამათა ბანაკს“ (გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით) ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე, კულტურისა და პოლიტიკის საკითხებში. ადრე თუ გვიან, „შვილთა ბანაკის“ მიერ გამოთქმული აზრები და იდეები საქმეებად იქცა.

ამასობაში კი ქართული მწერლობა XX საუკუნეს მიუახლოვდა. საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებით გამოიკვეთა ვაჟა-ფშაველას მწერლური ნიჭი. ვაჟა-ფშაველა რეალიზმის გვიანი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა საქართველოში. მწერალი ყოველგვარ ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებაზე მაღლა დადგა. თავის პოემებში

„აღუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთური და აფშინა“ ის გასცდა კავკასიურ სეპარატიზმს და ხმამაღლა განაცხადა, რომ ადამიანის ღირსებას არ განსაზღვრავს არც ეთნიკური კუთვნილება და არც რელიგიური რწმენა; ყოველ საზოგადოებაში შეიძლება აღიზარდოს ღირსეული ადამიანი, აღსავსე ვაჟკაცობით, კეთილშობილებითა და ჰუმანურობით. ვაჟა-ფშაველას მთავარ აღმოჩენად ადამიანი იქცა, ადამიანის სულსა და გონებაში მომხდარი ღრმა ცვლილებები. ამით ის ენათესავება მსოფლიოს წამყვან მოაზროვნეებს: ნიცშეს, დოსტოვესკის, ბოდლერს. გარდა ამისა, ვაჟა-ფშაველას პროზასა და პოეზიაში უწყვეტად შემოვიდა ქართული მითოლოგია და ფოლკლორი, როგორც ქართული კულტურული მსოფლმხედველობის ნიმუში. ვაჟა-ფშაველამ ქართულად აამეტყველა ბუნება, მთები, ხეები, ყვავილები, ცხოველები. გვაჩვენა, რომ სამყაროს, ბუნებას თავისი ენა აქვს და რომ ადამიანს უნდა ესმოდეს მისი. მწერალმა ეს ნათლად გამოხატა პოემაში „გველის-მჭამელი“. ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი დონალდ რეიფილდი წერდა ვაჟა-ფშაველას შესახებ: „ვაჟა-ფშაველა გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის მწერალია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქართველი ავტორი“.

XIX საუკუნის ქართულმა მწერლობამ სათუთად მიიტანა „სამშობლოს“ იდეა და განცდა ახალი, XX საუკუნის კარიბჭესთან. ახლაც კი გვაღელვებს აკაკი წერეთლის მიერ აკანკალებული ხმით წაკითხული ლექსი განთიადი, რომელიც პოეტმა თავის ქვეყანას უძღვნა.

განთიადი (ფრაგმენტი)

... ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!...
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მინას მიმაბარეო!...
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!



აკაკი წერეთელი

ეს არის ლექსი-ლოცვა, ლექსი-ვედრება, ლექსი-სიყვარული, მიტანილი სამშობლოს სამსხვერპლოზე.

ქართული მოღერნიზმი



პაოლო
იაშვილი

თავის დროზე, პარიზში ბოდლერის „ბოროტების ყვაველების“ გამოსვლამ დიდი სკანდალი გამოიწვია. საზოგადოება ალაშქოთა სექსის, დეპრესიის და ალკოჰოლის შესახებ თემებმა. თვლიდნენ, რომ პოეტმა შეურაცხყო საზოგადოებრივი მორალი. პოეტური კრებულის ავტორს და გამომცემელს დიდხანს დევნიდნენ. ბოდლერს ჯარიმა – 300 ფრანკი გადაახდევინეს. ასე დაიწყო სიმბოლიზმი.

მსგავსი გამომხაურება მოჰყვა ქუთაისში ჟურნალ „ცისფერი ყანების“ გამოსვლას. ეს იყო ქართული სიმბოლისტური დაჯგუფების, „ცისფერყანელების“ პირველი ჟურნალი. პრესაში ლანძღავდნენ ახალგაზრდა პოეტებს პესიმისტური განწყობის, თვითმკვლელობის და ეროტიკული თემების გამო. ამ დაჯგუფების ხელმძღვანელი და ჟურნალის რედაქტორი იყო პაოლო იაშვილი. მან სიმბოლიზმის სამშობლოში – პარიზში იმოგზაურა და გადაწყვიტა, რომ ახალი იდეები თავის ქვეყანაში გაეგრძელებინა. რუსი მწერალი ილია ერენბურგი ასე იგონებს პარიზის კაფე „როტონდაში“ პაოლოსთან შეხვედრას: „პაოლო იმ დროს გამხდარი და ფიცხი (ოცი წლის) ახალგაზრდა იყო. სულ მეკითხებოდა: „რომელ კაფეში იჯდა ვერლენი? როდის მოვა პიკასო? მართალია, რომ კაფეში წერთ ხოლმე?“

ქართული სიმბოლიზმის გამორჩეული წარმომადგენლის, გალაკტიონ ტაბიძის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ „ცისფერყანელები“ შეკრებაზე უცნაურად გამოწყობილები მივიდნენ. მათ პიჯაკებზე მამლის დეზები დამაგრეს და ქუთაისის ბულვარში ასე დადიოდნენ. მამლის დეზები კი იმიტომ შეარჩიეს, რომ ფორმით ყანნს მიახმავსეს. თვითონ „ცისფერი ყანების“ სახელშიც სიმბოლიზმი ჩანს: ცისფერი – პოეზიის ფერია, ყანნები კი – ბოჰემური ცხოვრებისა. სიმბოლისტებისთვის ფერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხშირად ფერებს პოეტები თითქოს უადგილოდ იყენებდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი შთაბეჭდილების მოსახდენად კეთდებოდა. პაოლო იაშვილი აცხადებდა: „მომენყინა ყვითელი დანტი“, გალაკტიონი „იისფერი თოვლის“ შესახებ წერდა.

ქართველი სიმბოლისტები ბოჰემურად ცხოვრობდნენ. იმდროინდელ ქუთაისში ხშირად ხედავდნენ უცნაურად გამოწყობილ ახალგაზრდებს. მათგან ერთს – ტიცციან ტაბიძეს მკერდზე წითელი მიხაკი ქონდა დამაგრებული. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ მაიაკოვსკის ყვითელი შარფი, თეოფილ გოტიეს წითელი ჟილეტი თუ ოსკარ უაილდის – მწვანე მიხაკი.



გალაკტიონ
ტაბიძე

ჟურნალი „ცისფერი ყანების“ წინასიტყვაობაში დაჯგუფების წევრების ექსცენტრულობა, წარსულის ხელოვნებისადმი დაპირისპირება, ახალი ტექნოლოგიებისადმი ინტერესი, საკუთარი თავის განდიდება გამოვლინდა. ისინი თავს ევროპული ავანგარდის მემკვიდრეებად აცხადებდნენ. დიდი პატივით მოიხსენიებდნენ ფრანგი სიმბოლისტი პოეტის, რემი დე გურმონის „ნიღბების წიგნს“. ამ წიგნს ისინი უკვე კარგად იცნობდნენ. „ცისფერყანელები“ თვლიდნენ, რომ ქართველების არტისტული ბუნება, მათი გარდასახვის უნარი შეესაბამებოდა სიმბოლიზმის ამ მოთხოვნას. ასეთი გარდასახვის



ტიციან ტაბიძე

მაგალითია პაოლო იაშვილი. ის გამოგონილი ქალის – ელენე დარიანის ფსევდონიმით აქვეყნებდა ეროტიკული შინაარსის ლექსებს. ავტორის ვინაობას „ცისფერყანწელები“ საიდუმლოდ ინახავდნენ. ასეთი თამაში მოდერნისტებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამით პაოლო იაშვილმა თითქოს გიომ აპოლინერის შემთხვევა გაიმეორა, როდესაც ფრანგი პოეტი ერთ დროს ქალის – ლუიზ ლალანის ფსევდონიმით წერდა.


მოგვიანებით ქართული მოდერნიზმის კიდევ ერთი წარმომადგენელი, გრიგოლ რობაქიძე იგონებდა: „ცისფერყანწელებმა ქუთაისის ტავერნები პარიზულ კაფეებს დაამსგავსეს. აქედან ხშირად ისმოდა მათთვის საყვარელი სახელები: ედგარ პო და ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ხოსე მარია ერედია და ემილ ვერჰარნი, კონსტანტინ ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ვიარჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანენსკი და ალექსანდრ ბლოკი და სხვა.“



ვლადიმერ მაიაკოვსკი

ქართულმა ავანგარდმა პირველი ნაბიჯები სწორედ ქუთაისში გადადგა. კოლაუ ნადირაძე იხსენებდა შემდგომში ადამიანების აღფრთოვანებულ რეაქციას, როდესაც პირველად გაზის განათებები დააყენეს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასავლეთ საქართველოში დაიბადა რუსული ავანგარდის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი ვლადიმერ მაიაკოვსკი. ის გამართულად საუბრობდა ქართულად და 12 წლამდე საქართველოში ცხოვრობდა. ადვილი შესაძლებელია, მომავალ „ცისფერყანწელებთან“ ერთად ერთ სკოლაშიც დადიოდა. წლების შემდეგ, აშშ-ში ჩასული მაიაკოვსკი იგონებდა: „ჩიკაგოში, სადაც მოხსენებით გამოვდიოდი, ვილაც თეთრგვარდიელმა ჩემი დაცინვა ცადა. იცოდა, რომ ინგლისური არ ვიცოდი. ჩემს გასალიზიანებლად ინგლისურ ენაზე რალაც

თქვა. მთელი დარბაზი დაძაბული მიყურებდა. მელოდებოდნენ, რა გამოსავალს ვიპოვიდი. წამოვდექი და ჩემს ოპონენტს ვუპასუხე... ქართულ ენაზე. ყველა გოცებულნი იყო. აღმოჩნდა, რომ ქანდარაზე რუსეთიდან ჯერ კიდევ რევოლუციამდე წასული ერთი ქართველი იჯდა. როცა ქართული მეტყველება გაიგო, თავი ვერ შეიკავა და დაიყვირა: „კაცო, ვინ ხარ ან საიდან ხარო?“ თავი ავწიე და ვუპასუხე: „ქუთაისელი ვარ, ქუთაისელი!“ სალამოს შემდეგ ამ კაცმა მნახა და დავმეგობრდით.“



კაფე „ქიმერიონი“

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, შემოქმედი ადამიანები სამოღვაწეოდ თბილისში გადავიდნენ. თბილისი პოეტების ქალაქი ხდება. ამ დროს თბილისში უკვე იხსნება არტისტული კაფეები. კაფე „ინტერნაციონალში“ აცხადებენ, რომ თბილისი პოეტების ქალაქია და პოეზია მარტო თბილისშია. კაფეები, ძირითადად, გოლოვინის პროსპექტზე, დღევანდელ რუსთაველის გამზირზე გაიხსნა. აქ ცოცხალი შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობს. აქ კითხულობენ ლექციებს ახალი პოეზიის შესახებ. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კაფე იყო „ქიმერიონი“. „ქიმერიონი“ უნიკალური შემთხვევაა იმ მხრივაც, რომ დღეისთვის მხოლოდ პარიზის „La Coupole“-ის და „ქიმერიონის“ მხატვრობაა შემორჩენილი თითქმის სრული სახით. ამ პერიოდში საქართველო კავკასიისა და რუსეთის კულტურის ცენტრი ხდება. აქ გამორჩეული შემოქმედებითი საზოგადოება იყრის თავს. კაფეების კედლებს ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ილია ზდანევიჩი, იური დეგენი, სერგეი სუდეიკინი ხატავენ. ყოველდღე იმართება კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები. პრინც ოლდენბურგის ყოფილი მზარეული –

შეფ-კულინარი პაპაშა-ვანიჩკა – სტუმრებს აზიურ და ევროპულ კერძებს თავაზობს. ერთ-ერთ ასეთ კაფეში ფრანგი მომღერალი მარგარიტაც მღეროდა; მარგარიტა, რომელიც ძალიან შეუყვარდა მხატვარ ნიკო ფიროსმანს. იქნებ მისი ერთ-ერთი გამოსვლის შემდეგ გადანყვიტა მან, რომ მარგარიტას პორტრეტი დაეხატა. ფიროსმანი იმ დროს საქართველოში მცხოვრებმა ფრანგმა არტისტებმა – ილია და კირილე ზდანევიჩებმა აღმოაჩინეს. პირველი მსოფლიო ომის დროს ისინი საქართველოში ცხოვრობდნენ. იმდროინდელი თბილისის შესახებ ბრიტანელი ჟურნალისტი კარლ ბიჰოფი წერდა: „აქ ძალიან უცნაურ ხალხს იპოვით, პოეტებსა და მხატვრებს პეტროგრადიდან და მოსკოვიდან, ფილოსოფოსებს, მოცეკვავეებს, მომღერლებს, მსახიობებს. პაოლო იაშვილი, ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლიდერი, თბილისის მთავარ ბულვარში, კაფე ინტერნაციონალში... ავიდა სკამზე და ხმამაღლა წარმოთქვა – არა პარიზი, არამედ თბილისი არის მსოფლიო კულტურის ცენტრი.“



ნიკო ფიროსმანი.
აქტრისა მარგარიტა



ფუტურისტთა
ჟურნალი
„41 გრადუსი“

მე-20 საუკუნის 10-20-იან წლებში თბილისში თავი მოიყარეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ხელოვანებმა და მწერლებმა. თბილისში იკრიბებიან რუსეთის რევოლუციას გამოქცეული პოეტები და ხელოვანები. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და რუსეთის ავანგარდის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ილია ზდანევიჩი, ალექსეი კრუჩონიხი და იგორ ტერენტიევი თბილისში ქმნიან ახალ გაერთიანებას „41 გრადუსი“ თბილისის გეოგრაფიული განედის აღსანიშნავად. ტიცციან ტაბიძე იგონებდა, რომ რუსეთიდან ჩამოსული ხელოვანები და პოეტები სიხარულისგან ტიროდნენ, როცა ელექტროგანათებას ხედავდნენ. აქედან გაჩნდა ლეგენდა, რომ საქართველო ოაზისი იყო.



ნიკო ლორთქიფანიძე

სიმბოლიზმს საქართველოში ექსპრესიონიზმი შეცვლის – შიშის, შფოთის, უიმედობის, სასონარკვეთის, სევდის, იმედგაცრუების თემებით და პათეტიკური განწყობით. ექსპრესიონიზმის რევოლუციურ განწყობას და პლაკატურობას თუ ლოზუნგების ესთეტიკას შეესაბამება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დროშები ჩქარა“. ამავე პერიოდში დაწერს კონსტანტინე გამსახურდია თავის პესიმისტურ რომანს „დიონისოს ღიმილი“ და გრიგოლ რობაქიძე თავის დრამას – „ლამარა“.

ამ პერიოდის პროზა მცირე ფორმის ნაწარმოებების სიმრავლით გამოირჩევა. ეს ქართულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმის დაწყების ნიშანია. ქართულ მწერლობაში იმპრესიონიზმი ნიკო ლორთქიფანიძის სახელს უკავშირდება. იგი წერს ნოველას „უილქნოდ“, რომელშიც ასახელებს თავის შემოქმედებით პრინციპებს. მწერალი თავს არიდებს ვრცელ აღწერილობას. მის ნაწარმოებებში აბზაცები მოკლეა, ვრცელი წინადადების ნაცვლად ხშირად ერთ ფრაზას იყენებს. აქ მისი ამოცანაა მთლიანი შთაბეჭდილების განწყობილებით გადმოცემა. ამ გაგებით ნიკო ლორთქიფანიძის წერის სტილს ბევრი რამ აკავშირებს იმპრესიონისტულ ფერწერასთან. ნიკო ლორთქიფანიძე ერთგან თვითონვე წერს, რომ მისი მიზანი მკითხველში განწყობილების გამოწვევა იყო.

თბილისის კონსერვატორიის შენობაში პირველი ფუტურისტული საღამო გაიმართა. ქართველმა ფუტურისტებმა თავიანთ დაჯგუფებას „H₂SO₄“ უწოდეს და ამავე სახელწოდების პირველი ფუტურისტული






ხელნაკეთი წიგნის ნიმუში

ჟურნალი დააარსეს. „H₂SO₄“-ს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ფუტურისტებს ამ ქიმიური მჟავით ძველი ხელოვნების განადგურება სურდათ. გამოსცეს მანიფესტი „საქართველო-ფენიქსი“. ქართულ ფუტურისტებზე საუბრისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მიმდინარეობა სინთეზურ ხასიათს ატარებდა და ავანგარდული მიმდინარეობები (ფუტურისმი, დადა) და სიმბოლიზმი საქართველოში სინთეზურად იყო წარმოდგენილი. სიმბოლისტი პოეტი ტიცვიან ტაბიძე თავის წერილში „ცისფერი ყანწებით“ ძველი ესთეტიკის

ახლით შეცვლის აუცილებლობაზე საუბრობდა; თან ქარხნებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს დადიდ ქალაქებს განადიდებდა. ამწერილში ერთდროულადაა წარმოდგენილი სიმბოლისტური პასაჟები და ფუტურისტული ესთეტიკისთვის დამახასიათებელი ელემენტები. მასვე ეკუთვნის დადა მანიფესტიც.

ქართველი ფუტურისტები აცხადებენ, რომ მთვარის შესახებ დანერგილი ლექსები ელექტრონის შუქისადმი მიძღვნილმა პოეზიამ ჩაანაცვლა, სენტიმენტები წარსულს ჩაბარდა. ფუტურისტული პოეზია აგებული იყო სიტყვათა თამაშზე და თითოეული ტექსტი მრავალგვარ იმპროვიზაციას და თავისუფალ ინტერპრეტაციას ექვემდებარებოდა. თბილისში მოღვაწე ფუტურისტები ხშირად ლიტერატურულ ეპატაჟს მიმართავდნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა ენიჭებოდა არა მხოლოდ ტექსტების შინაარსს, არამედ ვიზუალურსაც. პერიოდულ გამოცემებში გაფორმებას დიდი ყურადღება ექცეოდა. საგანგებოდ არჩევდნენ შრიფტს და ხშირად განსხვავებული ზომის შრიფტებით ბეჭდავდნენ ტექსტებს. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ე.წ. ხელნაკეთი წიგნები. მხატვრები და პოეტები თვლიდნენ, რომ ავტორის ხელნაწერი დამატებით დატვირთვას ანიჭებდა თითოეულ ტექსტს, ბეჭდურ ასოებში კი ინდივიდუალობა იკარგებოდა. ისინი არაიშვიათად სხვადასხვა შრიფტსაც იყენებდნენ. ქართველი დადაისტები ქართულ შრიფტს ერთფეროვნად მიიჩნევდნენ. ხშირად უარს ამბობდნენ სასვენიშნებზე და მათ ნაცვლად, სხვადასხვა ფიგურას გამოსახავდნენ. ნაწარმოებებს უაზრობასა და აბსურდზე აგებდნენ.



კოტე მიქაბერიძის ფილმის „ჩემი ბებია“ აფიშა

ახალ ტექნოლოგიებთან ერთად ფუტურისტები აქებდნენ კინოხელოვნებას. ამ მხრივ საგულისხმოა კოტე მიქაბერიძის მიერ გადაღებული ფილმი „ჩემი ბებია“, რომელშიც მრავლადაა ფუტურისტული ესთეტიკის ელემენტები. რეჟისორმა თავის ამ ექსპერიმენტულ ფილმში საბჭოთა იმპერიაში ტოტალიტარული რეჟიმის გაბატონება იწინასწარმეტყველა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ფილმი „ჩემი ბებია“ აკრძალეს და კოტე მიქაბერიძეს ფილმების გადაღების უფლება ჩამოართვეს.

1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, კონსტანტინე გამსახურდია და მისი მეგობრები შავი ჩოხით დადიოდნენ, ეროვნული გლოვისა და პროტესტის ნიშნად. 1920-იანი წლების ბოლოდან ვითარება იცვლება. „ცისფერყანწელების“ დაჯგუფება იშლება და ყველა ცალ-ცალკე გააგრძელებს მოღვაწეობას. მაშინ დაწერს იოსებ გრიშაშვილი სევდიანი განწყობის ლექსს „გამოთხოვება ძველ თბილისთან“:

გამოთხოვება ძველ თბილისთან (ფრაგმენტი)

ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, გულში რომ გინახავდი...
გადაწყდა, უნდა შევცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...



იოსებ გრიშაშვილი

ეს უკვე აღარ არის არტისტული კაფეების თბილისი, სადაც დილამდე შემოქმედებითი საღამოები იმართებოდა. თავისუფალი საქართველოს კულტურული ცხოვრება ოთხი წელი გაგრძელდა. ადამიანები, რომლებმაც ტფილისურ ავანგარდს ჩაუყარეს საფუძველი, 1930-იანი წლებისთვის გადასახლებებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში აღმოჩნდნენ. ბევრი მათგანი დახოცეს. ვინც მოხერხა, გრიგოლ რობაქიძის მსგავსად ემიგრაციაში წავიდა. პარიზში გადავიდა ლადო გუდიაშვილიც. იმ დროს მისი პერსონაჟები ჯერ კიდევ პირდაპირ იყურებოდნენ. მოგვიანებით კი, საბჭოთა საქართველოში დაბრუნებულმა, თვალედახრილი უყურო ადამიანების დახატვა დაიწყო.

საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურა

XX საუკუნის დასაწყისი ძალზე რთული აღმოჩნდა საქართველოსთვის. 1918 წელს ქვეყანამ თავის სახუკვარ მიზანს მიაღწია და გათავისუფლდა რუსეთის იმპერიის დიქტატურისგან. ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმბოლოდ პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება იქცა. მაგრამ თავისუფლება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წელს საქართველოში ბოლშევიკური მმართველობა დამყარდა და ქვეყანა იძულებით შეუერთეს ახლადშექმნილ საბჭოთა კავშირს. ეს ცვლილებები ძალზე რთული იყო ქვეყნის კულტურისა და ლიტერატურისათვის. სწორედ ამ პერიოდში ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული მწერლობის ორი მიმართულება: ერთს მოდერნიზმი და ავანგარდი წარმოადგენდა, ხოლო მეორეს – საბჭოთა მწერლობა.

ქართული მოდერნიზმი წარმატებით წარმოაჩინდა ევროპული და მსოფლიო მოდერნიზმის ძირითად ტენდენციებს საქართველოში. ეს იყო შინაგანი, სულიერი პრობლემებით აღსავსე ლიტერატურული პროცესი. მთავარ თემას ადამიანის მიერ ღმერთის ძიება და ღმერთთან და სამყაროსთან მისი დამოკიდებულება წარმოადგენდა. მოდერნიზმი საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთში, ლიტერატურული სკოლებისა და მიმდინარეობების მრავალფეროვნებით გამოირჩა. მის წიაღში ჩამოყალიბდა მსოფლიო მოდერნიზმისათვის ნიშანდობლივი ისეთი მიმდინარეობები, როგორებიცაა: იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი. ამ ლიტერატურულ მიმდინარეობებს ახასიათებდა თავისუფალი აზროვნება და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნება. ქართული მოდერნიზმი დასავლური მოდერნიზმის სულისკვეთებით იყო გაჟღერებული, მაგრამ არც ნაციონალურ მიზნებს ივიწყებდა: ეროვნული ღირებულებები ჰარმონიულად ერწყმოდა მოდერნიზმის ზოგად ტენდენციებს.



მიხეილ
ჯავახიშვილი



კონსტანტინე
გამსახურდია

მოდერნიზმის ეპოქის ქართველი პროზაიკოსები – მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, ვასილ ბარნოვი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები – თავიანთ თხზულებებში წარმოაჩენდნენ თანამედროვე ადამიანის რთულ სულიერ დილემებს. ეს დილემები უფრო მეტად მწვავედებოდა საბჭოთა დიქტატურის ფონზე. საბჭოთა იდეოლოგია გამობდა ყოველივე სულიერს, პიროვნულს, ინდივიდუალურს. ის არ ცნობდა ცნებას „მე“. მისთვის მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ ცნება „ჩვენ“, რომელიც მიუთითებდა, რომ ყველას ერთნაირად უნდა ეაზროვნა და ერთნაირად ეცხოვრა. ქართულმა მოდერნისტულმა მწერლობამ ზუსტად ასახა ეს ტრაგიკული წინააღმდეგობა. შედეგად, დაიწერა ისეთი შედეგები, როგორებიცაა: „ჯაყოს ხიზნები“, „გველის პერანგი“, „ჰაკი აძბა“ და სხვა.

რომანში „ჯაყოს ხიზნები“ მიხეილ ჯავახიშვილი გასაოცარი სიღრმით გვიჩვენებს სამყაროსთან პიროვნების სრული გაუცხოების ურთულეს პროცესს. მისი მთავარი პერსონაჟი ყოფილი მემამულე და თავადი თეიმურაზ ხევისთავია. ხევისთავი ყოველგვარ კავშირს კარგავს საბჭოთა რეალობასთან. შესაბამისად, კარგავს თავის წარსულს – საგვარეულო სახლს, ნივთებს, საყვარელ ქალს... ის თანდათან საზოგადოებისაგან უარყოფილ საცოდავ ინდივიდად იქცევა. რომანი თეიმურაზის მიერ გამოსავლის ძიებას ეძღვნება. ეს არის საოცარი მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ ეძებს ხსნას ყველასაგან განწირული ადამიანი! მის წინაშე დაიკეტება ყველა გზა და დაიხშობა ყველა კარი! გამოსავალი კი არ ჩანს მანამ, სანამდე თეიმურაზი ეკლესიის კარს არ მიადგება... სწორედ იქ მიხვდება თეიმურაზი, რომ მისი ცოდნა და ინტელიგენტობა



გრიგოლ
რობაქიძე

გამოუსადეგარია, თუკი არ იპოვნის რწმენას. რწმენამ უნდა იხსნას თეიმურაზი ამ უხემ, უგვან და უსამართლო საბჭოთა რეალობაში. რწმენამ უნდა აპოვნინოს მას სულიერი დასყრდენი. ასეც მოხდება...


დასახული ამოცანის მასშტაბურობით მიხეილ ჯავახიშვილი თავისი თანამედროვე დასავლელი მოდერნისტი ავტორების – ფრანც კაფკა, მიხაილ ბულგაკოვი, ვლადიმერ ნაბოკოვი და სხვა – ღირსეული თანამოაზრეა.

ამავე პერიოდში იმპრესიონისტული მანერით მუშაობს ნიკო ლორთქიფანიძე. მწერალი ძალზე მწვავე თემებს აშუქებს. მისი თხზულებები „ტრაგედია უგმირით“, „შელოცვა რადიოთი“, „იყიდება საქართველო“... ხაზს უსვამს დროის სისასტიკეს, ადამიანების უძლურებას ამ დროში, ტრაგიზმსა და განწირულობას. ექსპრესიონისტული სტილითაა დაწერილი გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“. საგულისხმოა, რომ „გველის პერანგის“ პირველ გამოცემას სტეფან ცვაიგის წინასიტყვაობა ახლდა.

განსაკუთრებულ როლს ქართული მოდერნიზმის განვითარებაში ასრულებდნენ ქართველი პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი; პოეტი-სიმბოლისტები – ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ნიკოლო მინიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი და სხვ. ქართველმა



გალაკტიონ ტაბიძე



გალაკტიონ ტაბიძე
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ქარი ჰქრის

მოდერნისტმა პოეტებმა დასავლურ სტანდარტს დაუახლოვეს ქართული პოეზია. მათ ლექსებში იკითხება მსოფლიო მოდერნისტული პოეზიის ლიდერების – ბოდლერის, რემბოს, მალარმეს, მეტერლინკის, ბლოკის, ბელის პოეზიის საუკეთესო ტრადიციები. ქართული ლექსი მოდერნისტული მეტაფორებითა და სიმბოლოებით დაიტვირთა. წარმოსახვა, ტკივილი, განცდა, იმედგაცრუება, გაუცხოება მთელი სიმძაფრით შემოიჭრა პოეზიაში. ლექსი არნახულად მუსიკალური და მეტყველი გახდა. აი, რამდენიმე ნიმუში:

ავტოპორტრეტი

უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები,
სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა.
ილღის დაკოცნით მალე ვიღალევი,
მწვავენი ტალღები, თმებმა რომ დაფანტა.
მასსენეს ელოდენ დათლილი თითები,
ჯირითს რომ ელიან ფეხმარდი ცხენები,
სხვანაირ მუსიკის დღეს მბანენ ზვირთები,
ძვირფასად ვინთები ლექსების ხსენებით.
აზიურ ხალათში, ვით ფაშა ეფენდი,
ვოცნებობ ბალდათზე მოღლილი დენდი,
ვფურცლავ მალარმეს „DIVagatiOns“- ს.
იყავი რაც გინდა, შავი, საცოდავი,
ცხოვრება, ხელში მაქვს მე შენი სადავე,
რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ გაქციო.



ტიციან ტაბიძე

აღსანიშნავია, რომ მოდერნიზმის ეპოქის ქართველმა პოეტებმა წინ წამოსწიეს საქართველოს, როგორც ახალი კულტურული ცენტრის იდეა. თბილისში ჩქეფდა პოეტური ცხოვრება. ქალაქს ხშირად სტუმრომდნენ ევროპიდან და რუსეთიდან ჩამოსული ცნობილი მოდერნისტი პოეტები და მწერლები. ქართული მოდერნიზმი მხარდამხარ მიჰყვებოდა ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს...

ეს ყველაფერი სულაც არ მოსწონდა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას! მოდერნიზმისმისათვის დამახასიათებელი თავისუფალი აზროვნება ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკურ იდეოლოგიას.

არანაკლებ საფრთხეს ბოლშევიზმისთვის წარმოადგენდა ლიტერატურული ავანგარდი. ავანგარდი გადამეტებულ თავისუფლებას ამჟღავნებდა ლიტერატურული გამოხატვის ფორმებში. ის არ ერიდებოდა ექსპერიმენტებს. ქართული ავანგარდი, დასავლური და რუსული ავანგარდის მსგავსად, წარმოადგენდა მხატვრულ რეაქციას ჩიხში მოქცეულ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე. ავანგარდული სკოლებიდან საქართველოში ყველაზე წარმატებულად ფუტურიზმი განვითარდა. ფუტურიზმი თავყვანს სცემდა ურბანიზაციასა და ინდუსტრიულ პროგრესს, ნერგავდა დინამიკის, ხმაურის, აგრესიის ენერგიას. ფუტურისტებმა საგანგებო ენაც კი შექმნეს – ზაუმი, რომლითაც გამოხატავდნენ თავიანთ პოეტურ ესთეტიკას.

მეკამეჩების ურმული (ფრაგმენტი)

ორგი'დო ხერგ'დო მუხების რკო!
ხორბალი, კომბალი
კომბალი ონბალო
კომბალი ბალიგი
ბობო'და ლომები ბობო'და სპილოებს
ფულუროს ნაკოდალს, ფილტვებსნაგუდარს
ლერლილს მოროშილს, სიმინდს და ლერლილს
ორგი'დო ჩალა დო ორი'დო კამეჩებს
ზიზურე – რო – რო, დო ზიზურე აბეჩებს.
კომბალი და სახრე – ბორძიკი.თხმელა
აბედი ურმების. ხეები ხორ'ბო
მზის მუცლებს ნაბიჭარს
მზის ხვრელებს ზღარბი ჭამს
ორგი'დო ხერგი'დო მუხებისრკო! . .



სიმონ ჩიქოვანი

ასეთი პათოსისა და განწყობის მატარებელი მოდერნიზმი და ავანგარდი, ცხადია, ხელს უშლიდა ბოლშევიკური იდეოლოგიის დანერგვას მასებში. თავისუფალი და არასტანდარტული აზროვნება ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიზმის იდეალებს. მოდერნისტები და ავანგარდისტები ცხადდებოდნენ „საბჭოთა ქვეყნის მტრებად“. მათი ხარისხიანი, ხშირად გენიალური შემოქმედება ცხადდებოდა ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობად. მათ სჯიდნენ, როგორც დამნაშავეებს. შედეგად, არაერთი ქართველი შემოქმედი შეგებებია დახვრეტას (მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცვიან ტაბიძე, კოტე ხიმშიაშვილი), დაპატიმრებას (ნიკო სამადაშვილი), ემიგრაციას (გრიგოლ რობაქიძე), ანაც – თვითმკვლელობას (პაოლო იაშვილი). მწერლები მიდიოდნენ მსხვერპლზე, ვინაიდან სხვაგვარად მათ არ შეეძლოთ!

ფიზიკური ანგარიშსწორების გარდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მოდერნიზმსა და ავანგარდს სოციალისტური რეალიზმი დაუპირისპირა. დაიწყო ე.წ. საბჭოთა მწერლობის ჩამოყალიბება.

საბჭოთა იდეოლოგია არ სცნობდა ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებებს, როგორებიცაა: ეროვნული კუთვნილება, ინდივიდუალური აზროვნება, განსხვავებული ხედვა. ცხოვრების ლოზუნგი ასეთი იყო: რაც სჭირდება ერთს, საჭიროა ყველასათვის; რაც წესია ერთისათვის, წესია ყველასათვის; როგორც ცხოვრობს ერთი, ისე უნდა ცხოვრობდეს ყველა! გადანყვეტილებას ერთპიროვნულად იღებდა ცენტრი. მიმდინარეობდა „ახალი სოციალური წყობილების შემქნისა“ და „ადამიანების გადაკეთების“ პროცესი. „შექმნა“ და „გადაკეთება“ კი ძალადობასა და ტერორზე იყო აგებული. პროცესი თანდათანობით გადაიზარდა ქაოსსა და უბედურებაში. ბოლშევიზმმა ორგანიზებული ბოროტების სახე მიიღო. ე.წ. კომუნისტურმა დემოკრატია მძიმე დალი დაასვა კომუნისტური ქვეყნების კულტურულ ისტორიას.

ლიტერატურა ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასაყრდენი გახდა. სოციალისტური რეალიზმი სრულად აკმაყოფილებდა ახალი ხელისუფლების მოთხოვნებს. ის რამდენიმე შენაკადად განიცოტა: პროლეტარული მწერლობა, სოცრეალისტური მწერლობა, საბჭოთა პუბლიცისტიკა. გაჩნდა ახალი ტერმინები – პროლეტკულტურა, საბჭოთა მწერლობა, სოციალისტური რეალიზმი, საბჭოთა კრიტიკული სკოლა.

სოციალისტური რეალიზმის მთავარი ამოცანა ახალი ისტორიისა და მასობრივი კულტურის შექმნა იყო. ინერებოდა დითირამბული ლექსები და ოდები საბჭოთა ხელისუფლებაზე, სქელტანიანი რომანები საბჭოთა ადამიანების კოლექტიურ შრომასა და გამირობაზე, ძმობის, ერთობისა და თანასწორობისათვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებაზე. საბჭოთა კრიტიკა კი ხოტბას ასხამდა ამ სიყალბეს. მეტიც, ასახიჩრებდა უმისოდაც გაიშვიათებული ხარისხიანი ტექსტების ნაკითხვას. არასწორი ნაკითხვის მსხვერპლად არაერთი ქართველი მწერლის გენიალური ტექსტი იქცა. ამგვარი ლიტერატურული სიყალბის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, იყო შიში საბჭოთა ტერორის წინაშე.



ძალიან ცოტა ჭეშმარიტი ტალანტი თუ „შეინყალა“ და „დაინდო“ საბჭოთა ხელისუფლებამ. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ტალანტებს საერთაშორისო აღიარება უნდა მოეტანათ ახალი სახელმწიფოსთვის. უმეტეს შემთხვევაში კი ტალანტებს დევნიდნენ, უკრძლავდნენ თავისუფალ აზროვნებას, ბრალს სდებდნენ სახელმწიფო დანაშაულში, აძევებდნენ ქვეყნიდან...

30- იან წლებში „სხვაგვარად მოაზროვნე“ მწერლებისა და პოეტების განადგურებამ დაუნდობელი სახე მიიღო. ხელისუფლების მიერ ჩატარებული დიდი „პოლიტიკური წმენდის“ შედეგად ქართული ლიტერატურა დასუსტდა და დაკნინდა; ის სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა საერთაშორისო ლიტერატურული პროცესისგან. ქართულმა მოდერნიზმმა და ავანგარდმა შეწყვიტა არსებობა.

ეს იყო განადგურებული ტალანტების და დაუნერელი ტექსტების დრო.

საბედნიეროდ, ქართული მწერლობის ღირებულებები წარმომადგენლები მალევე შეუდგნენ გამოსავლის ძიებას. განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა გამოსატვის ალტერნატიულ ხერხებს – ალგორიას, სატირას, ირონიას, იუმორს, აბსურდს.

სატირისა და იუმორის საშუალებით აზრის გამოსატვა ჯერ კიდევ XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე წარმატებით დანერგა შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა. კლდიაშვილისეული იუმორი ტრაგიზმით იყო შეფერილი. მისი სიცილი ორმაგ ფუნქციას ასრულებდა – ეს იყო დრამატული სიცილი საკუთარ უსუსურობაზე და სიცილი გარესამყაროზე. ანტონ ჩეხოვის მსგავსად, კლდიაშვილმა ადამიანის არა სიკვდილი, არამედ ცხოვრება აქცია ტრაგედია!



დავით
კლდიაშვილი

„იგი სწორედ შეეცოდებოდა კაცს, თვით ამბავი სასაცილო რომ არ ყოფილიყო“, – წერს დავით კლდიაშვილი თავის გახმაურებულ მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“. მოთხრობის სიუჟეტი თითქოსდა ბანალურია: გაღარიბებული აზნაური პლატონ სამანიშვილი, რომელიც

ძლივს ახერხებს საკუთარი ოჯახის რჩენასა და გამოკვებას, თავზარდაცემულია ქვრივი მამის გადარჩევით, შვირთოს ცოლი! მამა და შვილი ერთ სახლში, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და იყოფენ იმ მცირედს, რაც გააჩნიათ. მაგრამ მამის გადარჩევით მშობლებმა შეიძლება ერთბაშად დაარღვიოს ეს ჰარმონია: გამორიცხული არ არის, რომ მამის ახალმა ცოლმა ბავშვი გააჩინოს, ხოლო ბავშვი არა მარტო ძმა იქნება მთავარი პერსონაჟისთვის, არამედ – მემკვიდრეობის მოცილეც! მემკვიდრეობის თემა, ცხადია, არ წარმოადგენს ორიგინალურ ქართულ თემას – ის თითქმის ყველა ხალხისა და ეპოქის ლიტერატურებისათვის არის დამახასიათებელი. განსხვავებას ქართველი მწერლის მიზანი, ოსტატობა და შემოქმედებითი ტალანტი ქმნის. ამ ბანალურ სიუჟეტს ქართველმა მწერალმა ძლიერი ფსიქოლოგიური და ემოციური მუხტი შესძინა; დრამატულში კომიკური აღმოაჩინა და ტრაგიკომიკური შედეგები შექმნა. დადის პლატონი სოფელ-სოფელ და ეძებს, სულ მცირე, ორჯერ განათხოვარ ქალს, რომელსაც წინა ქორწინებებში შვილი არ ჰყოლია და, შესაბამისად, ვერც მის მამას მიანიჭებს ამ ბედნიერებას. და მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა ცეცხლი გიზგიზებს მის გულში...

კლდიაშვილის „გაკვეთილები“ კარგად გამოიყენეს ქართველმა მწერლებმა მამინ, როდესაც საქართველო საბჭოთა ტერორმა მოიცვა. იუმორი დიქტატურის წინააღმდეგ წარმოებული ლიტერატურული ბრძოლის ერთ – ერთ ყველაზე ეფექტურ იარაღად იქცა. შეიქმნა ისეთი სპეციფიკური ლიტერატურული ჟანრები, როგორცაა საბჭოთა სატირული დრამა, სატირული რომანი, იუმორისტული მოთხრობა, ნოველა, ფელეტონი. ამის ერთ – ერთი მაგალითია პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“. პიესაში მოთხრობილია უსაქმური, მშობარა, გაუნათლებელი და ეშმაკი კაცის, ყვარყვარე თუთაბერის „რევოლუციური“ თავგადასავალი საბჭოთა წეს – წყობილების დამყარების პირველ თვეებში: ყვარყვარე ხან მეფის ხელისუფლების მომხრეა, ხან დროებითი მთავრობის წარმომადგენელია და ხანაც – ბოლშევიკების მხარდამჭერი. მის პოზიციას ყოველთვის ერთი პრინციპი განსაზღვრავს: ვინ არის დღეს ხელისუფლების სათავეში? თუ ხელისუფლების სათავეში მეფეა, მამინ ყვარყვარე მისი ერთგულია, თუ დროებითი მთავრობაა – ყვარყვარე მის ჯარს მეთაურობს, ხოლო თუ ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს – ყვარყვარე მათი ამხანაგია! ახალგაზრდა საბჭოთა ცენზურა ძალიან დააბნია პიესის იუმორისტულმა ხასიათმა: სცენები გაჟღენთილია კომიკური სიტუაციებით, დიალოგები – აბსურდულია, პერსონაჟები – კარიკატურული. საბოლოო ჯამში, პიესა შეფასდა როგორც შარჟი პოლიტიკურად უმნიშვარ, „ახალი დროებისათვის“ მოუმზადებელ, ბრიყვ, მლიქვნელ ადამიანზე და... დაიბეჭდა დიდი ტირაჟით! დღეს კი, თითქმის ასი წლის შედეგ, სავსებით ცხადია პიესის ავტორის მიზანი: ყვარყვარე თუთაბერი თავისი მახინჯი დროისა და საზოგადოების სიმბოლოა. ყვარყვარეს ნაირი უგვანი ადამიანი არასოდეს წარმოიქმნება ნორმალურ საზოგადოებაში. ყვარყვარე საბჭოთა რეჟიმის უშუალო ნაყოფია, ტრაგედიაა, უბედურებაა, რომელსაც ვერასოდეს და ვერც ერთი დიქტატორული მმართველობა ვერ დააღწევს თავს!

მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც სამამულო ომის სახელითაცაა ცნობილი, რამდენადე მოადუნა ლიტერატურული წინააღმდეგობა. ომის წლებში ფაქტობრივად გაბატონდა საბჭოთა პატრიოტული მწერლობა და პუბლიცისტიკა. სხვაგვარად მოაზროვნე მწერლები იატაკქვეშეთში განაგრძობდნენ საქმიანობას და ისიც – თითქმის შეუმჩნეველად. ომის დასრულების შემდეგ კი საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ცვლილებების სიომ დაუბერა. მიყურდნენ ომის ქვემეხები, გარდაიცვალა სტალინი, რასაც მალევე მოჰყვა „პიროვნების კულტის დაგმობა“. ქვეყანაში ე.წ. „დათბობამ“ დაისადგურა. ომის ქვემეხების გრიალი დასავლეთიდან შემოჭრილმა ტვისტის რიტმებმა ჩაანაცვლა.



ილუსტრაცია დავით კლდიაშვილის მოთხრობისთვის „სამანიშვილის დედინაცვალი“

საქართველოს ლიტერატურულმა ცხოვრებამაც განსხვავებულ საფეხურზე გადაინაცვლა. ქვეყანაში კვლავ დაუბერა დასავლური ლიტერატურის სიომ. ქართველი მწერლები ხარბად ეცნობიან ნეორეალიზმის ლიტერატურულ სკოლას. იმ დროის საქართველოში ყველაზე პოპულარული დასავლელი ავტორები არიან ერნესტ ჰემინგუეი, სკოტ ფიცჯერალდი, ერიკ მარია რემარკი... ქართული მწერლობა გულახდილი და რეალისტური ხდება. ამ ახალი ლიტერატურული ტალღის წარმომადგენლები არიან გურამ რჩეულიშვილი, არჩილ სულაკაური, ერლომ ახვლედიანი. ისინი ნელ-ნელა აბრუნებენ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას საერთაშორისო ლიტერატურულ ორბიტაზე. გურამ რჩეულიშვილის შესანიშნავ მოთხრობებსა და ნოველებში თითქოს ოკეანის სიღრმიდან ამოტივტივდება ომისშემდგომი ქალაქები, ადამიანები, რომლებიც გრძნობენ სევდას, ტკივილს, უმკლავდებიან ყოველდღიურობის ერთფეროვნებას და წვრილ-წვრილ პრობლემებს, იცავენ მალალ ზნეობრივ პრინციპებსა და მოქალაქეობრივ ღირებულებებს. ამავე დროს, ისინი სავსენი არიან სიყვარულით, მონატრებით, ერთმანეთის მხარში დგომის დაუოკებელი სურვილით. რჩეულიშვილის სამყარო არც თეთრია და არც შავი, არამედ აგებულია შუქ-ჩრდილების ნეორეალისტურ თამაშზე.

ნეორეალისტური ხასიათისაა არჩილ სულაკაურის პირველი მოთხრობებიც: „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, „წყალდიდობა“, „მტრედები“, „ბიჭი და ძაღლი“. ჰაერში ჯერ კიდევ ტრიალებს ომის სურნელი, თუმცა, ადამიანები თანდათან უბრუნდებიან ცხოვრების ჩვეულ რიტმს და მასთან ერთად – მივინყებულ ადამიანურ განცდებს: სიყვარულს, მოლოდინებს, აღმაფრენებს, იმედებს... თუმცა, სადღაც, ყოველთვის, როგორც აუცილებელი ტექსტურა, არსებობს ხსოვნა – ღია ჭრილობა, ნაკვალები, დარდი, რომელსაც ვერ გადაფარავს დრო.

დასავლურ ლიტერატურულ სტილს თანაუგრძნობს ერლომ ახვლედიანი. ერლომ ახვლედიანის წიგნმა „ვანო და ნიკო“ მძლავრად შეარყია საბჭოთა მკითხველების მსოფლალქმის სტერეოტიპები.

ნეორეალისტური განწყობილებით იწყებს თავის სამწერლო კარიერას ნოდარ დუმბაძეც. 1960 წელს დიდი ხმაური მოჰყვა მწერლის რომანს – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი, იუმორით გაჯერებული ტექსტია, რომელიც გადმოგვცემს ომისდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრებასა და მისი ბინადრების კეთილ, ხშირად გულუბრყვილო თავგადასავლებს. სინამდვილეში კი რომანი დიდი ადამიანური ნაღველითაა შეფერილი: სიცილის მიღმა ადამიანების უზარმაზარი სევდა იმალება – პატარა ბიჭის უდედმამო არსებობა, ომის შედეგები, ტკივილი და სიცარიელე, ადამიანთა უსუსურობა და უუნარობა, წინ აღუდგნენ ომის ტრაგედიას. ავტორი სევდიანი სიცილის მიღმა პასუხს ითხოვს გლობალურ შეკითხვებზე: რა საჭიროა ომი? რატომ იწყებენ ომებს? რატომ კვდებიან ომებში ადამიანები? როგორ დაღს ასვამს ომი ახალგაზრდა თაობის ცხოვრებას? ნოდარ დუმბაძის სევდანარევმა იუმორმა თავი იჩინა მის რამდენიმე სხვა ტექსტშიც.

თავის სიტყვას ამბობს ომისშემდგომი ქართული პოეზიაც. ასპარეზზე გამოდის პოეტი ქალი ანა კალანდაძე. მისი შემოქმედება თავისუფალია ყოველგვარი პოლიტიკისგან. ლექსი ემოციურია, ღრმა, ფიქრიანი, მინიმალისტური. ქალური ხედვა ელეგანტურად იკვეთება საქართველოს ისტორიასთან და მითოლოგიასთან.



გურამ რჩეულიშვილი

ანა კალანდაძე

ბეთანიის გზაზე

ასკილი, მოცხარი, მოცვი...
 გზადაგზა კუნელიც გვხვდება...
 აღარ წვიმს... ლამაზი მხრები
 გაშალეს ლამაზმა მთებმა...
 მივდივართ, მივდივართ, ცივი
 სექტემბრის ქარები ქრიან...
 სველ გზებზე ნაბლის და იფნის
 და მუხის ფოთლების ყრია...
 მოვედით სამადლოს ხევთან...
 ნისლებში დანთქმულა ისიც...
 მე მინდა... სულ ვიყო შენთან,
 როგორც ეს მთები და ნისლი!
 ასკილი, მოცხარი, მოცვი,
 გზადაგზა კუნელიც გვხვდება...
 აღარ წვიმს, ლამაზი მხრები
 გაშალეს ლამაზმა მთებმა...




მუხრან მაჭავარიანი

თანამედროვე ქართული პოეზიის ისტორიას ანა კალანდაძესთან ერთად ქმნიან: შოთა ჩანტლაძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭკორი, შოთა ნიშინიანიძე, არჩილ სულაკაური, მიხეილ ქვლივიძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ემზარ კვიციანიშვილი, რეზო ამამუკელი... მათ პოეტურ ტექსტებში იგრძნობა დასავლური ლიტერატურული

მოდის ზეგავლენა; მოჭარბებულია თავისუფალი და ლირიული პოეტური სტილი, გააქტიურებულია პატრიოტული თემატიკა.

სამწუხაროდ, მწერლობის თავისუფლების მაღალმა ხარისხმა მალევე გააღიზიანა საბჭოთა ხელისუფლება. პოლიტიკური „დათბობა“ „უძრაობის ხანამ“ შეცვალა. სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა ქართველ მწერალთა შთამბეჭდავი ჯგუფი, რომელმაც შეძლო ყოველგვარ პოლიტიკურ შეზღუდვებზე მაღლა დადგომა. მათი შემოქმედება იყო ექსისტენციალური თემების დამუშავების წარმატებული მცდელობა ქართულ მწერლობაში. ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი, გურამ გეგეშიძე, ჯემალ ქარჩხაძე წინა პლანზე წამოსწევნ მათივე თანამედროვე მსოფლიო და ევროპული მწერლობისათვის აქტუალურ თემებს, როგორებიცაა: სულიერი ღირებულებების გაუჩინარება; საზოგადოების ზნეობრივი კრიზისი; ინტელექტის მწვავე დეფიციტი; მარტოობა, გაუცხოება და საკუთარი თავის ძიება. ეს მსოფლიო თემები წარმატებით იკვეთება საკუთრივ ქართულ პრობლემებთან და თემებთან, როგორებიცაა: „უძრაობა“, საბჭოთა იდეოლოგიისგან გაქცევა, ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ქართულ პროზაში მკვიდრდება მითოლოგიური აზროვნება, შემოდის მაგიური, ფსიქოლოგიური და



მუხრან მაჭავარიანი
ქართული ენა

ინტელექტუალური რეალიზმის ელემენტები. იწერება მსოფლიო დონის რომანები: ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, ჯემალ ქარჩხაძის „მდგმურები“, გურამ გეგეშიძის „უამი“, ოთარ ჩხეიძის „ბორიაყი“.

აქ დასახელებული ყველა ქართველი მწერალი დღეს უკვე სამართლიანად არის მიჩნეული ქართული ლიტერატურის კლასიკოსად. მათ არა მარტო შეითვისეს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციები, არამედ შეახსენოს მსოფლიოს, რომ არსებობს პატარა, მაგრამ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია. ისინი არიან ქართველი პრუსტები, მარკესები, კორტასარები...

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მწერალთა კიდევ ერთი ჯგუფი: რევაზ ინანიშვილი, ნოდარ დუმბაძე, რეზო ჭეიშვილი, არჩილ სულაკაური, ვაჟა გიგაშვილი, ნოდარ წულეისკირი, თამაზ ბიბილური, ნუგზარ შატაიძე... მწერალთა ეს ჯგუფი უფრო ყოფით პრობლემებს უტრიალებს, ყოველდღიურ ცხოვრებას, ადამიანურ დილემებს... ისინი წარმატებით იყენებენ სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრს. წერის მანერა ძალზე დინამიურია, ხშირად აღსავსე იუმორით, სატირითა და პაროდით. რევაზ ინანიშვილი შეუდარებელი მწერლური გემოვნებით გამორჩეულ ქართულ შედეგებს – „ცეცები“, „კაცი და ქალი“, „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“, „უკუღმა დაჭედილი“ და სხვა, რომლებიც არნახული ლიტერატურული გულწრფელობითა და სისადავით გამოირჩევა. ინანიშვილის ტექსტების ენა, მართალია, ქართულია, მაგრამ სათქმელი – საყოველთაო.

უკვე გამოცდილი ავტორების გვერდით ახალგაზრდა მწერლებიც აქტიურდებიან. გამოვყოფდით ყარამან კიკვიძეს, ჯემალ თოფურიძეს, სოსო პაიჭაძეს. დიდ ყურადღებას იქცევს ანა მხეიძის მოთხრობა „არჩევანი მე“, სადაც პირველად საბჭოთა მწერლობაში დასმულია ნარკომანიის პრობლემა. წარმატებით მუშაობენ ქალი მწერლები: ნაირა გელაშვილი, მაკა ჯოხაძე, ქეთი ნიჟარაძე.

ასევე მრავალფეროვანია ამ პერიოდის ქართული პოეზიაც. ბესიკ ხარანაული და ლია სტურუა უპირატესობას ანიჭებენ ვერლიბრს, რომელიც ძალზე პოპულარულია მათ თანამედროვე დასავლურ პოეზიაში.

მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება ქართულ ორიგინალურ დრამატურგიაში. ამ მიმართულებით მუშაობენ: თამაზ ჭილაძე, რეზო გაბრიაძე, რეზო ჭეიშვილი, ერლომ ახვლედიანი, ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი, ირაკლი კვირიკაძე, ზაირა არსენიშვილი, რეზო ესაძე. ქართველი დრამატურგების სცენარების მიხედვით არა მარტო ლეგენდარული სპექტაკლები იდგმება, არამედ იქმნება მსოფლიო დონის კინოფილმები: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ფიროსმანი“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „ქვევრი“, „როცა აყვავდა ნუში“, და სხვა მრავალი. ეს ფილმები არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო პრემიით არის აღნიშნული.

80-იანი წლებიდან დრამატურგთა ამ გუნდს შეემატებიან ახალგაზრდა ავტორები – ლაშა თაბუკაშვილი, შადიმან შამანაძე, ლალი როსება, ირაკლი სამსონაძე. მათი პიესები იმთავითვე მიიქცევს ყურადღებას თემატური გაბედულებით.

შადიმან შამანაძის პიესებში „ღია შუშაბანდი“ და „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“ შეიგრძნობა საბჭოური ცხოვრების უკვე მოყირჭებული რეალობა, იდეალების დამხოვა, ღირებულებების გადაგვარება, ახალგაზრდების შეუთავსებლობა დადგენილ კანონ-წესებთან, პროტესტი და გამოსავლის ძიების სურვილი; ლაშა თაბუკაშვილის პიესები „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, „შენკენ სავალი გზები“ გაიაზრებს მისი თანამედროვე ქართული



კადრი გიორგი შენგველაიას ფილმიდან „ფიროსმანი“

საზოგადოების პრობლემებს, არ ერიდება ტაბუდადებულ თემებს, ცდილობს მიაგნოს სიმართლეს და ზნეობრივ ღირებულებებს; ირაკლი სამსონაძე კი მოხიბლავს მკიხველს თავისი სიღრმისეული, მრავალფეროვანი პრობლემატიკით გამორჩეული პიესებით, რომელთაგანაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პიესა „ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი“.

80-იანი წლების მიწურულს საქართველო უმძიმეს პოლიტიკურ ფაზაში შეაბიჯებს: წინ არის საბჭოთა რეჟიმის დასასრული, სამოქალაქო ომი, მსხვერპლი, ქაოსი... იცვლება რეალობა, იცვლება სტილი. მწერლობა თითქოს ავისმომასწავებელი ამბების რეჟიმში გადაინაცვლებს. ის უაღრესად გულახდილი ხდება; შეიგრძნობა თაობის ტრაგიზმი; სოციალური პლანი გაფერებულა ბრაზით, პროტესტით, ტკივილით, ფსიქოლოგიური დილემის შეგრძნებით. სწორედ ეს ტენდენციები მოსჩანს კოტე ჯანდიერის, ზაალ სამადაშვილის, ირაკლი ლომოურის, ირაკლი სამსონაძის, ზაზა თვარაძის და სხვათა ტექსტებში. სტილის უაღრესი თავისთავადობით გამოირჩევა ან უკვე გარდაცვლილი შესანიშნავი მწერლის, სცენარისტისა და რეჟისორის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება. აღნიშნავდით მის თხზულებებს: „ბინდისფერი ხეობა“, „ადამიანთა სევდა“, „მგელი“... ჩოხელის პროზაში რეალობა მუდმივად იკვეთება ქართული მითოლოგიასთან. მწერალი მწვავედ განიცდის სამყაროს ილუზორულობას. მისი ტექსტები გაჟღერებულია ექსისტენციალური კითხვებით, მთელ რიგ მოთხრობებში კი სამყაროს დარღვეული ჰარმონია და ადამიანის აბსურდული ტანჯვა იკითხება...

1991 წელს ოფიციალურად გაფორმდა საბჭოთა დიქტატურის დასასრული. საქართველომ მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა, მაგრამ არნახული ტკივილების ფასად: ქვეყანა ჩათრეული აღმოჩნდა ეთნიკურ კონფლიქტებსა და სამოქალაქო ომებში. ძმათა შორის დაპირისპირება, მსხვერპლი, დაკარგული ტერიტორიები ახდენილ კომმარს დაემსგავსა. ქვეყნის პოლიტიკურმა ცხოვრებამ სრულიად განსხვავებულ ფაზაში შეაბიჯა, ხოლო ლიტერატურამ ფართოდ გაუღო კარი პოსტმოდერნიზმს.

პოსტსაბჭოთა ქართული მწერლობა კულტურული გლობალიზაციის პირისპირ



რუსთაველის თეატრის
სპექტაკლის „მერე რა რომ
სველია სველი აისამანი“ აფიშა

ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან, ქართული ლიტერატურა ცდილობდა ევროპულ კულტურასა და ფასეულობებთან განყვეტილი კავშირის აღდგენას. ქართველი მწერლები დაუპირისპირდნენ საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების ე.წ. პატრიოტულ პათოსს 1990-იანი წლები საქართველოში სამოქალაქო ომით დაიწყო. ქვეყანა ენერგორესურსების გარეშე დარჩა. დედაქალაქი ნაცრისფერი გახდა. ამის მიუხედავად, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, დასავლური კულტურის მიმართ ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. სრული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე კულტურამაინც გამოცოცხლდა. ამის ნიშანი იყო ალტერნატიული ხელოვნებით გატაცება. მართალია, ნაცრისფერი და მოწყენილი თბილისის

ქუჩები თითქმის გაუკაცრიელდა, მაგრამ თბილისში მაინც ტარდებოდა ავანგარდული მოდის ასამბლეა, მაინც იმართებოდა როკ-კონცერტები და იხსნებოდა კლუბები. ახალგაზრდები მაინც დადიოდნენ პოეტ დათო ჩიხლაძის მიერ დაარსებულ მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრში. მარგო კორაბლიოვა გამოგონილი პიროვნება იყო. ამით ქართველი პოეტი თითქოს მოდერნისტების ნიღბების ესთეტიკას იმეორებდა. აქ მხატვრები, პოეტები და ფოტოგრაფები არტ აქციებს აწყობდნენ. ქარვასლაში, ქუჩაში, სასურსართო მაღაზიებში ლექსებს კითხულობდნენ და ზოგჯერ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს ეხმაურებოდნენ. მათთვის შთაგონების წყარო იყო ამერიკელი ბიტნიკების მოძრაობა. სოციალური სატირა – ლაშა თაბუკაშვილის პიესა „მერე რა, რომ სველია სველი აისამანი“ – წლების განმავლობაში ყველაზე პოპულარული დადგმა იყო დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ისტორიულ რუსთაველის დრამატულ თეატრში; 1990-იანების ჩაბნელებულ და უპერსპექტივო თბილისში ეს სპექტაკლი ანშლაგებით იმართებოდა და თბილისის მოსახლეობა ლაშა თაბუკაშვილის



კოტე ყუბანეიშვილი



ირაკლი ჩარკვიანი

პიესის მთავარი გმირების – ნარკომანი პერსონაჟების ჟარგონებით მეტყველებდა; ახალი თაობის ქართველმა პოეტებმა საბჭოთა პერიოდის პათეტიკურ ლექსებს თავიანთი ექსპერიმენტული პოეზია დაუპირისპირეს. ახალგაზრდები დიდი ინტერესით ესწრებოდნენ პოეტური ორდენის “რექტიული კლუბის” წარმოდგენებს. “რექტიული კლუბი” პოეტებმა კოტე ყუბანეიშვილმა და ირაკლი ჩარკვიანმა დააარსეს. საკუთარი პოეზიის გარდა, კოტე ყუბანეიშვილი რუსული და ინგლისურენოვანი პოეზიის შესანიშნავ თარგმანებს აქვეყნებდა. თუმცა თავისი არტისტიულობის წყალობით, ის მაინც ექსცენტრული, სკანდალისტი პოეტის იმიჯთან იგივედება.

ცნობილია, რომ პოეზია მასებისთვის ნაკლებადაა საინტერესო, პროზისგან განსხვავებით. მაგრამ კოტე ყუბანეიშვილმა, ლექსის კითხვის არტისტიული მანერით და პერფორმანსის ელემენტებით, საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა. მისი სოციალური პოეზიის სტრიქონები მოსახლეობამ ზეპირად იცოდა და ფრთიან გამოთქმებად იქცეოდა ხოლმე. ერთ დროს მთელ ქალაქში გავრცელდა მაისურები მისი ფრთიანი გამოთქმებით. ირაკლი ჩარკვიანმა სამწერლო მოღვაწეობის პარალელურად, ქართული როკ-ენ-როლი შექმნა. საკუთარ ლექსებს ხშირად მუსიკის ტექსტად იყენებდა. ამ ლექსებს, სადაც პოეტი



ზურაბ
რთველიაშვილი

არსებულ სინამდვილეს აპროტესტებდა და დასავლურ ფასეულობებს აღიარებდა, რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა. იყო ასეთი ფაქტიც: ირაკლი ჩარკვიანის სიმღერა “სექსი”, ე.წ. “უხამსობის” გამო, ქვეყნის იმდროინდელმა პარლამენტმაც კი განიხილა.

ქართველმა არტისტებმა და მწერლებმა თითქოს საბჭოთა პერიოდამდელი კულტურული გეზის გაგრძელება ცადეს. ეს გამოიხატებოდა ისეთ მოვლენებში, როგორებიცაა, მაგალითად, თვითგამოცემის (“სამიზდატის”) წესით გამოცემული დათო ბარბაქაძის ჟურნალები. აქ თანამედროვე ქართულ პოეზიასთან ერთად მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპელი ავანგარდისტების ლექსებიც იბეჭდებოდა; ამ პერიოდში ირაკლი ჩარკვიანმა “დადაისტური ნანა” დაწერა; ხოლო შოთა იათაშვილმა თითქოს პაოლო იაშვილის მაგალითი გაიმეორა, როცა დიანა ვაჩნაძის სახელით დაბეჭდა პროზა. ერთ-ერთი შთამბეჭდავი პერფორმანსი კი დადა წარმოდგენა იყო. შეკრება ქარვასლაში გაიმართა. საგამოფენო დარბაზში დადაისტთა მანიფესტებიდან ფრაზები კედელზე გააკრეს. აქ მხატვარმა თემო ჯავახიშვილმა და პოეტმა შოთა იათაშვილმა დადა ლექსები წაიკითხეს. დარბაზში ნილბიანი კაცი შემოვარდა. ხელში დიდი ზომის ავტომატი ეჭირა. ხალხს მიუშვირა და ავტომატის ჯერის იმიტაციას იმეორებდა: და-და-და. იგი აირჩიეს დადა მეფე-პრეზიდენტად. ეს იყო პოეტი ზურაბ რთველიაშვილი. მან თავისი გამარჯვება მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ ავანგარდისტ პოეტს, გრიგოლ ცეცხლაძეს მიუძღვნა.



გეგა კობახიძე, ირაკლი
ჩარკვიანი, გია მირზაშვილი

დასავლური კულტურისკენ სწრაფვის ნიშნები საბჭოთა კავშირის დაშლამდე საკმაო ხნით ადრე გამოჩნდა. ამ სწრაფვის ერთ-ერთი გამოხატულება იყო 1983 წლის ტრაგიკული მოვლენა. საბჭოთა კავშირში, რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა თვითმფრინავის გატაცებას და საზღვარგარეთ გაქცევას შეეცადა. ისინი დააპატიმრეს და ერთი წლის შემდეგ დახვრიტეს. ძალიან დიდხანს, დანამდვილებით არავინ იცოდა, მართლა დახვრიტეს თუ პატიმრობაში იყვნენ ისინი. ამ მოვლენამ შემდგომი პერიოდის ხელოვანებზე დიდი გავლენა მოახდინა. დახვრეტილებს შორის იყო ახალგაზრდა, პერსპექტიული მსახიობი გეგა კობახიძე. ის პოეტის და მუსიკოსის, ირაკლი ჩარკვიანის ბავშვობის მეგობარი იყო.



დავით ტურაშვილის
წიგნი „ჯვინების
თაობა“

წლების შემდეგ, თავისი რომანი “მშვიდი ცურვა” და სიმღერა “მე გადმოვცურავ ზღვას” მას მიუძღვნა. ამ ნახევრად ავტობიოგრაფიულ რომანში ჩარკვიანი საბჭოთა კავშირისდროინდელ მნიშვნელოვან ამბებზე მოგვითხრობს. ფორმის და შინაარსის თვალსაზრისით, ამ რომანს ბევრი საერთო აქვს ჰარუკი მურაკამის რომანთან “კაფკა პლაჟზე” და მიშელ უელბეკის “კუნძულის შესაძლებლობასთან”. ორივე რომანი “მშვიდ ცურვაზე” გვიან შეიქმნა. ცხადია, აქ გავლენაზე შეუძლებელია საუბარი. უბრალოდ, ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ქართველმა მწერლმა დროს გაუხსნო. ჩარკვიანის რომანი თითქოს საბჭოთა სინამდვილიდან გაქცევაზეც მიანიშნებს. განზომილებების ცვლით ის კოტე მიქაბერიძის 1920-იანი წლების ფილმს “ჩემი ბებია” მოგვაგონებს, სადაც სამი განზომილება – მხატვრული კინო, თოჯინების და ნახატი ანიმაცია ერთდროულადაა წარმოდგენილი. ამით თითქოს ბუნებრივ კავშირს აღადგენს ქართული კულტურის ევროპული ორიენტაციის მქონე წარსულთან; წარსულთან, რომელიც 1930-იან წლებში ავანგარდისტული მიმდინარეობების აკრძალვაში და სოცრეალიზმის დამკვიდრებაში გამოიხატა.


ე.ნ. “თვითმფრინავის ბიჭების” ამბავს შემდგომში რომანები მიუძღვნეს ნესტან კვინიკაძემ (“ამარგი”) და დათო ტურაშვილმა (“ჯინსების თაობა”). ტურაშვილის რომანი “ჯინსების თაობა” დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად ქართულ რომანად ითვლება. ეს რომანი ინგლისურ ენაზეც ითარგმნა და აშშ-ში გამოიცა. რომანის სათაურად ამერიკულმა გამომცემლობამ “გაქცევა სსრკ-დან” შეარჩია. მათი აზრით, ამერიკელი მკითხველისთვის სათაური “ჯინსების თაობა” გაუგებარი იქნებოდა, რადგან მათ არ იცოდნენ, რომ ჯინსები საბჭოთა რეალობაში თავისუფლებასთან ასოცირდებოდა.

გარდატეხის პერიოდში მოღვაწე ქართველი მწერლები შეგვიძლია ე.ნ. თაობა X-ს შევადაროთ; თაობას, რომლისთვისაც პიროვნული თავისუფლება და ადამიანის უფლებები უმთავრესი იყო. მათ გადანყვიტეს, სამყაროს უსამართლობა შეეცვალათ. 1960-80-იან წლებში დაბადებულ ამ თაობას ირაკლი ჩარკვიანმა “გაგარინის თაობა” უწოდა – პირველი კოსმონავტის, იური გაგარინის პატივსაცემად.



დათო ბარბაქაძე

მე-20 საუკუნის დასასრულის ლიტერატურაში ამკარაა ეპატაჟის და საზოგადოების შოკირების ტენდენცია. მწერლები სხვადასხვა გზით ახერხებდნენ მკითხველების გაოცებას და ზოგიერთის გაღიზიანებას. ძველი ფასეულობებისადმი დაპირისპირება და პათეტიკისგან თავისუფალი აზროვნების დამკვიდრება ამ პერიოდის ლიტერატურის მთავარი ნიშანია. ამგვარ სიახლეებს ქართულ საზოგადოებაში მუდმივად სკანდალი ახლდა. ერთ-ერთი პირველი იყო დათო ბარბაქაძის მოთხრობა “ტრფობა ნამებულთა”. მწერალმა საეკლესიო მოღვაწეების შესახებ ძველი ქართული ნაწარმოებები დაამონტაჟა და ახალ კონტექსტში




მოათავსა. ამ გზით, სრულიად განსხვავებული დატვირთვა მიიღო ქართველი მკითხველისთვის კარგად ცნობილი ისტორიებმა. ასევე სკანდალთან იყო დაკავშირებული ზაზა ბურჭულაძის რომანები “სიმფსონები” და “წერილი დედას”. ამ რომანების სექსუალურმა პასაჟებმა, ინცესტის თუ არატრადიციული ორიენტაციის შესახებ თემებმა ქართული კონსერვატიული საზოგადოების რისხვა გამოიწვია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ავტორს ფიზიკური ანგარიშსწორებითაც ემუქრებოდნენ. ერთ-ერთი გახმაურებული სკანდალი უკავშირდება ლაშა ბულაძის ირონიულ-პაროდიულ მოთხრობას “პირველი რუსი.” სკანდალი განაპირობა საქართველოს ისტორიაში საკრალური ქალი მეფის – თამარის ცხოვრების ერთი ეპიზოდის ხსენებამ. ეს მოთხრობა აგებული იყო რეალურ ამბავზე რუს უფლისწულზე თამარის ქორწინების შესახებ. უბრალოდ, რეალური ისტორია პაროდირებული იყო. მოთხრობის ანტირუსული განწყობა და ქართველების გულგრილობის მხილება გამაღიზიანებელი აღმოჩნდა საზოგადოების ნაწილისთვის. სკანდალში ქართული ეკლესია და მაშინდელი პრეზიდენტი შევარდნაძეც ჩაერთნენ.

ზაზა ბურჭულაძის რომანი „სიმფსონების“ ყდა



აკა მორჩილაძე

მე-20 საუკუნის ბოლოსთვის გამოიკვეთა ახალი ლიტერატურული ტენდენციები. საქართველოში ყველაზე წარმატებულმა მწერალმა აკა მორჩილაძემ (გიორგი ახვლედიანი) თავის რომანებში ცნობილი სიუჟეტები და ისტორიული ფაქტები დაამონტაჟა და მათგან ახალი ამბები შექმნა. მისი რომანები და მოთხრობები, ენობრივი ვირტუოზობის და თხრობის ხელოვნების გამო, ქართველ მკითხველებს შორის ყველაზე მოთხოვნადი გახდა. ბევრი მისი



ზურაბ ქარუმიდის ინგლისურენოვანი რომანის ყდა

ნაწარმოების მიხედვით კინოფილმებიც გადაიღეს. თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე ტენდენციებს მიყვება ლიტერატურის თეორეტიკოსი და მწერალი ზურაბ ქარუმიდეც. მისი ინგლისურენოვანი რომანი “დაგნი” პრესტიჟული დუბლინის ლიტერატურული პრემიის ნომინანტებს შორის მოხვდა. რომანი ნორვეგიელი მწერალი ქალის, დაგნი იუელის შესახებ გვიამბობს. ის პოლონელი მწერლის, სტანისლავ ჰშიბიშევსკის მეუღლე და ედვარდ მუნკის, ავგუსტ სტრინდბერგის და კნუტ ჰამსუნის მუზა იყო. რომანს საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი დაგნი იუელის მკვლელობის შესახებ თბილისის სასტუმრო “გრანდ ოტელში”. მოქმედება ვითარდება მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისში და პერსონაჟებად შემოდიან გურჯიევი, სტალინი, ფიროსმანი და სხვები.

ამ პერიოდში აქტუალური ხდება ქალი ავტორების შემოქმედებაც. ქალების პროზა ემიგრაციის, ტრეფიკინგის, გლობალიზაციის, ომის და ტერორის თემაზე მოგვითხრობს. მაგრამ იშვიათად ეხება

საქართველოში ქალის როლის საკითხს. ქალებზე ძალადობის თუ ბევრი თემა თითქოს ტაბუირებულია დღემდე და მათი თითქმის არეხებიან ქალი ავტორები. პოეზიაში მნიშვნელოვანი ხდება ქალი ავტორების როლი. მათი ქალური მგრძობელობა და ფსიქოლოგიური სიღრმე თვალშისაცემია. განსაკუთრებით მაია სარიშვილის პოეზიის შემთხვევაში. მისი პოეზიის მთავარი თემაა შვილები. მის ლექსებში მთხრობელი თითქოს ზრდასრულიცაა და ბავშვიც.



ახალი საუკუნის დასაწყისს საქართველოში შედარებით სიმშვიდე და ქართული კულტურის პოპულარიზაცია მოაქვს. აქედან დაწყებული, იხსნება ლიტერატურული კაფეები, გამოდის რამდენიმე ლიტერატურული ჟურნალი და გაზეთი, ცდილობენ ქართული ლიტერატურის ნახალისებას. ამ მიზნით აარსებენ ლიტერატურულ პრემიებს, რომელთაგან განსაკუთრებით პრესტიჟულია ლიტერატურული პრემია “საბა”. ეს პრემია ყოველწლიურად გაიცემა. საფუძველი ეყრება წიგნის ფესტივალს. ფესტივალის მთავარი მიზანია ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია დასავლეთში.

ქართული მოთხრობები ყოველწლიურად “საუკეთესო ევროპული პროზის” ანთოლოგიაში ხვდება. ამერიკაში და ევროპაში გამოდის ქართველი მწერლების ანთოლოგიები, კრებულები თუ ცალკეული რომანები. მაია სარიშვილის ლექსი ლონდონში გამოცემული მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიაში ხვდება; პოეტ დავით დეფი გოგიბედაშვილს კი ნიუ იორკის პოეზიის ფესტივალზე ინვევენ. აქ ლორი ანდერსონი მისი ლექსისთვის საგანგებოდ წერს მუსიკას და ისინი ერთად აკეთებენ ნარმოდგენას. ქართველი ავტორები და გამომცემლები უკვე სხვადასხვა წიგნის ბაზრობაზე, მათ შორის, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მონაწილეობენ. 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმრად ცხადდება.



დავით (დეფი) გოგიბედაშვილი

განთიადი

მთანმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთანმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთანმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

“ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებნენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი
მოკაშკაშ-მელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუყვარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლა გამიხარეო!..

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და რო მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მინას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი)

ტანო ტატანო

ტანო ტატანო, გულნამტანო,
უცხოოდ მარებო!
ზილფო, კავებო, მომკლავებო,
ვერსაკარებო,
ნარბ-ნამნამ-თვალნო, მისათვალნო,
შემაზარებო,
ძონ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო,
სულთნამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე
მზისა დარებო!
თვალთა ნარგისი, დამდაგისი,
შეგშვენის მწველად,
ყელსა ბროლისა, უტოლებსა,
გველი გყვა მცველად,
გეხსნეს ხალები, მაკრძალები,
ამარტის ველად,
ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სნორნი,
მიქმოდენ ხელად,
მინვევენ შენად შესამკობლად,
დამამნარებო!
აღვაო, გეხსნეს ორნი ნორჩნი
მოსარხეველნი,
ზარიფსა წელსა დაეკვირნეს
ქვეყანად მვლელნი,
ოდეს გნახვიდი, შევიმატნი
ათასნი წელნი.
ან დამლევინ ყოვლნი დღენი,
უცხო ვარებო.
ბაგემდუმრიად გიალერსებ,
ბაგეო ვარდო!
თვალთა სურიან ხილვა შენი,
კეკელა მარდო!
გულსა სწყურიან დამაშვრალსა
რას შეგაფარდო?
თუცა შენ დაგთმო, ვინლა ვპოვო,
სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არვისი მსურს,

შევიზარებო.
შენმა გონებამ მიმამსგავსა
მილეულს მთავრეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი
სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალებთ,
მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ,
დამფალთ სამარეს!
ვაჰ, სიცოცხლეო უკულმართო,
დანაცარებო!

გრიგოლ ორბელიანი

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!

მიხარის – გიმზერ,
ვჰსწუხვარ – და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..

ყვავილოვანი წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი!..

და, ვით განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!

ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,
შენადვე, მეფევე, მოველ ვედრებით:

მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს – მამულს,
და ჯვართა შენით აკურთხო კვალად.
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!

ზნე ამალღებით,
ძღვევის დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა! –
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.
რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..

...მაგრამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი,
და მე ველარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა,
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!..

ვაჰ თუ რაც ნახდეს
ველარა აღჰსდგეს,
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!

ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ესლა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,

სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
სჩანს ძველს კედელზე გამობატულად!..

გალაკტიონ ტაბიძე

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის. . .

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ.
ისევ წვიმს, ისევ თოვს, ისევ თოვს
ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს
შენი მე ხატება დამდევს თან,
ყოველთვის, ყოველ დროს, ყოველგან
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის,
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის.

იოსებ გრიშაშვილი

გამოთხოვება ძველ თბილისთან ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს

შენ აგისნია ბევრი ქარაგმა,
ქორონიკონის კენტი და ლუნი, –
მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოქარგა უნინ.
თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ,
დაჰკვირვებინარ ამ ქუჩებს კარგად –
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ჩარგა
სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს –
მიხვდები ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.
მიხვდები, რატომ არ დაერიდა
ჩემი ლექსები პოეტთა კილვას
და რატომ ვცდილობ ამიერიდან
ასე თამამად წარსულის ხილვას
აი სეირი ჯერ არნახული!
სადღაა ეშხი და სილამაზე!
არ სჩანს ურემი მოჩარდახული
ლამისმთევლები ბოლნისის გზაზე.
ღვინოს საფლავზე არავინ მიგიტანს

ჩამოიხია ბალდადის ფორი, –
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმული ყორით!
კრივი, ამქარი, ცეკვა, ართურმა, –
ეს ადათები ძველთაგან ძველი
გადავიწყა სიტყვამ ქართულმა
და დამრჩა... სევდა წაუბაძველი.

2

აი, პარმალზე ვწევარ გულადმა.
ჩემი ოცნება ფრენას ვერ ითმენს.
აი, აფეთქდა აისი ნალმად.
აი, ლექსისთვის ვწვივ რითმებს.
ძველებურ განცდით ვდრავჯობ ნიავს,
რომ შორეული ჰანგი მომფინოს –
მაგრამ ზურნის ხმა ვილაცას მიაქვს,
ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორფინოს.
დუდუკის ნაცვლად-ქარხნის საყვირი.
დუმბო და ზილი დაახშო რკინამ,
ბულბულს-ყაფაზა, გრძნობას-ალვირი.
ალარც დუდუკი... ალარც ყიჟინა...
და მე არ ვიცი ვილას ვემონო,
ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი...
ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ
მე, სხვა ცხოვრების წინამორბედი.
ძველო თბილისო! დღეს ისე მკვეთრად
ველარ შეგაქებ... არ მაქვს უნარი...
მაგრამ ვამაყოფ, რომ ჩემთან ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი.
ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
ალარ მაქვს, გულში რომ გინახავდი...
გადაწყდა, უნდა შევცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

ნიკოლოზ ბარათაშვილი

მერანი

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელღვარი!

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!

ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა;
საც დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მინა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ლელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარისშხალი ძვალთა შეთენილთა ზარით, ღრიალით, მინას მამაყრის!

სატრფოს ცრემლის ნიღ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი!

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან, ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნიკოლოზ ბარათაშვილი

სულო ბოროტო...

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმამფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმანვილკაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლეს, აღმირიე, წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულისთქმათა!
მას აქეთ არის – დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ლელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჰოჲ, მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო.
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

სიმონ ჩიქოვანი

მეკამეჩების ურმული

ორგი'დო ხერგ'დო მუხების რკო!
ხორბალი, კომბალი
კომბალი ონბალო
კომბალი ბალიგი
ბობო'და ლომები ბობო'და სპილოებს
ფულუროს ნაკოდალს, ფილტვებსნაგუდარს
ლერლილს მოროშილს, სიმინდსდალერლილს
ორგი'დო ჩალა დო ორი'დო კამეჩებს
ზიზურე-რო--რო, დო ზიზურე აბეჩებს.
კომბალი და სახრე-ბორძიკი.თხმელა
აბედი ურმების. ხეები ხორ'ბო
მზის მუცლებს ნაბიჭარს
მზის ხვრელებს ზღარბი ჭამს
ორგი'დო ხერგი'დო მუხებისრკო!
ენგურის ირემი. ენგურის ორ'ბები
თხუნელა, თხომური-ზომური-ზომური
ჰე ფიჭვებს, ნიფლებს, შტოებსდა ნეშოებს
მახრა, და კამეჩი, ქატო დამუხუდო.
ეი! დო ზორ, შარა მოტობა, დომუმლი.
ნახშირის მუხაში
ბლაოდა მუხაში
კამეჩი უხეში

ტალახში ფუყეში.
დილამ'დე ძაღლები კამერებსუყეფენ.
კოპიტის მამალი კამერებსმიყივის.
ეი! დო ზორ შარა მოტობა დომუხლი
ეი'დო ბორანი კომბალი და სახრე
ეი! დო ზორ შარა მოტობა,დოთხომური
ზომური. ზომური.